ივერია

1882

№ X, ოკტომბერი.

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1882

შინაარსი:

I ელისო, მოთხრობა ჩეჩენთ ცხოვრებიდამ ა. მოჩხუბარიძისა 3

II ისტორიული სურათები, (ქართველი ქალი) (შემდეგი). მღ. დიმ. ჯანაშვილისა. 45

III ციხე შიგნიდამ გატეხილი, რომანი (შემდეგი). . 73

IV სიმღერა მთესველისა, (ლექსი) ი. ბაქრაძისა. . 113

V საისტორიო სკოლა და საისტორიო საზოგადოება, გრ. ყიფშიძისა. 115

VI შინაური მიმოხილვა. მოხელეობის ბედი—ძველის და ახალის მოსვლა ერთ ნაირად გვიხარიან—მიზეზი ამ სიხარულისა—ახალის მოსვლა ნაღვრის მიზეზია—მალა ნაღვრისა—რა არის საჭირო მოხელეთათვის—-ნუ გეჯერათ—უბარაქო მჭევრ-მეტყველობა. ფუქსავატობა და ქარაფშუტობა—რა არ აუღიარებიათ ჩვენში—ჩივილი—მოხელეთა გამარჯვება—ღირს-საცნობია თუ არა—ორია უცილებელი სიკეთე მოხელისა—მობძანება ახალის ექზარხოსისა—სიტყვა დეკანოზის სამადლოვისა—ჩვენის სამღვდელოების ღირსება—მაგალითი მოციქულთა — პასუხი ყოვლად უუსამღვდელოის ეგზარხოსისა—რამ დაიფარა ჩვენში ეკკლესია შეურყეველად—ჩვენი უწინდელი სამღვდელოება—მისი ღვაწლი—რამ შეაძლებინა—შედეგი უცოდინარეობისა და გაუნათლებლობისა—გვწამს და ვიმედოვხებთ — ერთად-ერთი

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი.

წელიწადი მეექვსე.

№ X.

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1882

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Сентября 1882 г.

ელისო *).

(მოთხრობა ჩეჩენთ ცხოვრებიდგან).

I

ვლადიკავკაზის მახლობლად, მშვენიერს დაცემულს მინდორზედ, მოჩანდა ალყად შემორტყმული ურმები, გაჭედილი სახლის ვეჟეულობით. ამ ალყის შუა აქა-იქ გაჩაღებულს ცეცხლებზედ ჩუხჩუხებდა ქვაბები, რომლებსაც მისხდომოდნენ მოხუცებული დედა-კაცები და საჭმელს ამზადებდნენ. იქვე მიმსხდარიყვნენ დანარჩენი მოხუცი ხალხი და გაჩუმებულნი ყალიონს სწევდნენ. იმათი მხნე და გმირული თუმცა, დაღონებული სახე, ცეცხლის შუქზედ, რაღაცა საოცნებო სურათს წარმოადგენდა. უმაწვილი ხალხიც, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი, თუმცა ცდილობდა ერთმანერთის გამხნევებას, გამხიარულებას, მაგრამ იმათი დაფიქრებული სახე ისევ ისე გაუღიმებლად რჩებოდა.

აქ იყო რაღაცა იდუმალი სიჩუმე, რაღაც იდუმალი სევდა, რომელიც ნება-უნებლივ სიტყვას აწყვეტინებს და ხმას აკმენდინებს კაცს.

ხანდისხან ისეთი წუთებიც შეხვდებოდათ, რომ თვით სუნთქვაც შეუწყდებოდათ და ასე, სამარის მზგავს სიჩუმეში დარჩებოდნენ რამდენიმე ხანს.

საღამო იყო ჩინებული, თბილი, ერთი იმისთანა საღა-

*) ქალის სახელია ჩეჩნებში.

მოებთაგანი, რომელსაც კაცი ნეტარებაში შეჰყავს და სიამოვ-
ნების ნექტარს აღუძრავს ყოველის ძარღვის ხვეულში.

როგორც ბუნებით მხნე, ისე მხიარული ჩვენები, დღეს
გაჩუმებულიყვნენ, დაყუჩებულიყვნენ ისე, როგორც ქარიშხლის
წინეთ ჭაერი, რომელიც ემზადება ამ სიმშვიდიდგან ერთბაშად
გრგვინვად გარდაქცევას.

რას გაჩუმებინა ეს სიცოცხლით სავსე ხალხი? რას გა-
ქწყვიტა მათთვის პირში სიტყვა? რომელ უბედურებას და-
მორჩილა ისინი, ვინც ისე სიცილით და უზრუნველად სიკ-
ვდილს წინ ეგებებოდა ამ რამდენიმე წლის წინად?

აქამდის კიდევ აქა-იქ მოისმოდა თითო-ოროლა სიტყვა,
ქხლა ისიც შესწყდა და ჩამოვარდა სრული სიჩუმე... ამ საი-
დუმლოებით სავსე სიჩუმეში, რომელიც მკვდართ სამფლობე-
ლოს მოგვაგონებდათ, ერთბაშად გამოისმა ჭიანურის წუნარი
ხმა და მას მოჰყვა წუნარივე ზუზუნი, მაგრამ, ღმერთო ჩემო!
რა ხმა იყო ის? მე არ შემიძლიან გადმოგცეთ! აშკარადა სჩან-
და, რომ ეს ხმა სწყდებოდა გულის სამირკვლიდგან, რომე-
ლიც ინთებოდა, სდუღდა, სწვავდა მთქმელს და გამგონს!..
ივანტებოდა შორს, შორს მინდორზედ, სადაც მსუბუქს ნიავს
მიჰქონდა ყოველ ხესთან, ყოველ ბუჩქთან, ყოველ ბალახთან
და, რა მიეკარებოდა, თითქოს იქამდის ძლიერად აგრძნობინებ-
და თავის ძალას, რომ მთლად აათრთოლებდა. ჩქარა ზუზუნი
ერთის კაცისა, გადიქცა საერთო ზუზუნად, რადგანაც იმას ხმა
მოსცეს სხვებმა და მთელი ეს ადგილი მოიფინა მტანჯველ
სევდიანს გოდებით და გმინვით. ეს ხმა უსიტყვოდ აღმომხდარი
იმათ პირიდგან, ისეთს წარმოუთქმელს სატანჯველს გამოს-
თქვამდა, რომ სიტყვებზედ ერთი ათად მეტს გაგრძნობინებ-
დათ, მეტად გივსებდათ სევდით და ნაღველით გულს, ნება-

უნებლიე თანა-გრძნობინებდათ იმათ უბედურებისათვის. თქვენა გტანჯავდათ, გაწუხებდათ ეს ხმა მაგრამ ყური ვერ მოგეშორებინათ.

ეს იყო უკანასკნელი გამოსალმება სულთ-მობძავის შვილისა, რომელიც სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის საყვარელს მშობელს, რომელთან ალერსს უსპობს შეუბრალებელი და შეუწყალებელი უსამართლო ძალა! ეს იყო ქვითინი უბედური დედისა თავის პირმშო შვილზედ, ეს იყო გოდება სანატრელთან დაშორებულისა, რომელიცა გრძნობდა, რომ უიმისოთ ვეღარ იხარებს, ვეღარ იცოცხლებს!..

ეს გმინვა, ეს ოხვრა, ეს გოდება, მით უფრო მწარეთ გეჩვენებოდათ, რომ ეს არ იყო მარტო ერთი კაცის წუხილი თავის უბედურებაზედ, ეს არ იყო ტირილი მარტო ერთის პირისა თავის დაკლებულზედ—აქ გამოითქმოდა საერთო ვაება, საერთო წუხილი, საერთო ტანჯვა, აქა სცემდა საერთო მარღვი და ერთის გმინვაში გამოითქმოდა გრძნობა და მდგომარეობა მთელის ხალხისა.

ეს მამულის მოსიყვარულე, იმისთვის თავ-განწირული ჩეჩნები ესალმებოდნენ თავის სამშობლოს, რომლის შესარჩენად და ასაღორძინებლად მამას შვილი არ შეუწყალებია, ცოლს ქმარი და იმდენის ბრძოლის და მსხვერპლის შემდეგ ისინი უნდა მოშორებულიყვნენ იმას!

— ღმერთო! სადა ხარ?... იძახდა იმათი ცისკენ მიპყრობილი თვალები, მაგრამ მაშინვე დედა-მიწას დაეშვებოდა პასუხ მიუღებელი.

ყოველი ბუჩქი, ყოველი ადგილი, ყოველი კუნჭული ამ ადგილებისა იმათ მოაგონებდა თავიანთ მამაცურს სივაჟ-კაცეს, რომელზედაც სისხლი დაენთხია, რომელსამე გულის გამგლეჯს

მახლობელს. ყველა ამ ადგილებთან მიკარება, ყოველი ნაბიჯის გადადგმა იმათ აგონებდა მწუხარე სურათებს, ეს უვლიდა გულ-ში გახურებულს შანთებად და უსიტყვოდ მარტო გმინვას წარ-მოათქმევინებდა. არის ხოლმე ისეთი წამები, როდესაც სიტ-ყვას ადგილი აღარა აქვს კაცის მწუხარებაში.

ვისაც ეს ხმა არ გაუგონია, იმას არ უგრძნია, არ გა-უგია გოდება ნამდვილად შეწუხებულის გულისა, იმას არ წარ-მოუდგენია; რა მწვავი ხმის ამოხდენა შეუძლიან ნამდვილს მგლოვიარე გულს და რამდენად მეტს აგრძნობინებდათ ეს ხმა, ათას გვარად შეხამებულს სიტყვებზედ.

ყველას თვალები სევდიანად გასცქეროდა თავიანთ ნა-ხოვლარს, გალაშქის ქედებს, სადაც როდესღაც ისე ამაყად იბრძოდნენ ეს წამებულნი და სადაც იმდენი სიტკბოებით სავ-სე წუთები გამოეცადნათ.

მაგრამ რა მიზეზი იყო იმათი გადასახლებისა, რა და-შავებინათ ისეთი, რომ ეს სატანჯველი მიეყენებინათ, ასე უკა-ცურად დაესაჯათ?

იმის მეტი არაფერი, რომ იმ დროს ჩვენის მმართველებ-მა ისურვეს ერთბაშად გამდიდრება, ისურვეს გაუმაძღარი თვა-ლების გაძღომა, და მოიწადინეს ჩვენელთ მდიდარი მიწების ხელში ჩაყრა; ამისათვის ძველ მემამულეთ მოშორება დაინა-ხეს საჭიროდ და კიდეც მოიშორეს!

II

ამ გადამსახლებელთ საერთო გოდებას მოშორებოდა ერთი უმაწვილი ქალი, წარმოუთქმელის სილამაზისა, გასულ-

იყო წყლის პირად და იქ დამჯდარიყო მარტოკა. იმისი ნაზი, მშვენიერებით სავსე, მაგრამ გაცრეცილი სახე დაყრდომილიყო ხელებზედ და ჟუჟუნა თვალები სევდიანად მისჩერებოდა ერთს ადგილს. ის წასულიყო ღრმა ფიქრში, რომელიც მით უფრო მძიმე ასატანი იყო, რომ იმის თვალებს ცრემლი არ მიჰკარებოდა და გულის ცეცხლს კი მეტად ჩაეწითლებინა ისინი.

იმას თითქოს საკმაოდ არ დაენახა საერთო გოდება და მწუხარება, რომელიც ამხანაგებთან ყოველთვის მეტის სიმსუბუქით აიტანება და განგებ გაცალკევებულიყო, რათა მომეტებულად დაჰკვირვებოდა თავის მდგომარეობას და მომეტებულად ეგრძნო თავისი მწუხარება, თავისი უბედურება.

ეს გახლდათ შამილის განთქმულის ნაიბის ქალი, ელისო, რომლის მამაც ანზორა ჩერბიჟ, ეხლა მოხუცებული, მოტეხილი, როდესღაც სიგულადის მაგალითი იყო.

ანზორა მოხუცებული, დავრდომილი, რომელმაც მთელი უმაწვილ-კაცობა გაატარა მამულის დასაცველად ბრძოლაში, რომელმაც შესწირა სამი შვილი სამშობლოს თავისუფლებას, აწ თავის მარტო ერთი ქალითღა ესალმებოდა თავის ქვეყანას.

შუბლ-შეჭმუხვნილი ანზორა, დაღვრემილის სახით და მფეთქავის გულით იდგა თავიანთ ურემთან და ხანჯალზედ ხელ გავლებული ყურს უგდებდა მკვნესარს სიმღერას.

იმას რამდენჯერმე გადუარა შუბლზედ ცივმა ოფლმა, რამდენჯერმე გადაიწმინდა ეს ოფლი მთრთოლარე ხელით, მაგრამ მჭუნვარება მაინც ვერ მოიშორა თავიდგან და აღძრული მოგონებანი წარსულის ცხოვრებიდგან მწარედ უდაღამდა გულს.

იმას თვალ-წინ ეხატებოდა წარსული უმაწვილ-კაცობა, მკვირცხლად დაცემა აქა-იქ რუსის ჯარზედ, მოაგონდა იმათი ჯოგების გამორეკა, მოაგონდა დიაც რუსებისგან წამოღებუ-

ლი და ნადავლი, ჩვენის ქალების გახარჯება ამ შემთხვევით; მოაგონდა ის დღეები, როდესაც ქარსავით ხან აქ გაჩნდებოდა ხან იქ, როდესაც მთელს ჩვენში ლექს ლექსზედ გამოსთქვამდნენ, ქებას ქებაზედ შეასხამდენ იმას.

ბოლოს წარმოუდგა თვალ-წინ თავისი ცოლი მშვენიერს უმაწვილ-ქალად, რომელიც თვალსა და წარბში შესცქეროდა, რომ იმის სურვილისამებრ მოქცეულიყო; წარმოუდგა თავის შვილები, რომელთაგანაც შენახვას და დამარხვას მოელოდა, მაგრამ, რომელნიც მამულის დაცვის დროს იმის თვალ-წინ იქმნენ განგმირულნი მტრის შეუბრალებელის ხელით და მოხუცმა კიდევ მალზედ გადაისვა ხელი შუბლზედ და მწარის ამოოხვრით შესძახა:

— ლაი ლაჰა, ილ ალაჰ!..

იმან მიიხედ-მოიხედა, თითქოს მწუხარე თვალები გასართობს, ანუ სანუგეშო საგანს ეძებდნენ და დაუძახა ერთს პატარა ბიჭს, რომელიც იქვე გარბოდა.

— ვორა! ელისო არ გინახავს?

— ჰაი, ჰაი, რომ ვნახე, უპასუხა ბიჭმა.—ის აიქ წყაროსთანა ზის, მე იქ ვიყავ, პირი დავიბანე... მარტოკა არის, ისეთი დაღონებულია, ისეთი, რომ... ბიჭმა აღარ გაათავა დ გაიქცა.

— დაღონებული, დაღონებული! მწუხარებით წარმოსთქვა ჩეჩნელმა—დაღონებული იქნება მა რა...

ამ სიტყვებზედ ის უმეტესად დაფიქრდა, ჩაჰკიდა თავი და ცოტა დუმილის შემდეგ მწარედ წარმოსთქვა:

— იმას უყვარს, უყვარს და მე კი მინდა გადავივიწყო, მე-კი მინდა დავაშორო!

ანზორა გაბრუნდა წყაროსაკენ და გასწია წუნარის სიარულით.

ელისო, რომელიც წყაროსთან იჯდა, ემღეროდა თავის მწუხარებას, მით უფრო მეტს, რომ ის მამულთან ერთად სტოვებდა თავის საყვარელ ვაჟიასაც.

ელისოს გაგიჟებით უყვარდა მოხევე ვაჟია, რომელსაც დაუახლოვდა იმის მეცხვარეობის დროს.

განთქმული გულადობით ვაჟია, მშვენივრად შეერილი და კაი შეძლების მქონე, არავისგან დაირიდებოდა საქმროთ, მაგრამ რადგანაც ვაჟია ქრისტიანი იყო და ელისო კი მაჰმადიანი, ამისთვის ქალმა კარგად იცოდა, რომ ნათესაობა არ დასთანხმდებოდა იმათს შეუღლებაზედ.

ელისოს არამც თუ ვაჟიაზედ გათხოვების ნებას მისცემდნენ, არამედ ლაპარაკსაც კი ვერავისთან ჰბედავდა ამ საგანზედ. ის ვერავის გაუმხელდა თავის გულს, ვერ ჩაახედებდა იმის მოძრაობაში, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ თანაგრძნობელს ვერ იპოვიდა თავის მოძმეთ შორის.

უწინდელს დროში რომ მომხდარიყო ამ გვარი შემთხვევა დ მაჰმადიანს «მთიელი» ქრისტიანი შეჰყვარებოდა, მაშინდელის იქაურის ჩვეულებით, სარწმუნოება დამაბრკოლებელ მიზეზად ვერ შეიქნებოდა იმათ შაერთებისთვის; მაგრამ ეხლა, როდესაც ქართველები, ე. ი. ქრისტიანები «გიაურებს», ანუ რუსებს წინ მიუძღოდნენ და გზებს უჩვენებდნენ, როდესაც ისინი გიაურებთან ერთად ებრძოდნენ დამოუყვრებულს მეზობლებს, ეხლა სულ სხვა იყო. «ქრისტიანების» შემწეობით დაიჭირეს «გიაურებმა» იმათი ადგილები, «ქრისტიანების» შემწეობით დაიმორჩილეს «მშიშარა გიაურებმა» ისინი და ამის შემდეგ რაღა ერთობა შეიძლებოდა ამათ შორის?

ასე ჰფიქრობდა, ასე ამბობდა ყოველი ჩეჩნელი დ, რასაკვირველია, ამის შემდეგ, იმათ და მეზობელ ქართველებს შორის,

ყოველი კავშირი უნდა მოსპობილიყო და ოდესამე დამეგობრებული ორი ტომი, ეხლა მოსისხლე მტრებად უნდა გადაქცეულიყვნენ.

ნაიბ ანზორა ჭკვიანი და მოაზრებული, როგორც მომეტებული წილი მთის ხალხი, თუმცა ცოტათი უფრო სხვა რიგად უყურებდა ქართველების და ჩეჩნელთ წინააღმდეგობას და იძახდა: «ჩვენგან დაშორებული ქართველები ვინც არიან, ისინი სტყუვდებიან სხვა-და-სხვა დაპირებით, მთის ქართველები კი ძალად გამოჰყავთ ჩვენზედ», მაგრამ ასე იყო თუ ისე «გიაურების» გამარჯვებას მაინც ქართველებს მიაწერდა და ნება-უნებლივ გულით უნდოდა დაშორებოდა იმათ.

მაგრამ, დახე იღბალს!.. თითქოს განგებ, მეტს სატანჯავად, იმის მარტო ერთს ქალს მოსუვე ვაჟია შეჰყვარებოდა!

იმან მართალია ზედ-მიწევნით არ იცოდა ეს, მაგრამ ეჭვი კი დიდი ჰქონდა.

მერე რა დროს, მოხდა ეს საქმე? როდესაც ის შორდებოდა თავის მამულს, როდესაც უკანასკნელი მშვიდობა უთხრა თავის სახლს დ მთრთოლარე ხელით, ფერ-მიხდილმა დ გულ-დაწყვეტილმა ცეცხლი წაუკიდა! ამ დროს, ამ მწუხარებისა და ტანჯვის დროს იმის ქალის, მარტო ერთი ნუგეშის, გული დაეუსაკუთრა ქართველს, რომელსაც ნება-უნებლივ უნდა დაეშორებინა მშობლისთვის!..

იმან იცოდა, რომ ელისო, როგორც ჩეჩნის ქალი. მალე არ დამშვიდდებოდა, მალე ვერ დაიმორჩილებდა თავის გულს, რადგანაც ჩეჩნელი ძნელად შეიყვარებს, მაგრამ თუ ერთხელ შეიყვარა, იმან არ იცის ნახევრად სიყვარული—ის ამ გრძნობას ეძლევა სულით და გულით.

ის თუმცა ასე ჰფიქრობდა, დარწმუნებული იყო თავის

გარდაწყვეტილებაზე, მაგრამ მაინც დროს ელოდა, რომ იქნება აღძრული გრძნობა, როგორმე გულიდგან გადავარდნოდა იმის ქალს, მაგრამ დაღვრემილის სახით უყურებდა ელისოს დღი-თი-დღე ჩამოდნობას, დღითი-დღე მეტად დაღონებას და თუმცა ეს ყველა უსიტყვოთ და უჩივლელად ხდებოდა, მაგრამ მით უფრო მეტის ძალით და მეტის სიჩქარით უმოკლებდა მას დღეს.

ანზორა დღემდის მაგრობდა და არც ერთხელ არ გაუგებინებია თავის ქალისათვის, რომ ის ამჩნევს ამ მწუხარებას, მაგრამ დღეს, როდესაც უკანასკნელად ხედავდა თავის სამშობლოს მთის წვერებს, როდესაც, როგორც ავაზაკები, ტყვეები ჩააბარეს უგულოს და გაუთლელს სალდათებს, გულმა მოითხოვა თანამგრძნობელი, მარტოებას ვეღარ გაუძლო და სწორედ ამ მიზეზით გასწია თავის ქალისკენ.

ელისო ისე გართული იყო „გულის საყვარელზედ“ ფიქრით, რომ მამის მისვლაც კი ვერ შეამჩნივა.

— ელისო! მისვლის უმალ, მხარზედ ხელის დადებით უთხრა მამამ.

ქალი შეკრთა და წამოსადგომად წამოიწივა

— იჯექ, იჯექ! არ აუშვა ანაზორამ და თითონაც გვერდთ მოუჯდა.

ისინი კარგა ხანს გაჩუმებულნი იყვნენ: ელისო დაღონებულის თვალით გასცქეროდა ტრიალს მინდორს, რომლის იქიდგანაც სივრცეში იკარგებოდა ტყიანი მთის წვერები, მამა კი იმას დაჰკვირვებოდა თითქოს უნდოდა იმის გულიდგან ამოეკითხა ყოველი იმის სულის მოძრაობა.

ბოლოს ამოიღო ნაკუწების ქისა, გაფშვნიტა თამბაქო ხელის გულზედ, გააკეთა ყალიონი და დაუწყო კვესება; აბედი

დანოტივებულიყო, თუ ცუდათ იდო ტალზედ, არ ეკიდებოდა და ამისთვის ანზორამ რამდენჯერმე გადმოიღო, გაუმენძა ნაპირები და ისევ ხელახლად შეუდგა კვესებას. ბოლოს, როცა იყო გაედო აბედს კვესისგან გადმოცვივნული ნაპერწკლები და ანზორამ მოუკიდა ყალიონს. ის სწევდა კარგა ხანს, შეუწყვეტლივ და ძალზედ, თითქოს ბოლით უნდოდა გაებრუებინა გულის მოძრაობა, მოეკლა იმისი გრძნობა და გაექარვებინა მწარე ნაღველი, რომელიც გარს შემოხვევოდა.

კარგა სიჩუმის შემდეგ, იმან დაღონებით წამოიძახა:

— მოგიკვდა მამა! რად ნაღვლობ აგრე?

— მე არა ვნაღვლობ. უპასუხა ქალმა და მიაპყრა სევდიანი თვალები.

— ვხედავ, ვხედავ! თავის ქნევით და წარმოუთქმელის მწუხარებით უპასუხა მამამ და მერე დაუმატა:—სწუხარ, იტანჯები და მე ბედ-შავს კი ვეღარ მიშველის!

— ჩემთვის ნუ სწუხარ, მამაისი! უპასუხა ქალმა და დაუწყო ნაზად ალერსი.

— ხომ სწუხარ, ხომ იტანჯები?

— რად მოგატყუო, მართალი ხარ.

— მაშ, რატომ არ მეუბნები, რად მიმალავ?

— შენ კი ცოტასა სწუხარ?... ნეტავი შემეძლოს შენი მწუხარებაც მე მომეხვია თავზედ. უთხრა ელისომ და მოეხვია ანზორას.

— მე! მწარის ჩაცინებით წამოიძახა ანზორამ.—მე... მე ჩემი დღენი განვლე, სამარეში ფეხი ჩავდგი, ბევრი გადამხედია თავზედ, მაგრამ შენ კი ეხლა შედიხარ ცხოვრებაში... ვინ იცის რა იღბალი მოგელის... ე, ჰე, ჰე!.. ღმერთი დიდია! გაათავა ოხვრით მოხუცმა.

— შენ იყავ მშვიდობით, მოსვენებით და მე სხვა არა მინ-და-რა.

მოხუცმა შეხედა თვალებში, მაგრამ არ უპასუხა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო:

— რატომ არ მიხვალ შენ ტოლ-სწორებთან, რადა მარტოვდები?

— რა მინდა, რა გავაკეთო?

— რა გააკეთო!... განა ისინი კი არ იტანჯებიან?.. განა იმათ გულში კი არა ბრუნავს ჯოჯოხეთის ცეცხლი?... ბრუნავს, მაგრამ მეზობლებთან ჭირიც ლხინია!... აგერ ისინი ჭიანურს უკვრენ, ლხინობენ... ხანდისხან ტირიან კიდეც—შენც იტირე, ტირილი გულს გიპოვის.

— ბედნიერები! იმათ ტირილი მაინც შეუძლიანთ! დაღონებით წამოიძახა ელისომ.

ანზორამ თანაგრძნობით შეხედა ქალს და წარბებ-შეჭმუხვნით წამოიძახა:

— დაიცა უნდა იტირონ—მამაცთა შური იძიონ! და ამ სიტყვებთან გაივლო ხანჯალს ხელი.

ანზორას ჩაცვივნული, სიცოცხლე გამქრალი თვალები, თითქოს ერთბაშად აენთნენ დ̃ რამოდენიმე ხანს ისე ელვარებდნენ, რომ კაცს უნებურად თავს მოაჩრევინებდნენ. ბოლოს თან-დათან დამშვიდდა, შეხედა თავის ქალს და ტუჩები აუთრთოლდა.

— ელისო! წარმოსთქვა იმან ბოლოს და ხმაში კანკალი დაეტყო.—რა გაწუხებს აგრე, რა გლევს?

— არ ვიცი.

— შენ კიდევ სხვა ნაღველი გაქვს და მიმალავ.

— მე არაფერს გიმალავ.

— მე ეგ არ მითქვამს! უპასუხა ქალმა.

მაგრამ ამ სიტყვებზედ ელისოს მთრთოლარე ხელები უფრო ათრთოლდნენ და გულმა ისე მალზედ ცემა დაუწყო, რომ ანზორას აშკარად ესმოდა იმისი მოძრაობა. ის მიეკრა მამას, რომელიც თითქოს საფრად ამოერჩივა და, თუმცა თავის გრძნობის გამოთქმა ვერ გაებედნა, მაგრამ უნდოდა კი, რომ ანზორა თითონ მიმხვდარიყო.

— შენ ეგ არ გითქვამს, მაგრამ ეგ აგრეა! თავის ქნევით წარმოსთქვა ანზორამ.—რა ვუყოთ!!.. ეგ არის წესი... დრომ დაჰკრა, ბარტყი უნდა გავაფრინოთ!... გაუხსენ შენი გული შენს მამას, შეატყობინე იმას, ვინ ართმევს შენს თავს და გეფიცები ჩემს წინაპართ საფლავს, ჩემი გული წინ აღარ გადაეღობება შენს სურვილს... ვინ არის, ვინ გიყვარს?

ამ სიტყვებზედ მამა მთლად სმენათ გადაიქცა და გულის ძგერით ნატრულობდა, მოხევის სახელი არ გაეგონა.

— მამავ, მამავ!... რად გინდა ყველაფერი მათქმევინო? რად გინდა, ჩაადწიო ჩემის გულის საძირკვლამდის? გეფიცები, რომ, ვინც უნდა მიყვარდეს, როგორც უნდა მიყვარდეს, ჩემს გრძნობას გულში მოვიკლავ, გულში დავიმარხავ და შენ კი თავს არ დაგანებებ!

გახარებული მამა მოეხვია თავის ქალს. იგრძნო რომ თავის ნაშობს უყვარდა, სიკვდილის ჟამს თვალებს დაუხუჭავდა, სხვა რაღა უნდოდა? მაგრამ პირველის სიამოვნების შემდეგ იმან მოიშორა ქალი და უთხრა:

— დაიცა, ნუ ჩქარობ! უბრალოდ ნუ ფიცულობ!... როგორც ბალახს უნდა დილის ნამი, ისე ქალს გათხოვება... ყველას თავისი დრო აქვს... მითხარ ვინ გიყვარს?

— რად გინდა, ვინც უნდა იყოს!

— ვაჟია? გულის კანკალით მოელოდა პასუხს მამა, რომელსაც კიდევ რაღაცა იმედი ჰქონდა, რომ ელისო. რომელსამე ჩეჩენს დაასახელებდა.

ქალი პასუხის მაგივრად გადაეხვია თავის მშობელს, რომელსაც სიტყვა გააწყვეტინა პირში ამ შემთხვევამ.

— კიდეც მაგისთვის არ მეუბნებოდი. ძლივს წარმოსთქვა იმან.

— რა გინდა მამავ? რას დასდევ, ვინც უნდა იყოს?... მე შემოგფიცე და არ მოგშორდები.

— ყოველი დღე კი ოხვრით და მწუხარებით გაატარო?

— ვეცდები დავივიწყო...

— ვერ დაივიწყებ, ვერა! პირზედ ხელების დაფარებით უთხრა მამამ.

— ვაჟია ქრისტიანია და მე ჩეჩნელი—უნდა დავივიწყო.

— უნდა,—თუ კი შესძლებ.

— გითხარ, რომ შევძლებ მეთქი.

— ელისო! ყური დამიგდე... მე მყვანდა ჩემი ჯოგი და მთელს ,ჩეჩნის მინდორზედ დამიდიოდა უშიშრად,—მოვიდნენ გიაურები და წამართვეს.... მე მყვანდა ჩემი «ცხორი» და ჩემს სახლს წინ სტუმარს არ გაუვლია, რომ არ მომეპატიჟა, საკლავი არ დამეკლა,—გიაურები დამეცნენ და წამართვეს... მე მქონდა სახლი და ის თავ-შესაფარი იყო ყველა შეწუხებულისა, ყველა გაჭირვებულისა,—მოვიდნენ გიაურები და დამიწვეს... ყველა ეს ქართველებისაგან მოხდა, ისინი მოუძღვებოდნენ ბელადათ «გიაურებს», ისინი უჩვენებდნენ გზას, ისინი გვეომებოდნენ!... შემრჩა სამი ვაჟი, შენ და ჩემი იარაღი. მე გავიქეცი მთებში, იქიდგან მინდოდა გადამეხადა ამ უსამართლობისთვის, მაგრამ, რა ღმერთი კაცზედ ერთხელ ხელს აი-

ღებს, ტყუილი-ღაა იმისი ცდა!... აქაც „გიაურები“ «ქრისტიანების» შემწეობით მოვიდნენ და სამივე შვილი რიგ-რიგად თვალ-წინ დამიხოცეს... მაღალო ღმერთო! რა დღე იყო ის დღე!.. მე როგორ-ღა გადავრჩი ამის მნახველი!... ერთი ესღა მქონდა სანუგეშო, რომ ვაჟ-კაცნი ვაჟ-კაცათ დაიხოცნენ; სამთავ მკერდი ჰქონდათ გახვრეტილი, ჩემს შვილებს ზურგი არ ეჩვენებინათ მტრისთვის...

აქ მოხუცს შეჩერება დასჭირდა. მალზედ ამოიხვნეშა ანზორამ, გადისვა შუბლზედ ხელი და კარგა ხანი მოუნდა, სანამ ლაპარაკის გაგრძელებას მოახერხებდა.

— შვიდჯერ იერიშით მოსულნი გიაურები, შვიდჯერვე გავაბრუნეთ უკან და აქაც თუ ქრისტიანები (ქართველები) არ ყოფილიყვნენ, გიაურები ვერ აიღებდნენ ჩვენს სოფელს!... ერთი მე, მე-ღა გადავრჩი ჩვენის სახლიდგან და ისიც იმისთვის, რომ ყოველი გვარი ჯოჯოხ[illegible] ცეცხლი დაბრუნებულიყო ჩემს გულში!.. დავბერდი, მოვუძლურდი და როდესაც მოსვენება მეჭირვება, მომვლელს ვეღარ ვპოულობ, ვშორდები ჩემის მამა-პაპის საფლავს, ვშორდები ჩემის შვილების ძვლებს, რომელთაც ჩემი ძვლები ვეღარ შეეხება!... ძნელია, ძნელი ჩემი ცხოვრება! მომმეთ ცრემლიც კი აღარ ელირსება უპატრონო ცხედარს... ეხლა მარტო შენ-ღა უნდა იყო ჩემს ნუგეშად, მარტო შენგან-ღა მოველი თვალების დახუჭვას, მაგრამ... თუ ვაჟია მართალის გულით გიყვარს, თუ ვერ დასთმობ იმას, მითხარ და... მაგ უკანასკნელს ნუგეშსაც... დავთმობ...

— არა მამა, მე არ მოგშორდები, ასჯერ მომეტებულათაც რომ მიყვარდეს, მე არ მოგშორდები!.. დრო გაივლის... დამავიწყდება... განა დამავიწყდება, მამავ?..

მამამ მიიკრა გულში ქალი და მთრთოლარეს ტუჩებით

დაუწყო ლოშნა. მერე მიაპყრო ზეცას თვალები, დაწყნარდა, მაგრამ გულ-მხურვალედ წარმოსთქვა:

— გმადლობ შენ ღმერთო, რომ ამ უკანასკნელს ნუგეშს მაინც არ მართმევ!

ანზორამ ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც ერთი მოწივული ბიჭი, კოხტად თოფ-გადაგდებული მხარზედ და გვერდზედ თუშურ ქუდ-მოგდებული,—თავს წამოადგა.

— მარშიოლდულ! *) შემოსძახა იმან მოსვლის უმალ.

ელისო ფეხზედ წამოვარდა ამ ხმაზედ, მთლად გაწითლდა და თავ-დახრილს ხმა ვეღარ ამოეღო.

— გაგიმარჯვოს, უპასუხა ანზორამ ფეხზედ წამოდგომით. სტუმარი ღვთისაა, წავიდეთ ბინაზე, რაც ღმერთმა მოგვცა, იმით ვახსენოთ იმის სახელი.

— ჩეჩნელნი პურადნი არიან, იმათი გულ-უხვობა შორს არის განთქმული, მაგრამ პური არ მშიან...

— მგზავრი ყოველთვის მზად უნდა იყოს პურის საჭმელად, ვინ იცის მეორე წუთს ექმნება-და პურის საჭმელი დრო?

— კაი, კაი, რომ აგრეა, მაგრამ გზას მივეშურები... აქ იმად მოვბრუნდი განთქმული ანზორა ჩერბიყის სოფლელები თუ იქნებოდნენ, იმის ამბავს ვკითხამდი.

— ანზორა ჩერბიყ?... ანზორა ჩერბიყ მე ვარ. მაგრამ შენ ვინა ხარ, ვერა გცნობ? ბნელა.

— ანზორ! დაიძახა უცნობმა და წინ მოიწია.

— ვაყია! წამოიძახა გაკვირვებულმა მოხუცმა.

— ღმერთო! ელისოც აქ არის! ცოტა სიჩუმის შემდეგ წარ-

---

*) ჩეჩნურად «გამარჯვება.»

მოსთქვა ვაჟიამ.—რა ამბავია? საით გამგზავრებულხართ? ხატობას თუ მიხვალთ? დააცქერდა ელისოს.

რადგანაც პასუხს არავინ აძლევდა, ისევ ვაჟიას მოუნდა ლაპარაკი.

— ქალაუ! ჩემი მხრის ქალები ხატში ლხინით და თამაშით მიდიან. შენ რაისთვის-ღა მოგიწყენია?

— ჩემის მხრის ქალებმაც ლხინის დროს ლხინი ვიცით და გლოვის დროს—გლოვა. უპასუხა გულ-ჩათუთქულმა ელისომ.

ამ სიტყვებზედ შეკრთა ვაჟია, რომელიც საზამთროდ ბინის დასაჭერად მიდიოდა ანზორას სოფელში და რომელმაც ამათი გადასახლების ამბავი არ იცოდა; ის ემზადებოდა ამავე ზამთარს ელისო ეთხოვა. ვაჟიამ წყნარად მოავლო თვალი იქაურობას და გადასწყვიტა, რომ იმათი სამზადისი ხატობაში წასვლას არ მიემგზავსებოდა.

— ანზორ, რა ამბავია? იკითხა იმან შეშინებულის ხმით.

— სტამბოლს მივდივართ, ყრუდ, მაგრამ გარკვევით წარმოსთქვა იმან.

ეს სიტყვები ისე მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო ვაჟიასთვის, რომ სიტყვა გამშრალს კარგა ხანი მოუნდა, სანამ ხმის ამოღებას მოასერხებდა.

— სად მიხვალთ? როგორ სთქვი? ბოლოს წაილუღლუღა იმან.

— სტამბოლს. მოკლეთ მოუჭრა მოხუცმა.

— სტამბოლს? გაიმეორა ვაჟიამ დაფანტვით და ჯერ კიდევ აზრები ვერ მოეკრიფა.—სტამბოლს?.. ეგ საით იქნების? მეხუმრები ანზორ განა?... ოო, ელისო! შენ მაინც მითხარ მართალი.

— ანზორ მართალს ამბობს, სტამბოლს მივდივართ.

— ელისო, რას ამბობ?.. იფიქრე კარგად... მერე მე რაღა პასუხს მაძლევთ?

— შენ?... ჰკითხა მოხუცმა და სიტყვა ვეღარ გაათავა.

— ჰო, მე, მე!... მაგრამ რაიღა დამალვისაა!.. ელისო მიყვარს, ელისოსთვის დნების ვაჟიას გული! შენ კი ამბობ სტამბოლს მივდივართო!

— ჩემი ქალი გიყვარს, მაგრამ...

— მიყვარს ღთის მადლმა და ისე მიყვარს, როგორც თევზს წყალი, როგორც ფრინველს ჰაერი!... ოო! ანზორ! მე უმაგისოდ ვერ გავძლებ.. რაისთვის მირღვევ ბედნიერებას, რად მართმევ სიცოცხლეს?!

მოხუცი მთლად კანკალებდა და პასუხი ვერ მიეცა.

იმას თვალ-წინ ედგა ოცი წლის ყმაწვილი კაცი და თექვსმეტის წლის ელისო, ისინი ითხოვდნენ ბედნიერებას, იმათ უფლება ჰქონდათ ამ ბედნიერებაზედ. რა საბუთი, რა [illegible] ჰქონდა მოხუცს იმათ საწინააღმდეგოდ?...

— ელისო, გესმის? უპასუხე, შენ თავად უპასუხე.

— ელისო! მითხარ, მითხარ, თორემ ნაღველი მისივდების, გული მელევის!..

თუმცა მამაც დ ვაჟიაც ორნივ იწვევდნენ ელისოს სალაპარაკოდ, მაგრამ ის ისე გაქვავებულს სურათსავით იდგა, თითქოს მოლაპარაკეთ სიტყვები იმას არ შეეხებოდა.

ორნი მკითხველნი გულის მგერით მოელოდნენ ელისოს პასუხს, თუმცა ორთავეს სრულებით სხვა-და-სხვა პასუხის გაგონება უნდოდათ.

ელისო ჩუმად იდგა და ხმა-ამოუღებელს ეტყობოდა, რომ გულში ორს მოპირდაპირე გრძნობას წარმოუთქმელი ბრძოლა ჰქონდა. ერთკენ იდგა მამა და შვილის მოვალეობა

იმის წინაშე, მეორედკენ—სატრფო და იმისი დათმობა. ამ ერთის წუთის წინ ელისოსთვის გადაწყვეტილი იყო, რომ გრძნობაზედ მოვალეობას უნდა გაემარჯვა, მაგრამ, რა თვალი შეჰკრა ვაჟიას, რა უხილავმა ძალამ გაირბინა იმის სხეულში, რა ვაჟიას ხმა გაიგონა, ის მაშინვე გადაიქცა იმად, რადაც უნდა ყოფილიყო—დედაკაცათ. ჵ თუ ჯერ სიყვარულის გრძნობას სრულიად არ დაემორჩილა იმისი გული, გამარჯვებას მოვალეობისათვინაც არ დაუთმო მას.

— ელისო! გაიმეორე ისა, რასაც წეღან მეუბნებოდი... თუ ვეღარ გაგიბედნია, რა ეს კაცი დაინახე?

— მამავ! ძლივს გამოსთქვა ელისომ და გაჩუმდა ისევ...

— რაღასა გითხამ! გულ-დაწყვეტით წამოიძახა მოხუცმა. დღე საით დაიმალება!? მომატყუვე განა? წყენით დაუმატა ანზორამ და მუხლები ჩაეკეცა. ისე დარჩა რაოდენიმე ხანი და სხვებიც გაჩუმებულნი იდგნენ. მშობლის უბედურებას დაემონებინა, თავი მოეხრევინა ყმაწვილურის გატაცებისათვის.

მოხუცის გული იღუპოდა, იღუპოდა ვაჟიას და ელისოს გულიც იმისი ცქერით. ბოლოს მოხუცმა აიღო თავი და უნუგეშოდ მოათვალიერა იქ მყოფნი; მთრთოლვარე თითები ვითქოს ხელ-მოსაკიდს საშველს საგანს ეძებდნენ. ბოლოს დაიფარა თვალებზედ ხელი და წარმოუთქმელის მწუხარებით სთქვა:

— მაშ ყველაფერი გათავდა ჩემთვის, ყველაფერი... სრულიად მარტოდ, მარტოდ უნდა ვიარო?... არც შემბრალებელი, არც დამტირებელი? არც სამშობლოს მიწა-წყალი?... ყველაფერი წამართვეს, ყველაფერი...

— შენ, შენ ვაჟიავ, გეხვეწები! შენა გთხოვ, …ები!.. გესმის, ანზორა ჩერბიჟი გეხვეწება. ანზორა ჩერბიჟ…, რომე-

ლიც თავის დღეში კაცს არ შეხვეწნია... შენ ვაჟ-კაცი ხარ, გაიგებ ჩემი ხვეწნის ძალას... გაიგებ მოხუცის გულს... ნუ წამართმევ ამ სიბერის დროს მაგ მარტოდ ერთს ნუგეშს!.. შენ რა გიჭირს, ბედნიერო! შენ სახლი გაქვს, კარი, მამული, შენი მიწა-წყალი!... შენ ძმები გყავს, ნათესაობა, შენ უმაწვილი ხარ და კიდევ ბევრი ბედნიერება მოგელის—კიდევ ბევრს იპოვი თვალ-ჟუჟუნა ქალებს, რომელნიც შენ გაგახარებენ და მე?.. აბა შემომხედე... მე მოხუცდი, ცალი ფეხი სამარემდის მიმიღწევია, ყველაფრით ცარიელი დავრჩენილვარ და ეს ქალიც რომ წამართო, რაღა მრჩება?..

ამ სიტყვებზედ მოხუცს სული შესტაცა მღელვარებამ, იმან დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად ქშენა, რადგანაც სული ვეღარ ამოექცია და უსიტყვოდ, ხელების მოძრაობით-ღა ანიშნებდა თავის სატანჯველს. აშკარად გამოხატოდა პირის-სახეზედ იმ აღგზნებულის საკირის ძალა, რომელიც ანზორას გულში ინთებოდა.

ვაჟია გულ-კეთილი იყო და ამის მაგალითი არა ერთხელ ენახათ, მაგრამ ელისოს დათმობა იმისთვის შეუძლებელი იყო, რადგანაც თავისი არსებობაც ვერ წარმოედგინა უიმ ქალოთ.

ელისოს შაენანა თავისი მამა, ამ სურათმა მეტად მოულბო გული, ვაჟიას აღარ დააცალა პასუხი და აშკარა მღელვარებით და ხმის კანკალით, რომელიც წამ-და-უწუმ უწყდებოდა, წარმოსთქვა:

— ვაჟიაუ! იყოს თავდები ზევით ღმერთი და ქვეშ დედამიწა, რომ ელისოს შენს გარედ არავინ ჰყვარებია, არ უყვარს და არ ეყვარება!... თავის დღეში შენს გარეთ სხვა კაცს იმის ქმრის სახელი არ ერქმევა...

ამ სიტყვებზედ მამამ მწარედ დაიკვნესა, ვაჟიამ სიხარულით წინ წამოიწია.

— მაგრამ... მაგრამ ელისო თავის მამას თავს არ დაანებებს!

ამ სიტყვების შემდეგ მოძრაობა შეიცვალა,—მოხუცი მთრთოლვარე ხელებით ეპოტინებოდა ქალს, რომ იმისი სახე მიეზიდა თავის გახურებულს და გამშრალს ტუჩებთან,——მაშინ, როდესაც ვაჟია ზარ-დაცემულსავით იდგა და გაბრუებული არ ესმოდა, რა ხდებოდა იმის ირგვლივ.

იმას თვალები თითქოს ენთებოდა და ზედ წითელი რაღაც გადაბლანდოდა, რომელიც წამ-და-უწუმ გაწითლებულს ცეცხლსავით ფეთქამდა; თავზედ თითქოს რკინის თალები შემოეჭირათ და მით სისხლის და აზრის მოძრაობა შეეყენებინათ.

მე ასე მგონია, რომ ვაჟია სწორედ იმ მდგომარეობაში იყო, რომელიც სიგიჟის წინა წუთებს მოასწავებს.

ბოლოს იმან ძალზედ ამოიქშინა, თითქოს ამითი უნდოდა განთავისუფლებულიყო მძიმე ტვირთისაგან; გაიქნია რამდენჯერმე თავი, მოიკრა გულზედ ხელი და «ოხ მე»-ს წამოძახებით საკინძე წელამდის ჩაიტანა.

ანზორა წამოდგა და ქალზედ დაყრდნობილი ცახცახით გაბრუნდა. მერე შედგა, მოუბრუნდა ვაჟიას და უთხრა:

— მშვიდობით ვაჟიაუ!... ღმერთმა კეთილი მოგცეს, ილბალს შეგახვედროს და ამ სიტყვებით გაბრუნდა, რადგანაც მეტი ვეღარა მოახერხა-რა.

— მოიცა ანზორ! წამოიძახა მოხუცმა ერთბაშად და ხელებ გაწვდილმა რამდენიმე ნაბიჯი წადგა წინა.

ანზორა შედგა.

— შენ ამბობ, რომ ელისო გიყვარს, მაგისთვის კეთილი გინდა... მერე მე კი არ მიყვარს, მე კი არ მინდა კეთილი?... ღთის მადლმა, მე შენზედ მეტად მიყვარს! მე შენზედ მეტად გავიტანჯები უმაგისოთ!... თუ ეგ არ მეყოლების, რადამ უნდა მაცოცხლოს?

— ელისო! წაჰყვევ, თუ გინდა? უთხრა მამამ.

— მამავ! მე გითხარ თავს არ დაგანებებ მეთქი, რაღად მაწვალებ?!

— კაყიავ! ხომ გაიგონე, რომ ჩემი ქალი ჩემთან რჩება?

— და ის კი ველარ გაიგონე, რომ მე ვუყვარვარ? მიატანა კაყიამ.— მე ვუყვარვარ და შენთან კი რჩება! ვერ გაიგონე, რომ ჩემის მეტი ქმარი არ უნდა?... რაისთვის უმწარებ სიცოცხლეს?... იმად რომ მარტო შენ ისიამოვნო?... აჰჲუ!.. შენ ჩემზედ ცოტად გყვარებია!

— მე ჩემის სიხარულისთვის მაგას ვერ გავტანჯავდი, ვერა, ღთის მადლმა!

— ო-ო, წყეულო, წყეულო! კბილების ღრჭიალით წარმოსთქვა მოხუცმა.— გველი გარედგან არის ჭრელი და ადამიანი შიგნიდგან!... შენ გინდა მაგ სიტყვებით დამათმობინო ქალი?... ო-ო, წყეულიმც....

— მამავ! გააწყვეტინა ელისომ.— ნუ სწყევლი, მე გითხარ, თავს არ დაგანებებ მეთქი და...

— მაშ არ გიყვარვარ? შესძახა კაყიამ დ მთლად გაფითრდა.

— მიყვარხარ, ღმერთია მოწამე, მაგრამ მამას თავს არ დაგანებებ.

— მაშ უშენოდ თავი რაღად მინდა! წამოიძახა ერთბაშად მოხუცემ.

ამ სიტყვებთან ერთად იმან მარდათ წამოიტრიალა თო-

ფი, წამოაყენა ჩახმახი და წვერი მიიბჯინა გულზედ, ისე რომ სასხლეტს ფეხით მისწვდომიყო.

ელისომ დაიწივლა და გულ-შემოყრილი დაეცა, ანზორა მივარდა და თოფს ხელი აუკრა სწორედ იმ დროს, როდესაც მოხუცე ფეხით დაცემინებას უპირებდა ჩახმახს. თოფი გავარდა, მაგრამ ანზორას წყალობით ტყვიამ ჭერში გაიტანა გრიალი.

— რას სჩადი, შე ცოდვით სავსევ! შესძახა ანზორამ.

— რად მიშველ, თავი მოვიკლა... უმაგისოდ ჩემი სიცოცხლე მაინც არ იქნება.

— ნუ გამრევ შენს ცოდოში, შენ შენი ღმერთი, დადექ...

ამ დროს დაინახეს გულ-შემოყრილი ქალი და ორნივ იმისკენ გაქანდნენ, ორთავ თავიანთი თავი გადაავიწყდათ და ცდილობდენ ელისოს მობრუნებას; ბოლოს როდესაც კარგა ხანმა გაიარა, ქალმა ამოიქშინა და იმის ამოქშენასთან მამამაც და ვაჟიამაც ძლივს თავისუფლად ამოისუნთქეს.

— გადარჩა! წარმოსთქვა მოხუცმა.

— მადლი უფალს! დაუმატა ვაჟიამ.

იმათ ორთავეს გადავიწყებოდათ თავიანთი წინააღმდეგობა, თავიანთი განსაცდელი, თავიანთი თავი და საზრუნველად მარტო ელისო-ღა გახდომოდათ—იმის მეტი აღარა ახსოვდათ-რა.

ელისომ წყნარად გადაისვა შუბლზედ ხელი, კიდევ ამოისუნთქა და წყნარად წარმოსთქვა:

— სადა ვარ?... რა მომდის?

— ნუ გეშინიან, ნუ, ელისო!.. აქა ხარ, ჩემთან, უპასუხა ანზორამ.

ოჰ! მამავ!... რა ამბავი იყო?... რაღაც მოხდა, მაგრამ არ მახსოვს?!

— არაფერი, თოფი გავარდა და შენ შეგეშინდა...

— ჰო, თოფი!?.. წარმოსთქვა იმან და წამოიწია, მერე ერთბაშად მოაგონდა ყოველის ფერი და საშინელის წივილით წამოვარდა:—რა იყნა, რა?... შენ მოჰკალ! მამავ! შენ... ვაიმე დალოუპულმა!

ამ სიტყვებით იმან გაიკრა თმებს ხელი, მაგრამ ვაჟიას გაშლილი მკლავები ჩქარა მოეხვია იმას და მიიკრა გულთან.

— ნუ გეშინიან, აქა ვარ შენთან, ცოცხალი, კარგა მყოფი.

— ღმერთო ჩემო!... მითხარ, ხომ არა იტკინე-რა, ხომ არ დაიჭერ... მართლა, ცოცხალი ხარ, მართლა?... ო-ო, შე უღმერთო, თავი რომ მოეკლა, მე რაღას მეუბნებოდი?.. აღარ გებრალებოდი მაინც?!. ხვევნითა დ კოცნით ეუბნებოდა ელისო!

— ჩემო ყველავ! იყო ვაჟიას პასუხი, რომელსაც სხვა სიტყვა ვეღარ მოეხერხებინა.

იმათ ყოველისფერი გადაავიწყდათ, რადგანაც მარტო სიყვარულის გრძნობამ-ღა შეიპყრა.

საცოდავი მამა, რომელიც სიყვარულს გადაევიწყებინა იმის შვილებისთვის, იქვე იდგა და ხმის ამოღებას ვეღარ ჰბედავდა. დარწმუნდა, რომ იმის შვილებისთვის შაერთების მეტი გზა აღარ იყო და ამისმა წინააღმდეგობამ კინაღამ ორივე ხელიდგან გამოაცალა,—ეხლა ვეღარ ბედამდა იმათ ბედნიერების შეხებას..

რამოდენიმე ხნის შემდეგ, მამა ლოცამდა იმათ და მას უკან პირობასა სდებდნენ, რომ ხვალ «მაუგში» (ვლადიკავკაზში) გამოეცხადებინათ, რომ ანზორა თავის ქალით აღარ მიდის «სტამბოლს.» ამის მაგივრად ისინი წავიდოდნენ ვაჟიას სახლში, სადაც მოხევე იქორწინებდა ელისოსთან და მოხუცი მამა იქ გაატარებდა დანარჩენს სიცოცხლეს.

ამის შემდეგ ისინი გაბრუნდნენ ბინაზედ, საიდგანაც ისევ ის გულ-საკლავი ჭიანურის ხმა მოისმოდა, რომელსაც აყოლებდნენ იმავე შესაზარს გმინვას, ზუზუნს და გოდებას.

— წელან კიდევ მზისგან გახურებულ მიწას სითბო მისდევდა, მაგრამ ეხლა ღამეს აეშვა თავისი სიო და ასობით ავადმყოფები, დაყრილნი მინდორზედ, უჩარდასოდ, უქმოდ, მწარე სურათს წარმოადგენდნენ. ერთს ალაგს ხედამდით გაქვავებულს მშობელს, რომელსაც შვილი ხელიდამ ეცლებოდა და საბრალო დედა მწუხარე თვალებს აბრუნებდა აქეთ-იქით, თითქოს უსიტყვოდ ეხვეწებოდა, რომ ეშველათ რამე იმის ნაშობისთვის, რომელიც ისე უპატრონოდ, უნუგეშოდ სულსა ღევდა მშობლის ხელში.

მეორე მხარეს კიდევ მშობიარე" იკლაკნებოდა წარმოუთქმელის ტკივილებისგან, კბილების ღრჭიალით იწვევდა ღმერთის ამ უსამართლობის მოწმად; მესამე ადგილას მამა მიხრწნილის ხმით ესალმებოდა თავის შვილებს და გულის ხეთქით ჰფიქრობდა, რომ სრულიად და სამუდამოდ შორდებოდა იმათ და გამარტოვებული უნდა დამარხულიყო. ყოველ ადგილს მწუხარება, ყოველ ადგილს გაჭირვება, კვნესა და ამის ზანათ ჭიანურის სევდიანი ხმა და მწარე უსიტყვო გმინვა და ზუზუნი.

III

ამ ზუზუნით და გმინვით დაალამეს და ამავე ზუზუნით და გმინვითვე დახვდნენ ალიონს ეს ტანჯულნი...

ვაჟია თავის აღზრდით და ცხოვრებით, შეჩვეული გაჭირვებას და მოთმინებას, რაღაცა აღელვებულის და გაკაპასებულის

გულით წარმოუთქმელად მოელოდა მზის ამოსვლას, როდესაც შეიძლებდა ამ შესაზარის სურათის მოშორებას.

და ან ვინ დარჩებოდა ისე უგულოდ, რომ არ ეგრძნო ამ საერთო მწუხარების ძალა, გარდა იმ სალდათებისა, რომლებიც მიჩენილი ჰყვანდათ გადამსახლებელთ წესისა დ მშვიდობიანობის დასაცველად.

მარტო ისინი იდგნენ მხიარულად, იცინოდნენ და ოხუჯობდნენ ამ უსიტყვოდ ხალხის წუხილზედ. შეჩვეულნი მუდამ გარეგანს ცხოვრებას, მოშორებულნი საკუთარს სამშობლოს, სახლს, კარს, სახლობას, გულ-გაქვავებულნი სხვის მწუხარებისადმი, არ გრძნობდნენ და არ ესმოდათ რაზედ იკლავდენ თავს ეს პატიოსანნი და ყოვლის სიკეთით სავსე მამულის შვილნი. შეჩვეულნი მუდამ ხეტიალს და წანწალს ერთის ადგილიდამ მეორეზედ, თავის სურვილს და წადილს მოკლებულნი და ძალ-დატანებით დამონებულნი, მუდამ სხვის წადილით და სურვილით მცხოვრებნი ჰფიქრობდნენ, რომ სხვანიც ისე უნდა ყოფილიყვნენ და ვერ გაეგოთ, რომ სხვის სურვილით და ბძანებლობით ცხოვრება ყველასგან ერთ რიგად ვერ აიტანება.

მზემ წვერი ამოჰყო, მინდვრის მახლობელ ტყიდგან მოისმა ჭიკჭიკი და გალობა სხვა-და-სხვა ფრინველებისა. ბუნებამ გაიღვიძა და ყოველი სულდგმული ქებას ასხამდა მის ძლიერებას. თვით ნამი, რომელიც მცვრად დასდებოდა ზურმუხტოვანს მინდორს, შემკულს ფერადოვანის დ სურნელიანის ყვავილებით, შესთამაშებდა მზის სხივებს, რომლის მიკარებისთანავე ათას გვარად იცვლიდა ფერს.

რამდენადაც მშვენიერი იყო ეს ადგილები, რამდენადაც შაეძლო ამ უმანკოს ძლიერს სურათებს კაცის გულის გამხია-

რულება, იმდენად მეტს ნაღველს უსხამდა გადამსახლებლებს გულში, იმდენად მეტად აგრძნობინებდა მათ თავიანთ უბედურებას. გაიღვიძეს ვინც კი ძილი შესძლო, წამოდგნენ ყველანი და ზარმაცად მიმართეს თავ-თავიანთ ურმებს, თავ-თავიანთ საქონელს, რომელიც იქვე პატარა ბიჭებს საძოვრად დაუდიოდათ.

იმათი მოქმედება იქამდის დადუნებული და დადამბლებული იყო, რომ ყოველ ნაბიჯზედ ავიწყდებოდათ, რისთვის მიდიოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ? ათასჯერ თავს-ბრუ-ხვევამდის ეძებდნენ ტაბიკს, ანუ კიდევ სხვა ურმის რომელსამე იარაღს, მაშინ როდესაც ის იარაღი ხელში ეჭირათ. ან კიდევ მიმავალს რომელსამე საქმეზედ, ერთბაშად უხილავი ძალა შეაყენებდა, დააფიქრებდა და ისე დაღვრემილი რჩებოდა იმ წუთამდის, ვინემ რომელიმე გულ-კეთილი მეზობლის, ან მბრძანებლის სალდათის ხმა არ გამოიყვანდა ამ თავ-დავიწყებიდგან.

— ანზორ, ახლა კი წავალ «მაუგს.» უთხრა ვაჟიამ გათენებისათანავე.

— კარგი.

— სანამ შენ ამოხვალ, ყოველისფერს მოვამზადებ. ვითხოვ...

— კარგი.

— ელისო მენახა?... გაუბედავად დაუმატა იმან.

— ელისოს ძლივ ჩაეძინა ურემში, დაეხსენ, ცოდოა.

ვაჟიამ პასუხი აღარ მისცა, ამოიოხრა და გასწია ვლადიკავკაზისკენ, სადაც პირ-და-პირ ნაჩალნიკთან მივიდა.

კარგა ლოდინის შემდეგ, «დიდმა ბატონმა» ნაჩალნიკმა

ძლივს აღირსა თავისი ხილვა და გამობძანების უმალ ვაყიას ქუდის მოხდაზედ ეკითხა:

— შენ ვინა ხარ?

— მე მოხევე გახლავარ, შენი ჭირიმე.

— რას ამბობს? ჰკითხა თარჯიმანს, რომელიც იქავე ახლოს იდგა. იმანაც გადუთარგმნა მოხევის სიტყვები.

— რა უნდა?... უთუოდ ქურდობაზედ დაიჭირეს, ეგ ავაზა-კი!.. ახ, ღმერთო ჩემო! როდის იქნება ერთი თავიდგან მოგ-ვაშორონ ეს მოუსვენრები?

— მე «ცხო გორისა» ვარ, ქურდობაზედ ვერ დამიჭერენ!... ამაყად უპასუხა ვაყიამ, რომელსაც ცოტ-ცოტად ესმოდა რუ-სული.—მე საქმე მაქვს, იმად მოვედ.

— რა საქმე? ჩქარა მითხრას,—არა მცალიან.

— ერთი მოხუცებული ჩეჩნელია, იმას აღარ უნდა გადა-სახლება და იმის მაგივრადა გთხოვთ, რომ გაუშვათ.

— გაეთრიე! დაუყვირა ნაჩალნიკმა, რა წამს შეიტყო ვა-ყიას მისვლის მიზეზი.

— რად მიწყრები? პატრონი არვინა ჰყავს, ერთი ქალის მე-ტი და...

— მე რომ შემეძლოს, სუყველას, გესმის სუყველას, გადა-გასახლებდით, თავიდგან მოგიშორებდით და შენ კი მთხოვ, ვინც ჩაწერილია, ისიც გავანთავისუფლო?... წადი, წადი, მომ-შორდი თავიდგან.

— შენი ჭირიმე, ბატონო...

— მომშორდი მეთქი, გეუბნები... შენთვის არა მცალიან.

— მაშ ვისთვის გცალიან? უპასუხა გულ-მოსულმა ვაყიამ.— საქმე მე მაქვს და ჩემთვის არა გცალიან?

— ეი! ყაზახებო! დაიძახა ნაჩალნიკმა და უჩვენა ვაყიაზედ: — გაი-გაი მათრახები მაგას!

ვაყია მთლად გაფითრდა და უკან გადახტა.

— თქვენ ცოდოში ნუ გამხვევთ! დაუჭყივლა იმან ყაზახებს და გადმოიტრიალა თოფი.

ყაზახები, რომელთაც მიიწიეს ვაყიასკენ, ერთბაშად უკან მიაწყდნენ და გულ-გახეთქილი ნაჩალნიკი კი ყვირილით ოთახში შევარდა.

ყაზახები, რომელნიც პირველში ისე შეფრთხნენ და ვეღარ მიეკარებოდნენ ვაყიას, ისევ გონს მოვიდნენ და შერცხვათ, რომ ერთის კაცს შეუშინდნენ.

— დაიჭირეთ, დაიჭირეთ! დაიძახეს იმათ, მიიწიეს ვაყიაზედ, რომელმაც ჩახმახი წამოაყენა და ისე ელოდა.

— ჩამომეხსენით, რაი გაქვსთ ჩემთან გასაყოფი! შესძახა იმან.

— დაყარე იარაღი, დაგვნებდი! უყვიროდნენ ყაზახები.

— სანამც გიკვნესიათ, სანამ ცოცხალს ვაყიას იარაღი ვერ დააყრევინოთ!

— თოფები, თოფები! დაიძახეს ყაზახებმა და რამდენიმე იმათგანი გაიქცა ბძანების აღსასრულებლად.

რადგანაც ეს საქმე ბალკონზედ მოხდა და ვაყია ისე მოემწყვდა, რომ ჩასასვლელი კიბე ყაზახებს ჰქონდათ დაჭერილი, მიხვდა, რომ ცოცხალი ვეღარ გავიდოდა და ძვირად უნდოდა გაეყიდა თავისი სიცოცხლე.

— აი, ძაღლებო!.. ოცი ერთზედ გულადები ხართ განა?... აბა თუ კაც-კაცები ხართ თითო თითოდ მოდით და ნახამთ, ვისი დედა ატირდების...

ვაყიას ნების-ნებად არ უნდოდა კაცის სისხლში გარევა,

მაგრამ არ უსვენებდნენ იმას და ისიც მოემზადა ძვირად გაეყიდა თავისი უმაწვილ-კაცობა.

ამ დროს მოიხედა უკან და გადებული ფანჯარა დაინახა, რომელიც გზას გადაჰყურებდა. ერთის თვალის დახამხამებაზედ ის შეხტა ფანჯარაზედ და გადახტა. ქვევით ერთი ყაზახი ცხენებს ატარებდა, რომელიც ნაჩალნიკისთვის მოემზადებინათ, რადგანაც მინდვრად, ჩვენელთ დასათვალიერებლად, გასვლას აპირებდა.

ვაყია მივარდა ყაზახს, რომელიც ბავშვსავით აიღო და დასცა, წაართვა საუკეთესო ცხენი, წუთზედ მოაჯდა და გაჰქუსლა ტყისაკენ.

გაშტერებული ყაზახები მისცვივდნენ ფანჯარას, მაგრამ გადახტომა ვერვინ გაბედა. ამ დროს მოიტანეს თოფებიც და ორი-სამი სროლა ძლივს მოასწრეს, სანამ ვაყია სახლის კედელს მოეფარებოდა.

სხვა ყაზახები ჩაცვივდნენ, მოასხდნენ ცხენებს და გამოეკიდნენ ვაყიას, რომელიც მინდორზედ გავიდა და მიაჭენებდა ტყისაკენ.

იმას მისდევდნენ ყაზახები, ჯერ ჯგუფად და თოფის სროლით, მერე რამდენიმე ცხენი დაწინაურდა, ცოტას ხანს შემდეგ ორი ცხენი გავიდა წინ და ბოლოს ერთმა დაიგდო ყველანი.

თოფის სროლა შესწყდა, რადგანაც უკანანი ვეღარ ჰბედავდნენ, რათა წინა ამხანაგები არ დაეჭრათ და ყველაზედ მოწინავეს კი თოფი არ გაჰყოლოდა. მაგრამ იმისი მხეცსავით ჩასისხლებული თვალები აშკარად ამბობდნენ, რომ, თუ მოეწეოდა ვაყიას, ის ისე არ შეიწყალებდა, როგორც უკანასკნელს მხეცს.

ვაყია მიაჭენებდა თავის ცხენს და ხანდისხან დასჭყივლებდა ქუდის მოხდით და ქნევით, მაგრამ ნამთევს, გასუქებულს ცხენს ქშენა მალე მოეკიდა და ერთბაშად უკლო, მაშინ როდესაც უაზახის ცხენი ისევ ისე მირბოდა, რადგანაც გამოწურულს და მომზადებულს თითქმის ფერდები ერთმანერთს გაჰკროდა.

თან-და-თან უაზახის ცხენმა მოკრიფა ვაყიას ცხენი და ამან კი დაინახა, რომ ტყეში ვეღარ შეუსწრობდა. სხვა უაზახები, რომლებიც ყიჟინით ამხნევებდნენ ამხანაგს, კარგად დაშორებოდნენ მას.

ვაყიამ მოიხედა უკან და ისე წინ მიუხედავად უყურებდა; უაზახს გაეძრო ხმალი და წუთიდ-წუთს ელოდა ვაყიას წამოწდომას. ვაყიამ გადმოიბრუნა თოფი და დაუმიზნა, უაზახი სწორედ იმ წამს გადაწვა ცხენზედ, როდისაც თოფმა გრიალი მოიღო და ტყვიამ მარტო ქუდი-ღა გაუკენწლა. ის გაიმართა ისევ ცხენზედ და დასჭყივლა. მოხევს დრო აღარა ჰქონდა თოფის ხელახლად გასატენად და ამისთვის მხარზედ გადაიგდო, როგორც იმ ჟამად გამოუსადეგი იარაღი და გაიძრო თვითონაც ხმალი... კიდევ წუთი და დასაკრავად შემაღლებულის ხმლით უაზახი წამოეწია; ვაყიამ სწორედ იმ დროს წაიბრუნა გვერდზედ ცხენი, როდესაც უაზახმა ხმალი მოუქნია. უაზახის ცხენი ოდნავ გასცდა ვაყიას ცხენს, მაგრამ იმ წუთში იელა მოხევის ხმალმა.

ეს ყველა ისე სწრაფად მოხდა, ისე საჩქაროდ, რომ კაცი ძლივს მოასწრობდა თვალს. უაზახის ცხენი გავიდა წინ, ვაყიაც გაიმართა. უთუოდ ორნივ გადარჩნენ!... რამდენიმე ხნის შემდეგ უაზახის ცხენი ყალხზედ შედგა თითქოს პატრონმა ჯილავს მოსწია მაღზედაო, უაზახი შეტორტმანდა, გად-

მოიზნიქა უკან, კიდევ წუთი და ის ჯერ გადმოეკიდა ცხენს, მერე ავყანდიდგან ფეხი დაუსხლტა და გაგორდა მიწაზედ.— ვაყიას ხმალს თავი შუაზედ გაეხჩა იმისთვის.

განთავისუფლებული ცხენი მოუსვენარ პატრონისგან, შესდგა და ხან-გამოშვებით ფრუტუნით ბალახს წიწკნა დაუწყო, ვაყია რომელიც იმას გაუსწორდა, გადასწვდა ჯილავს, დაიჭირა ცხენი და ერთს წუთში თავის ცხენიდგან იმას მოექცა ზურგზედ.

რამდენიმე თოფის ხმაზედ, რომელიც მიმართეს ვაყიას ყაზახებმა, მოხევემ დასჭყივლა ცხენს და შაეფარა ტყეში... საიდგანაც ყაზახები ბევრი ძებნის შემდეგ ცარიელები დაბრუნდნენ და ამ შემთხვევამ კი ნაჩალნიკი წამოაძახა:

— აგი მოგახსენებთ, რომ ყველანი ღვთის რისხვა და გარეგანი არიან!... რაც შეიძლება და რითაც შეიძლება საჭიროა მაგათი ჩქარა მოშორება თავიდგან!

— მართალსა ბძანებთ, მართალს! თავის კანტრუშით ეთანხმებოდნენ, თუ ეჩვენებოდენ თანახმად იქ მყოფნი, რომლებიც ჩეჩნელთ გადასახლებით ისე გახალისდნენ, რომ ქართველობასაც ამასვე უპირებდნენ.

IV

ჩეჩნელები მიასხლოვდნენ ვლადიკავკაზს. გამწკრივებული ჭრიჭინა ურმები ზარმაცად მოგორავდენ და გულს უწვრილებდნენ ადამიანს.

ურმებს მოსდევდნენ ფეხ-შიშველა ბავშვები, რომელთათვისაც სიცხეს და წვრილს ქვას, ქვიშაში არეულს, ყავარ-ყა-

კარ დახეთქათ ტიტველა ხორცი, შიგ ჩაჭკლომოდათ მტვერი და წალმა-უკუღმა ლურჯად დაეხაზათ. უეშველის წარმოუთქმელს ტკივილსა ჰგრძნობდა იმათი კანი, რადგანაც წამ-და-უწუმ კელობდნენ, აიტაცებდნენ ფეხს და, თუ არ შესტირებდნენ, მწარედ მაინც არის იღრიჯებოდნენ.

იმათ გაიარეს «ძაუგი», სადაც ხალხი მიეგება და იმათ ნახვაზედ ხმა-გაკმენდილნი გულის დუღილით შესცქეროდნენ, ვინ იცის ვისის მიზეზით წამებულებს, მაგრამ რა იყო იმათ ხელს? რითი შეუმსუბუქებდნენ ვარამს?

ელისო იტანჯებოდა ამ სურათის ცქერით და ვაჟიას ლოდინით, რომელიც არსადა სჩანდა, თითქოს გადავიწყებოდა თავისი სატრფო, რომლისთვისაც გუშინ კინაღამ თავი მოიკლა.

ანზორამაც არ იცოდა ვაჟიას თავ-გადასავალი და ამისთვის უკვირდა, რომ მოხევე არ დახვდა იმათ ქალაქის ბოლოს და არ წაიყვანა ნაჩალნიკთან, როგორც წინათვე პირობა ჰქონდათ დადებული.

ქალი და მამა დახოცილებსავით იყვნენ და ერთმანერთს თვალს არიდებდნენ, რათა უსაბედო კითხვით თავიანთ უნებლივ მწარე საგანს არ შეხებოდნენ.

ან რა ლაპარაკი-ღა უნდოდათ იმაზედ, რაც ისე აშკარა იყო? ვაჟია უნდა დახვედროდა ძაუგის ბოლოს და ისინი აგერ მეორე ბოლოშიაც გავიდნენ, მაგრამ მოხევე არსადა სჩანდა.

აი იმ ადგილამდინაც მიაღწიეს, სადაც ღამე უნდა დამდგარიყვნენ და გააჩერეს ურმები, შემოარტყეს ისევ ალყა და იმათ გარეშემო დააყენეს მცველებად სალდათები და ყაზახები.

მზე ჯერ არ ჩასულიყო, როდესაც ამ ადგილების ნაჩალ-

ნიკი თოლმაჯებით და ყაზახებით მოვიდა იქ, გამოიხმო გა-ცები და უთხრა:

— თქვენ თქვენის სურვილით მოიწადინეთ ოსმალეთში გა-დასახლება და ჩვენც ნება მოგეცით. ეხლა ჩემს ყურამდის მოაღწია ხმამ, რომ ზოგიერთს ისევ დარჩენა მოუწადინა... გიცხადებთ, რომ ვინც ერთხელ ჩაეწერა გადამსახლებელთ სია-ში იმისი აქ დარჩენა ყოვლად შეუძლებელია. რომ გაქცევა ვერ გაბედოთ, თქვენი მცველები ერთი-ორად გავამრავლე და... იცო-დეთ, ვინც გაქცევას მოიწადინებს, იმას შეუბრალებლად მოჰ-კლამენ. აგრე აქვსთ ნაბძანები.

ამ სიტყვებით ის უკანვე გამობრუნდა და იორღა ცხე-ნით ამაყად გასწია ვლადიკავკაზისკენ.

ხალხი რამდენიმე ხანი ისე ჩუმად დარჩა და უსიტყვოთ, წუხარის ოხვრით დაიშალა. ან რა უნდა ეთქვათ?.. ვის რას გააგონებდნენ?

ყველანი მოჰყვნენ თავიანთ ბინის გამართვას.

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც ოსმალეთში მი-მავლების ბინა ისევ უწინდელს სურათს წარმოადგენდა. აქა-იქ ცეცხლები, რომელთ შუა ჩრდილსავით დადიოდნენ კაცები და დედა-კაცები. ერთი განსხვავება ეს-ღა იყო, რომ ხალხი ეხ-ლა მეტად დაღონებულიყო, მეტად შეწუხებულიყო... ჭიანურის ხმაც კი აღარ მოისმოდა... არ შეწყვეტილიყო მხოლოდ უსიტ-ყვოდ ზუზუნი, უსიტყვოდ კვნესა, უსიტყვოდ სულის გმინვა და გოდება!..

ესენი გასცქეროდნენ თავიანთ მინდვრებს, თავიანთ მთებს, რომელნიც ღამის სივრცეში ცის კიდურზედ იხატებოდნენ. აქედ-გან უგზავნიდნენ ჩუმს, სევდიანს სალამს და დანარჩენი კი ისევ კვნესასა და ზუზუნში გამოითქმოდა.

ერთბაშად ავარდა ერთს ადგილს კორიანტელი, თითქოს მიწიან ადგილს ქარმა დაჰბერაო. გაჩნდა კვამლსავით პატარა ნისლი და მაშინვე გაქრა. გაჩნდა მეორე ადგილს და გაქრა... მასუკან რამდენსამე ადგილს ერთად გამოჩნდა ეს ნისლი, რომელიც თითქოს მიწიდგან იზდებოდა და აირია ჰაერი.

ქარი ზუზუნით დაჰბერავდა და უერთდებოდა ხალხის ზუზუნს: უნუგეშოდ დარჩენილს მშობელს გული ვეღარ მოებრუნებინა თავის პირმშოს დაკარგვით! კიდევ წუთი და ცა ტყვიის ფრად მოიქცა! აშკარად გაავდრებას აპირებდა: ეტყობოდა ბუნებაც შეირყა ამდენის საცოდავობით და იმ ადგილის ცას არ უნდოდა თავის ქვეყნის შვილებთან უცრემლოდ გამოსალმება.

ჩავარდა ქარი, ჩამოცხა. გაჩუმდა ყოველისფერი. ჰაერი დამძიმდა, სუნთქვა გაძნელდა!... ჩამოვარდა წვეთი, მოჰყვა მეორე. იჭექა ერთბაშად და წამოვიდა წვრილი, მაგრამ გამუდმებული წვიმა. ერთს წუთში მწვანე მინდორი დაიფარა წყლით, რომლიდგანაც დაბალს ბალახებს თავები ამოეყოთ და წყნარად მოელვარებდნენ. წყალი გუბდებოდა ოღრო-ჩოღროებში, რადგანაც გამშრალი მიწა ვეღარ ისუტავდა. ქარი ისევ ამოვარდა, ხან-გამოშვებით ზუზუნით უბერავდა დ აყინულებდა ყველაფერს. წამ-და-უწუმ ელვა და ქუხილი უერთდებოდა იმის ზუზუნს.

ბავშვები ტიროდნენ შიშით დ სიცივით. მშობიარე დედაკაცები გოდებით წარმოსთქვამდნენ იმათ წყევას, ვინც ისინი მიიყვანა ამ დღემდის და წყევლასთან ერთად ლევდნენ სულს. კაცები წარბებ-შეჭმუხვნილნი, ხანჯალს ხელ-გაკლებულნი, ჩუმად იდგნენ და უყურებდნენ თავიანთ დღეს, თითქოს სამართალს ელოდნენ მაგრამ ვისგან?

ერთს ადგილს ავად-მყოფი მოხუცებული დედა-კაცი მი-

წოლილიყო და მწარეთ გაჰკაჰკებდა სიცივისგან. შემოფლეთილი ტანისამოსი, რომლიდგანაც აქა-იქ დაწითლებული ხორცი გამოსჩენოდა, ამტკიცებდა, რომ ის უპატრონო და ღატაკი უნდა ყოფილიყო. საცოდავი წუმპეში მწოლარე ებრძოდა სიკვდილს და ამ უკანასკნელს სულის ბრძოლაშიაც ვერ ეპოვა მოსვენება. წვიმა დასდიოდა ზედ. ანზორამ შეჰკრა თვალი და გადაათვარა თავისი ტყავი, ბავშვები მიესკივნენ და ცახცახით მოუწვნენ აქეთ-იქით, როგორც ანგელოზები, რომელნიც თითქოს ლოცულობდნენ ამის სულისთვის... არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც წამოიწია დედა-კაცმა და დალია სული.

ნუ თუ უზენაესი არ გაიგონებს, არ გადმოხედავს იმათ?...

დაბნელდა მალზედ, წვიმამ ცეცხლებიც ჩააქრო და სიჩუმე დაირღვეოდა მხოლოდ განრისხებულის ბუნების გრგვინვით და ჩეჩნელთ ჩქარ-ჩქარის კვნესით და ღმერთის ხსენებით.

იქნებოდა ღამის ათი საათი, როდესაც მგზავრების ბინისკენ, ბალახებში ჩაწოლილი წყნარად და სიფთხილით ვიღაცა კაცი მიცურავდა. ის წამ-და-უწუმ ამოჰყოფდა ბალახებიდამ თავს და ათვალიერებდა იქაურობას, მაგრამ მაშინვე გაწვებოდა მიწაზედ და ისევ გაცურდებოდა; როდესაც მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ყარაულების წრე იყო შემორტყმული, იმან წყნარად აიღო თავი და ღამეში დაჩვეულის თვალებით სწრაფად გაარჩია, რომ ის ერთს სალდათს მეტად მიახლოვებოდა და გამობრუნება ამ მცველის შეუმჩნევლად გასჭირდებოდა.

მართლაც, სალდათი, რომელიც ავდრის წყალობით მობუზულიყო და თვალებ-დახუჭული ელოდა თავის გამოცვლას, ერთბაშად შეინძრა, გაახილა თვალები და უკან წასდგა. ეტყობოდა, რომ მეტად ახლო მიცურებული კაცი შეამჩნია და

რა პირი დააღო დასაყვირებლად, ვაყიამ სწრაფლად ხანჯალი ჩასცა ყელში და ხმა გაუწყვიტა; რუსი იქვე დაეცა და დაიწყო ფართხალი.

ვაყიამ წყნარად ამოაძრო ხანჯალი, გაწმინდა სველ ბალახზედ და ისევ ცურვით წავიდა ჩეჩნელებისკენ.

როდესაც მიახლოვდა ურმებს, ის წამოდგა და უშიშრად შევიდა ჩეჩნელებთან, სადაც კითხვა-კითხვით ჩქარა იპოვა ანზორას ურემი, რომელშიაც ავდარს შეჰფარებოდა ელისო.

იმისი მამა თავ-შიშველი და თმა-გაწეწილი, თითქოს ველარა გრძნობდა ამ ავდარს, მთლად მისცემოდა თავის ფიქრს, თავის მწუხარებას.

ეხლა, როდესაც თავის ქალის და ვაყიას ასეთი თავ-განწირული სიყვარული შეიტყო, როდესაც დარწმუნდა, რომ იმათი გაყრა სიკვდილს ეთანაბრებოდა, წარმოუთქმელის ძალით მოუნდა დარჩენა და ამ წადილის აღსასრულებლად თავსაც აღარ შეიწყალებდა.

— ჰეი, ჰეი! შესძახა მოხუცმა, რა მიახლოვებული კაცი დაინახა.—ვინა ხარ?

— ანზორ? წყნარად და ჩუმად იკითხა მისულმა.

— ვაყია! სიხარულით შამოიძახა მოხუცმა და მოეხვია.

— გვიანობისა აღარაა, უნდა გავიქცნეთ!

— ქვეითები?... სად წავუვალთ? პირ-და-პირ დაიწყო ჩეჩენმა, რადგანაც ცხოვრებამ შეაჩვია, რომ უბრალოდ დრო არ დაეკარგა.

— აქვე, განაპირებით ცხენები მყავს, მხოლოდ ჩქარა!

ანზორა რომ მარტოკა ყოფილიყო, მაშინ ის დაუფიქრებლივ გაჰყვებოდა ვაყიას, მაგრამ ეხლა იმასთან იყო უგანას-

გნელი იმისი იმედი, რომლის ხიფათში მიცემას სიკვდილს ირჩევდა.

— ქალი როგორ წავიყვანოთ? კაი თუ...

— მე მზათა ვარ. გააწყვეტინა ელისომ, რომელიც ურმიდგან გადმოვიდა.— მე ყველაფერი გავიგონე, წავიდეთ.

— ელისო! შესძახა ვაჟიამ და გატაცებით მიიკრა მკერდზედ.

ანზორა ცრემლიანის თვალებით შეჰყურებდა იმათ და ეშინოდა სიტყვის გარევით არ დაეშალა იმათი ბედნიერება.

— ღმერთი გაერთებსთ, კაცი ვეღარ გაგყრისთ! ბოლოს წარმოსთქვა გაფთხილებულმა მოხუცმა, რომელიც ყოველს წუთს აფასებდა.— აჩქარდით რა კი აგრეა.

ამ სიტყვებმა შეყვარებულნი გამოიყვანა თავ-დავიწყებიდგან და მოაგონა სამწუხარო ჭეშმარიტება.

— მართალს ამბობ, გვიანობა აღარ ვარგა. უპასუხა მოხუცემ, შეიბერტყა და ქუდის მოხდით დაუმატა:— ხევის ჯვარ ანგელოზნო, თქვენ დაგვეხმარენით, თქვენ მოგვიმართეთ ხელი!

ვაჟიას წინა-მძღოლობით გასწიეს იმათ იმ გზითვე, რომლითაც მოვიდა უმაწვილი მოხევე და, რა ურმებს გასცდნენ ვაჟიამ წყნარად უთხრა ანზორას:

— აქედგან მუცლით უნდა ვიცუროთ.

ორივე კაცი აქეთ-იქით გაწვნენ, შუაში ჩაიწვინეს ქალი და ისე ცურვით გასცილდნენ ყარაულთ წრეს.

თერგის პირთან იმათ ნახეს სამი ცხენი, რომლებზედაც ამხედრდნენ და გაჰქუსლეს მთებისკენ.

V

ისინი მიაჭენებდნენ ცხენებს და ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა ჩქარა გასცილებოდნენ ლარს და დარიელას, ამ ყველაზედ ძნელს ადგილებს, სადაც კლდეები გახეთქილან და თითქოს განგებ ჩამოლესილან, რომ გაჭირვებულს კაცს ყოველი საშუალება მოუსპონ თავისუფალ სიარულისთვის.

აქ გავლა იმ ხანებში მით უფრო ძნელდებოდა, რომ მთელს გზაზედ გარდი-გარდმო, უკეთა ვსთქვათ, ჯვარედინად, ღამე რუსის მცველებს აყენებდნენ და იმით კი საშუალება ეძლეოდათ ყოველ-გვარი უსამართლოებისა, რადგანაც იმათი მოქმედება ღამე, უმოწმოდ ხდებოდა და მაშასადამე უცხო თვალი ვერ დაესწრებოდა, ვერვინ გაარჩევდა, ვერვინ გაამტყუნებდა.

იქნებოდა საათის თორმეტი, როდესაც ვაყია და მისი ამხანაგები ლარსის საფრთხეს მიახლოვდნენ. ვაყიამ, რომელიც წინ მიუძღოდა, ცხენი შეაყენა, მსწრაფლად გადმოხტა. ანზორამ და ელისომაც შეაყენეს ცხენები.

— რა ამბავია? იკითხა მოხუცმა.

— ჩამოხტით ცხენიდგან! მოკლედ უთხრა მოხევემ და მიეშველა ელისოს.

ანზორამ, რომელსაც ცხენის სადავეები მისცა ხელში, კითხვა აღარ გაიმეორა, რადგანაც მოხევის სიფთხილე, მოკლე სიტყვები და მბძანებლობის კილო ამტკიცებდა, რომ ისინი საშიშ მდგომარეობაში იყვნენ და მეტი კითხვა კი მეტი დროს დაკარგვა იქნებოდა.

ვაყიამ ახსნა თავის უნაგირიდგან ნაბადი, ამოიღო დანა

და პატარ პატარა ნაჭრებად დაუწყო ჭრა. მასუკან პატარას აბგიდამ ამოიღო წვრილი თოკი და იმით ცხენებს ქაჩებზედ ნაბდის ნაჭრები მაგრად ამოაკრა. ანზორას, როგორც მინდორში აღზდილს, არ ესმოდა ეს სიფთხილე და ამისთვის გაკვირვებით უყურებდა მოხევის მოქმედებას.

— რას შვრები? მოხუცს ვეღარ გაუძლო გულმა და ჰკითხა მოხევეს.

— აქ მცველები დგანან და ადგილი კი რიყიანია!

— ამ სიტყვებით ანზორა მიხვდა, რომ ცხენის ფეხებს ამოკრული რბილი ნაბადი სიარულში ხმას აღარ გამოაღებინებდა და როგორც მკვლელს მეომარს, ჯარის წინა-მძღოლს მოეწონა ეს მოაზრება.

— შენ მოაზრებული ხარ!.. ბრალია შამილის დაჭერა, იმასთან სახელს მალე გაითქვამდი.

— შესხედით! დასძახა ისევ ვაყიამ და წუთის უკან გაემართნენ გზას იმავე წყობით.

მართლადაც, აქამდის ცხენების ფეხებს ისეთი რაკი-რუკი გაჰქონდათ ქვითა ღ ქვიშით გატკეპნილს გზაზედ, რომ მკვდარსაც კი გამოაფხიზლებდნენ, მაშინ როდესაც ეხლა სრულიად აღარ ისმოდა იმათი მოძრაობა.

ვაყია მით უფრო დარწმუნებული იყო, მოატყუებდა მცველების სიფხიზლეს რომ, როგორც ეტყობოდა გამოდარებას არ აპირებდა და დაბლად ჩამოწოლილი ნისლი კი ისე აბნელებდა იქაურობას, რომ კაცი თვალთან მიტანილს თითს ვერ გაარჩევდა.

აქამდისინ ჩქარი სიარული, მოხევემ ეხლა შესცვალა წყნარით; ის გაფთხილებული, ყურებ-დაცქვეტილი თითქოს სმენად გადაქცეულიყო, რათა არავითარი ხმაურობა არ გამოეპარ-

ვოდა. ვაჟიას რამდენჯერმე მოესმა რაღაც ხმაურობა, რამდენჯერმე შეაყენა ცხენი და კისერ-წინ გაწვდილი კარგა ხანს უგდებდა ყურს, მაგრამ დარწმუნებული, რომ საშიში არა არისრა, ისევ აგრძელებდა გზას.

ისინი მიახლოვდნენ ბოგირს, რომელიც იქვე ჩარხის წყალზედ არის გადებული და ცხენმა ერთბაშად დაიფრუტუნა, შეფთხა და უკან დაიწია. ვაჟია გაუჯავრდა ცხენს და წყნარად მათრახის დაკვრით მიაგდო ბოგირს, მაგრამ ცხენი, რა მიახლოვდა, ისევ უკან გამოხტა.

— ტიალო! რა ნახე? ძლივს მოასწრო წარმოთქმა იმან, როდესაც ენებსავით გამოიელვა რაღამაც და მოისმა რამდენიმე თოფის გრიალი.

— ო-ო! ძაღლებო, ძაღლებო! დასჭყივლა იმან და ზედ მიაგდო ცხენი, სადაც ელვამ გაანათა ათიოდე თუ უფრო მეტი თოფიანი რუსი. მოხევემ წამზედ გაიძრო ხმალი და პირველსავე მივარდნაზედ ერთს ისე ძალზედ დაჰკრა, რომ მხარიღლივ გადასხვიპა, მაგრამ იმ წამსვე იგრძნო შუბის წვერი, რომელმაც გულში ცივად გაუარა. ის დაბარბაცდა, გაყრყოლდა და დაეცა.

— უღმერთონო, უსამართლონო, ურჯულონო!... ელი...ელისო! და ამ სიტყვებზედ აღმოხდა სული.

ანზორი და იმისი ქალი, რომლებიც ცოტა მოშორებით მოდიოდნენ, თუმცა სრულებით დაეცხავებინა ტყვიებს, მაგრამ მოხუცს სიკვდილამდის კიდევ მოესწრო თავისი ქალის მკერდში ჩაეკრა და ისე დალია სული...

ამ შემთხვევის შემდეგ მესამე დღეს, სწორედ ამ ადგილზედ, სადაც დახოცილები ჯერ კიდევ გზის პირად ეყარნენ და

არავინ ჰფიქრობდა იმათ დასაფლავებას, გამოიარეს ანზორას ამხანაგებმა; ისინი უწინდელზედ მეტად შეწუხებულიყვნენ!.. ისევ ის ზუზუნი, ისევ ის შემაძრწუნებელი გლოვის ხმა, ისევ ის გოდება და გმინვა, რომელიც სწყდებოდათ გულის სამირკვლიდგან და იკარგებოდა ჰაერში!..

გასწიეს ამ საცოდავებმა ოსმალეთისკენ, მაგრამ ბევრმა ჩააღწია დანიშნულს ადგილს?

ა. მოჩხუბარიძე.

ისტორიული სურათები.

(შემდეგი *).

საქართველოს სამ-სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფის შემდეგ ქართველი ქალების მოქმედება უფრო ცხადად არის აწერილი მემატიანეთაგან. ვახუშტი თავის ისტორიაში და გეოგრაფიაში არ ივიწყებს ქალებსაც. ის შეეხება მათს მხნეობას, ახოვანებას, საქციელსა და ზნეს. როცა კაცებზე ლაპარაკობს, მაშინ იმათაც არ ივიწყებს. იმის აზრით კაცნი და ქალნი არც მამაცობით, არც მხნეობით, არც ტანადობით ერთმანეთს არ დაუვარდებოდნენ. იმათ ორივეს ჰქონიათ ერთნაირი მიმართულება, იმათ ორივეს ერთ ნაირად აწუხებდათ სამშობლოს ბედნიერება და უბედობა.

თავის გეოგრაფიის მე-62 და 64 კაბადონებზე საქართველოს ყველა კუთხის ქალებზე ვახუშტი საერთოდ ამბობს: «ქალნი არიან შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალ-წარბთ თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი; კაცთა და ქალთ შორის იშვიათია შავგვრემანი და მოყვითანო, თვალ-ჭრელი, წითური და თეთრი. ქალთა აქვთ თმა გადაშვებული და დაწნული. კაცებზე უფრო მომეტებულად ქალნი არიან წერწეტნი დ წიპლაკი ტანისა. ორივე სქესნი არიან მხნენი, მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენზე

*) «ივერია» № 9, 1882 წ.

და მხედრობაში კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მემიებელნი, ასე რომ თავის გამოჩენისათვის არც კაცნი და არც ქალნი არ ერიდებიან მეფისა და ქვეყნის სამსახურს. შესამოსლად ქალებსა აქვთ კაბა-ახალუხი, ამოჭრილი; აცვიათ ისეთი მჭვირვალი პერანგები, რომ ხორცი სჩანს; მათი ამხანაგი აქვთ უპაიჭოთ; ფეხთ აცვიათ წუღა—მაშია და წელზე არტყიათ სარტყელი, მუხლებზე წვერ გადმოფენილი. ქალწულ-ქალებს თმის კავები დაწვზე აქვთ ჩამოშვებული და თავზედ ჰხურავთ ლეჩაქი. ქმრიან ქალებს ლოყებზე აქვთ ჩამოშვებული ჯერ კავები, მერმე მსხვილად შეწნული თმა, რომელიც აქეთ და იქით მხრებზე გადმოჰფენიათ. თმას ქვეშ მარგალიტებით შემკობილი მეწკვი აქვთ ამოვლებული ნიკაპ ქვეიდამ და საქოჩრეზე შეკრული, რომლის ზევიდამაც მერმე ლეჩაქია გადახურული თავზე. სამკაული იციან მრავალგვარნი: ზოგნი თვისნი, ზოგნი სპარსელებისა. ზამთარში იმათ აცვიათ ქათიბი, ტყავი და ტოლომა ბეწული. ქალების ტყავი და კაბა ვიდრე მიწამდე დასულია.»

მაგრამ ვახუშტი არ კმაყოფილდება ამ საერთოდ საქართველოს ქალებზედ გამოთქმულ აზრითა. ამის შემდეგ ის ახლა ცალკ-ცალკე ლაპარაკობს ყოველს მაზრის ანუ თემის ქალებზე და ეს ცნობები იმოდენად სამიამოვნო და საინტერესონია, რომ არ შეგვიძლიან არ მოვიხსენოთ იმ რიგზე, როგორც თვითონ იგი აღწერს კაცსა და ქალს.

მის აღწერით, სამცხე-საათაბაგოს[1]) კაცნი და ქალნი არიან ქართლელების მსგავსნი, მაგრამ უფრო ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმართებელნი, მშვე-

---

[1]) იხ. გეოგრ. ვახუშტისა გვ. 62 და 64.

ნიერნი და ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი. რადგან ოსმალებს დიდი გავლენა აქვთ საათაბაგოზე, ამისათვის აქაური ხალხი ამ ჟამად სარწმუნოებასაც იცვლის და ქართულ ზნე-ჩვეულებასაც [1]. ამ გვარსვე უბედურებაში არიან ოსმალთაგან ჯავახეთის მცხოვრებნი კაცნი და ქალნიცა. ისინი არიან მხნენი და ტანოვანნი, მაგრამ თანაც უზდელნი, ბრიყვნი და უთავაზონი [2]. სომხით-საბარათიანოს ქალნი და კაცნი არიან ძლიერნი და მებრძოლნი [3]. გუდამაყრისა და მთიულეთის კაცნი და ქალნი არიან ხელოსანნი, მშვილდთ-მოქმედნი, მხნენი, მებრძოლნი და მშვენიერნი; მაგრამ ქალებს ტანისამოსი კარგი არ აცვიათ [4]. ქსნის-ხეველნი არიან მხნენი, მებრძოლნი, ამაყნი, იარაღის მოყვარენი, მაგრამ კაცნიცა და ქალნიც ქურდნი, მპარავნი, მძარცველნი და უსირცხონი [5]. ცხინვალის ხეობის ქალნი და კაცნი არიან მშვენიერ-ჭაეროვანნი, მებრძოლნი, სირცხვილის მდევარნი, ამაყნი, ერთგულნი ქვეყნისა [6]. სურამისა და მის გარეშემო მცხოვრებნი ქალნიცა და კაცნიც არიან ტანოვანნი, ამაყნი, მხნენი, შემმართებელნი, უხვნი, სტუმართმოყვარენი [7]. კახეთის ქალნიცა და კაციც არიან შვენიერნი, ამაყნი, ტანოვანნი, ლაღნი, მეხოტბენი, დიდ-მთქმელნი და შეუპოვარნი მებრძოლნი, უფრო გლეხნი [8]. იმერეთის კაცნი-

---

1) იხ. გვ. 78, 80.
2) იხ. იქვე გვ. 182.
3) იქვე გვ. 222 და 224.
4) იქვე, გვ. 234.
5) იქვე, გვ. 258.
6) იქვე, გვ. 280.
7) იქვე, გვ. 286.
8) იქვე, გვ. 342, 386, 404.

ცა და ქალნიც არიან ცქვიტნი, კისკასნი, ენა-ტკბილნი, მსუბუქნი, ფიცხელნი, მებრძოლნი, შემმართებელნი და ძლიერნი; მაგრამ არგვეთელები და შორაპნის მცხოვრებნი ჰსჯობიან ზარში მცხოვრებ იმერლობას [1]). ოკრიბის კაცნი დ ქალნი არიან უღონო მუშაკნი და არც მამაცობა აქვთ, მაგრამ თავადნი და აზნაურნი არიან ზნეობიანნი და შემმართებელნი [2]). ოდიშის კაციცა და ქალიც თუმცა იმერლებსა ჰგვანან სილამაზით, მაგრამ ამათსავით (იმერლებსავით) არც ტანოვანნი არიან, არც ხორციანნი და ამასთანავე არიან მშიშარანი [3]). აფხაზეთის ქალიცა და კაციც არიან ნამუსიანნი. ამათ შორის არ იქნების სიძვა, მრუშობა, «რამეთუ დასწვენ შემცოდეთა» [4]). გურიის კაცნიცა და ქალნიც იმერლებსა ჰგვანან ზნითა და ქცევით [5]). ოსების ქალები ვიდრე გათხოვდებოდნენ ნამუსიანები არიან, მაგრამ ქმარს რომ შეირთავენ, მაშინ უთუოდ საყვარელი უნდა გაიჩინონ, რადგან ეს სასირცხო საქმე ქებად მიაჩნიათ [6]).

ამ ნაირად შეამკობს ქართველ ქალებს ვახუშტი. მაგრამ განა იმას დაუჯერება სიტყვა? ვინ იტყვის თავის-თავზე ცუდს? იქნება ვახუშტი აქებს იმათ იმისათვის, რომ თვითონაც ქართველია და არ უნდა ქართველ ქალზე ცუდი სთქვას! რასაკვირველია, შეიძლებოდა ასე გვეფიქრნა, შეიძლებოდა ეჭვი შეგვეტანა მის მიერ ქართველ ქალების ქებაში, თუ რომ სხვათაც არ ეთქვათ ამ გვარი კეთილი სიტყვა იმათ შესახებ. როცა ამ გვარსავე ქებას ვკითხულობთ ქართველ ქალების შესახებ უც-

---

1) იქვე, გვ. 392.
2) იქვე, გვ. 404.
3) იქვე, გვ. 408.
4) იქვე· გვ. 420.
5, 6) იქვე, გვ. 434.

ხო მწერალთ თხზულებებშიაცა, არ შეგვიძლიან გავამტყუნოთ ქართველი მწერალი. აი რასა სწერს ვახუშტიზე უფრო ადრე ქართველ ქალებზე ფრანცუზი შარდენი, რომელიც საქართველოში იყო 1671 წელს: «ქართველ ხალხის სისხლი არის უკეთესი მთელს აღმოსავლეთის ხალხების სისხლზე და, შემიძლიან ვსთქვა, მთელს ქვეყანაზედაც. მე არ შემინიშნავს აქ უშვერი სახე არც ერთს სქესში. აქაური ხალხის პირის-სახე აღბეჭდილია ანგელოზებრივის გამოხატულებით. ბუნებას მიუნიჭებია ქალების უმეტეს ნაწილისათვის ის სიტურფე, რომელიც სხვაგან არსად იპოვება. მე არ შემეძლო იმათთვის მეყურებინა ისე, რომ ჩემს გულში სიყვარული არ აღგზნებულიყო. დახელოვნებული მხატვარიც ვერ წარმოადგენს უმშვენიერესს სახესა და მოყვანილობას. ქართველნი ქალნი არიან ტანოვანნი, საკვირვლად აგებულნი და წელში განსაცვიფრად წვლილნი; არიან მახვილის გონებისა, ზრდილნი, თავაზიანნი, ამასთანავე ამაყნი და ამპარტავანნი.» ამის შემდეგ, ვახუშტის დროს, აბბატი იოსებ დელაპორტი, რომელიც თბილისში იყო 1768 წელს, ქართველ ქალების შესახებ სწერს შემდეგს: «საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალზე ლამაზი სანახავი აქ არა არის-რა. მე იმათ რომ ვუცქეროდი, უნებლიეად განცვიფრებაში მოვდიოდი. ამ ქვეყანას შეიძლება კაცმა უწოდოს მშვენიერთა სავანედ. როგორათაც რომ სხვა ქვეყნებში იშვიათად ნახავთ სრულის სილამაზით შემკობილს ქალსა, ისე აქ ძვირად შეგიძლიანთ ნახოთ იმისთანა ქალი, რომელიც რომ მშვენიერებით არ იყოს შემკული. თითქმის ყოველს ნაბიჯზე შეჰხვდებით მათს გაბადრულს სახეს. რასაკვირველია, მე ამათ ქებას არ ვაზვიადებ. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ისე მოყვანილი, ნაზი, სწორედ აგებული ტანი, როგორიც ქართვე-

ლის ქალის ტანია; მათ ამასთანავე აქვთ მიმზიდველი და მე-
დიდური სიარული. ეს მშვენიერნი ქართველნი ქალნი ასე გგო-
ნია მხოლოდ იმისთვის გაჩენილან, რომ ტრფობას ემსახუ-
რონ და სიყვარულით მოხიბლონ კაცი. როცა თვალს შეაჩ-
ვევ მათს თავ-დახურვასა, აღარ შეგიძლიან ისე შეჰხვდო მათ,
რომ გული ვნებათაგან არ აგევსოს...

«მთავართა და დიდებულთა ცოლნი მშვენიერად შეკაზ-
მულ ცხენებით დადიან და ახალ-გაზდებს თავზე ჰხურავთ შლია-
პები, რომელთაც გარშემო თავტა და სირმა ახვევიათ, ბებ-
რებსა და ავად-მყოფებს კი ჰხურავთ იალქნები.»

მაგრამ საქმე ის არის, ამ კეკლუცობასთან, სიამაყესა და
სიმამაცესთან ჰქონდათ იმათ ზნეობითი ღირსებაც თუ არა? საცი-
ქადულოდ ჩვენდა რასაკვირველია, ბუნებისაგან არ იყვნენ მოკ-
ლებულნი ამ თვისებასაც. ისინი იყვნენ შემკობილნი მაღალის
გონიერებით, ხასიათის სიმტკიცით და ძალით, ნამდვილის
ზრდილობით და მიმზიდველ მიხრა-მოხრითა. ამის მაგალი-
თად მოვიყვან სამიოდ ფაქტსა.

მეფეს არჩილ მოწამეს ჰყვანდა ასული სახელად შუშანა.
ეს ისეთი მშვენიერი ქალი იყო, რომ მისი სილამაზე განი-
თქვა საქართველოს მეზობლად მყოფ სამეფოებში, მისი შერ-
თვა მოიწადინა ხაზარეთის მეფემ—ხაკანმა; მაგრამ მან უარი
უთხრა. ეს იწყინა ხაკანმა და, როცა საქართველოს არაბეთთან
ომი ჰქონდა, გამოგზავნა თავის ჯარები კახეთის დასარბევად,
და შუშანას მალვად წასაყვანად. მისი ჯარები მართლაც დაეც-
ხენ კახეთს ანაზდეულად, დაატყვევეს მეფე ჯუანშერიცა და
მისი და შუშანაც, და მიჰყავდათ ჩრდილოეთ კავკასიაში ხა-
კანთან საცოლოდ. როცა მიიყვანეს დარიალის ხეობაში, შუ-
შანამ უთხრა თავის ძმას: უმჯობეს არის ჩემთვის სიკვდილი,

რომ პირ-ნათლად და პატიოსნების ლეჩაქით წავიდე წინაშე წმინდათა დედათა ჩვენთა, ვიდრე შევიგინო ქალწულება ჩემი წარმართისაგანაო; დ̃ ჰქონდა მას ბეჭედი, აღმოუგდო მას თვალი დ̃ გამოსწოვა იგი, რამეთუ იყო თვალსა მას ქვეშე წამალი სასიკვდინე, და მასვე წამს მოკვდა» ¹). ამ გვარსავე მაგალითს ვხედავთ შემდეგაცა. 1554 წელს, მაგალითად, ატენის ციხეში დაატყვევა შაჰ-თამაზმა ლუარსაბ მეფის დედა და მრავალნი წარჩინებულთ ცოლნი. და მოინდომა დედოფლის გაუპატიურება; მაგრამ «დედამან მეფისა ლუარსაბისამან იგრძნო უპატიო ყოფა თვისი, შესვა სასიკვდინე წამალი და მოკვდა» ²). ამ ორივე ფაქტში თავის მოკვლის მიზეზად თუმცა გაუპატიურება არის ნახსენები, მაგრამ, ვგონებ, ზოგიერთნი ურწმუნონი, რომელნიც ქართველთ ცხოვრებაში ცუდის მეტს ვერასა ჰპოვებენ კარგსა, გვეტყვიან, რომ ერისაგან ზნეობის მაგრად დაცვის მიზეზით კი ირ მოიკლეს თავი მოხსენებულ პირთა, არამედ იმისთვის, რომ ჰქმაგდათ მტერთა სარწმუნოებაო. იქნება ამ უკასასკნელმა მიზეზმაც იმოქმედა მათს განზრახვაზე; მაგრამ ჩვენ გვაქვს ისეთნი ფაქტნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სიძვა და მრუშობა მაინცა და მაინც მთელს ქართველ ხალხს ძლიერ ეზიზღებოდა. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ აფხაზეთში როსკიპობით შემცოდეთ ცეცხლში სწვავდნენ. ამათსავით მტკიცედ იცავდნენ ზნეს თუშნიცა. «არა იქნების მათ შორის სიძვა ანუ მრუშება, ამბობს ვახუშტი, და უკეთუ იმძლავროს ვინმე და შეეხოს მას, მოიკლავს თავს დედა-კაცი იგი, და კაცსა მას მოჰკვლენ თუშნი და მცნობნი, და არა ივლ-

¹) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 184 და 185.

²) იხ. იქვე მე II ნაწ. გვ. 24.

ტის (კაცი) სხვა ქვეყანასა.» [1]). ასე იქცეოდნენ ქართველთა სხვა თემებიცა. როსკიპობით დამნაშავეთ ან ქვით ჩააქვავებდნენ ხოლმე, ან არა და ცხვირ-პირს მოუთხუპნიდნენ ტალახით, შესვამდნენ პირ-უკუღმა ვირზე და ისე აატარ-ჩამოატარებდნენ სოფელში, რომ ყველას მათთვის პირში კეფურთხებინა.—«ის შესცდება, ამბობს ბ. დიმ. ბაქრაძე, ვინც იფიქრებს, ვითომც მხოლოდ გარეგანი თვისება ყოფილიყოს მიზეზი უცხო ტომთა სურვილისა, რომ ჰყოლოდათ ქართველი ქალები ცოლად. არა, ჩვენ ეს აზრი გვაქვს და ჭეშმარიტადაც აღვიარებთ, რომ სადაც ბუნება აღადგენს ადამიანის უმაღლესს თესლსა, ანუ, როგორც ევროპიელნი იტყვიან, ტიპსა, რომელიმე ხალხის სისხლითა, იქ მარტო სახის სიმშვენიერე არ არის საკმარი. ამ ტიპს ბუნება განასხვავებს თვით ზნეობითის ხასიათით, ესე იგი შეამკობს მაღალის ჭკუა-გონებით, ხასიათის სიმტკიცით და ძალით, ნამდვილის ზრდილობით, სინიდისით და მიმზიდავის მიხვრა-მოხვრითა» [2]).

ამ გვარის წვრილმანის ფაქტებით, რასაკვირველია, პირდაპირ იმას არ ვამტკიცებთ, ვითომც ქართველი ქალები ყველანი ზნეობიანი ყოფილ იყვნენ. თუ რომ ოჯახი არ შეიძლება იყოს უმახინჯოდ, მით უფრო უმეტეს არ იქნება ქვეყანაზე იმისთანა ხალხი, რომ ყველანი კარგნი იყვნენ. ამის თქმა ჩვენ არ შეგვიძლიან. ჩვენი აზრი მხოლოდ ის არის, რომ უწინდელ დროში ქართველი ქალები ერეოდნენ ხალხის სამოქალაქო ცხოვრებაში, იმათ ჰქონდათ გავლენა ქართველ ხალხის ისტორიულ ცხოვრებაზე, და რაც ავი ყოფილა იმაზე ავს ვამ-

---

[1]) იხ. გეოგრაფ. გვ. 330.

[2]) იხ. «ცისკარი», № III, 1860 წ.

ზობით, ხოლო რაც კეთილია—იმაზედ კარგს ვამბობთ. ჩვენ არ შეგვიძლიან ფაქტების გადასხვაფერება, ისინი მოგვყავს ჩვენს წრილში და ვხსნით ისე, როგორც გვესმის, როგორც ჩვენი ჭკუა სჭრის.—

1513 წელს კახეთის მეფე ალ-გიორგი რომ მოკლა ბაგრატ მუხრან-ბატონმა, მას დარჩა ცოლი და შვიდის წლის ვაჟი ლეონი. დედა იყო ნათესავი გარსევან ჩოლოყაშვილისა, რომელიც ალ-გიორგის სალთ-ხუცესი იყო. ქართლის მეფემ დავითმა მოინდომა ლეონის დაჭერა და ქართლ-კახეთის სამუდამოდ შეერთება ერთ სამეფოდ. მაგრამ გარსევან ჩოლოყაშვილმა და დედამ დამალეს მცირე წლოვანი ლეონი და ფიცით დაასჯერეს მეფის ძმა ბაგრატი, რომ არ ვიცით ლეონი სად არისო. გავიდა ამასობაში ცხრა წელიწადი, მემკვიდრე კახეთისა აღმოჩნდა. მან გამოაცხადა მეფობა და მიიმხრო ხალხი. მეფე დავითს ეს ამბავი ეწყინა, გაილაშქრა და მოადგა მაღნარის ციხეს, სადაც ლეონი იმყოფებოდა. ციხეში დამწყვდეული ხალხი ძლიერ შეწუხდა და «ლამოდა მიცემასა ციხისასა.» მაგრამ მისმა დედამ ნება არ მისცა შვილს დაჰმორჩილებოდა მეფე დავითს. როცა ამ უკანასკნელმა მიუგზავნა დავით ამილახორი და ერთი ვიღაცა მთავარ-ეპისკოპოსი და სთხოვა მის პირით დამემორჩილეთ, თორემ ციხეში შიმშილით ამოგწყვეტავთო, ციხის მცველნი აღუთქმიდნენ მორჩილებას; მაგრამ როცა ლეონის დედა მივიდა და კამბორა ხელზე ეპისკოპოზს, უკანასკნელმა უთხრა: «ნუ გეშინიან, ღამესა ამას წავალთ, გამაგრდი.» ამისი მსმენელი დედა ეუბნება ხსენებულს ეპისკოპოზს: «ვარ ძისა მაგრებასა და მიუცემლობასა» [1]). ასე ამ

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 19, 105. იხ. იქვე გვ. 106, 268.

სახით გარსევან ჩოლაყაშვილმა, უცნობმა ეპისკოპოსმა და ლეონის დედამ ჩაშალეს კეთილი განზრახვა ქართლის მეფის დავითისა; ლეონი გადაიხვეწა მოსკოვს, სადაც ის აღიზარდა და შემდეგ გამეფდა კახეთში 1).

მეფე ლეონი თუმცა ძლიერი კაცი იყო და თავის სამეფოსაც კარგად მოუარა, დაიცვა მტრისაგან, მაგრამ ბევრი ავიც შესძინა საქართველოს თავის მოქმედობით. ამან დაასახლა ჭარში ლეკები, რომელთაც შემდეგში საქართველოს დიდი ზიანი მისცეს. ამასთანავე ის არ იყო კეთილის ზნის კაცი. ის იყო კაცი მეძავი. ამან შეირთო ცოლად მამია გურიელის ქალი თინათინ, და როცა ეყოლა მისგან ორი შვილი ალექსანდრე დ იესე, მერმე დაიწყო მეძაობა. მაშინ ზნე-კეთილმა თინათინ დედოფალმა აღარ ინება მისი ქმრობა და გაეყარა მას. ლეონი ამაზედ ძლიერ გასწყრა და თან გააყოლა მისგან შობილი შვილებიცა. ის მოვიდა შუა მთას, აქ თავის მზითევით ააშენა მონასტერი, დაუყენა მოძღვართ-მოძღვარი, იყიდა რამდენიმე სოფელი და შესწირა მონასტერს საზრდოდ, და თვითონაც აქ იმყოფებოდა სიკვდილამდე. ეს ამბავი მოხდა 1527 წელს. თითქმის ამავე დროს თინათინსავით მტკიცე ზნე-კეთილობა, გაურყვნელობა დ თავის ღირსების დაცვა გამოიჩინა ქართლის მეფის ლუარსაბ პირველის დედამ. 1526 წელს სპარსეთის მეფე შახთამაზი ატენის ციხეს, გორის მახლობლად მყოფს მოადგა, აიღო და დაატყვევა დედა მეფისა ნესტანჯარ და «მრავალთა წარჩინებულთა ცოლნი.» «ხოლო დედამან მეფისა ლუარსაბისამან იგრძნა უპატიო ყოფა თავისი შესვა სასიკვდინე დ მოკვდა» 2), რადგან ჩვეულებად იყო: «უკე-

1) იხ. იქვე გვ. 268

2) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II- გვ. 24, 281.

თუ იმძლავროს ვინმემ და შეეხოს დედა-კაცს, თავს მოიკლავ-
და იგი.»

ნესტანჯარ დედოფლის მკვლელმა შაჰთამაზმა 1548 წ. შეირთო ცოლად ოთარ შალიკაშვილის ქალი (სამცხე-საათაბაგოდგან). ამ ქალსა ჰყვანდა ორი შვილი შაჰ-ისმაილი და შახუდაბანდა. შაჰ-თამაზი რომ მოკვდა, სპარსეთის მეფედ შაჰ-ისმაილი დასვეს. არ ვიცი დედის ჩაგონებით, თუ სხვა რამე მიზეზით, ამან მაშინვე გამოიყვანა საპყრობილედგან ქართლის მეფე სვიმონი და მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი არჩილი ცოლ-შვილიანად დ მოიყვანა შირაზიდამ ისპაანში. ამის შემდეგ მალე მოკვდა შაჰ-ისმაილი და გამეფდა მისი ძმა შახუდაბანდა (1577 წელს). ამ დროს შემოესივნენ საქართველოს ოსმალები, ააოხრეს და მრავალი ადგილები დაიჭირეს, რადგან გამაჰმადიანებული სვიმონ მეფის ძმა დავითი ვერ უმლიდა ქვეყანას. ეს ამბავი ძლიერ ეწყინა შალიკაშვილის ქალს. ჩააგონა შვილს მეფე სვიმონი გაენთავისუფლებინა. მიიწვია ის თავისთან, მისცა ჯილდოდ 19,000 მანათი, «ხალათად კაბა, სარტყელი და ტყავი სამურითა, ოქრო-ქსოვილნი, თაჯი (რომელიც არის გვირგვინი, ზედ ახვევია დოლბანდი, მძიმედ ოქრო-ქსოვილი და ჯიღითა თორმეტითა შემკობილი), ხმალი, ხანჯალი, საბუხარი მარგალიტისა და ცხენი ოქროს იარაღჩინით შეკაზმული, სურა და თასი ოქროსი და გამოისტუმრა საქართველოში. მას თან გამოაყოლა ყველა ის ქართველებიცა, რომელნიც სპარსეთში იყვნენ დატყვევებულნი. «დედამან შახუდაბანდასამან, ამბობს ქართლის ცხოვრება, ასულმან ოთარ შალიკაშვილისამან მოიყვანა მეფე სვიმონ და ვითარცა წესი არს ქართველთ დედათა, ეგრეთვე ჰყო. გამოსტუმრების დროს მან მოახვია სვიმონ მეფის ხმალს თავისი ლეჩაქი და ასე უთ-

ხრა: «მოგვიხვევია ხმლისა შენისა ხე-ტარსა ზედა, შენ იცა და ხმალმან შენმან და მოგვიცემია შენთვის სამეფო შენი საქართველო და სხვაცა მრავალი საბოძვარი; წარვედ და განამაგრე საქართველო, რათა არა წაგვიღონ ოსმალთა და იყავ თანაშემწე და ერთგულ სახელმწიფოთა ჩვენთა» 1). ხმალზე ლეჩაქის მოხვევა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოსა და სპარსეთს შორის დედა-კაცის შუამდგომლობით სრული და დაურღვეველი მშვიდობიანობა, უვნებლობა და ერთობა დამყარდა 2).

სვიმონი მოვიდა თუ არა საქართველოში, მაშინვე შეება ოსმალებს და ქართლში გასწყვიტა თათრები. მერმე შეჰყარა იმან კიდევ ჯარები და წარჩინებულ კაცთ ცოლნი და დედოფალი და ავიდა ლილოზე. აქედგან გამოუსივა ქართველობა და თბილისის არე-მარეში რაც საქონელი ჰყვანდათ ოსმალებს, სულ მოატაცებინა. მაშინ გამოუდგნენ ოსმალთ ჯარნი და როცა მოვიდნენ მარჯვე ადგილას, სვიმონმა შეუტივა თავის ჯარებით, მოსწყვიტა და ისე გააბნივა, რომ ცოტანი-ღა დაბრუნდნენ თბილისში. ამ დროს ჰკვრეტდნენ თავიანთ ქმრებს „ჯარნი ქალთა-ჯალაბთანი“ და ამხნევებდნენ და აქეზებდნენ ომისათვის 3).

მართლაც რომ შესანიშნავნი არიან ამ დროს ქალები. ისინი სჯობიან მამა-კაცებს თავიანთ გულ-კეთილობითა, სულგრძელებითა და ადამიანობით. 1569 წელს ზემოხსენებული ქართლის მეფე სვიმონი I კახაბერ ყორღანაშვილის ღალატო-

---

1) ეს ჟილდო ეძლეოდა შემდეგში სპარსთაგან ყველას, ვინც საქართველოში გამეფდებოდა ხოლმე. იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 26, 28, 293

2) შაჰ-აბს დიდი ამის შვილის შახუდაბანდას ძე იყო, ესე იგი, შალიკაშვილის ასული მას ზებიად მოხვდებოდა.

3) იხ. ქართ. ცხოვ., გვ. 30.

ბით სპარსელებმა ბრძოლაში დაატყვევეს და წაიყვანეს. მაშინ ამ მეფის ცოლის ძმა, შვილი თინათინისა, კახეთის მეფე ალექსანდრე პირველი, ორჯელ თავს დაესხა, ერთხელ კავთის-ხევში, მეორედ დიღომში, თავის დას ნესტან-დარეჯანს [1]) და სრულიად წაართვა ქონება. ამასთანავე ასეთი უკადრისობა ჩაიდინა: «სირცხვილითა საგვარველი დედოფლისა, დისა თვისისა, თვით მანვე ალექსანდრემ აცვა წვერსა ზედა შუბისა თვისისასა» და ასე წავიდა კახეთში. ამ საქმეში ერივნენ ამილახორი და ქსნის ერისთავიცა. ასეთი შეურაცხ-ყოფა, რასაკვირველია, უზომოდ ეწყინა მეფესაც, დედოფალსაც და კეთილ-გონიერთ-კაცთაც. მეფე რომ დაბრუნდა სპარსეთიდგან, მოიწადინა მაგიერის გადახდა ყველა მტრებისათვის და მომეტებულად ამ შეურაცხყოფისათვის. იმან უკვე დაიჭირა ამილახორი ბარძიმი. ეს ამბავი რომ შეიტყო, ძლიერ შეშინდა ქსნის ერისთავი ელისბარი დაუყოვნებლივ მოვიდა დედოფალთან, დაემხო პირქვე, მისცა უკანვე, რაც მისთვის წაერთმივა, აგრეთვე ჯარიმად მისცა ასალ-გორი და მეჯუდა და სთხოვა შენდობა. თუმცა მეტისმეტად დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს ხსენებულთ თავადთ, მაგრამ სულ-გრძელმა და გულ-კეთილმა დედოფალმა შეუნდო, მათ და სთხოვა მეფეს, რომ მასაც ეპატიებინა დამნაშავეთათვის. მეფემ არ გატეხა დედოფლის თხოვნა, რადგან ქართველთა წესით დედა-კაცის შუამდგომლობის უარ-ყოფა არ შეიძლებოდა და თავის მხრით იმანაც აპატია დამნაშავეთ [2]).

არამც თუ დედოფალი და თავად-აზნაურების ცოლნი და ასულნი, არამედ თვით გლეხის ცოლნიც სრულის ცნობიერე-

---

1) ეს დედოფალი ალექსანდრე მეფის გერი და იყო.

2) იხ. იქვე გვ. 27, 29, 296.

ბით მეცადინეობდნენ სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობისა, ბედნიერებისა და ერთობისათვის. უკანასკნელნი შვილსა და ქმარს განსწირავდნენ განაწილებულს საქართველოს შესაერთებლად. სვიმონ მეფემ მოიწადინა იმერეთისა და სამეგრელოს დაპყრობა და შემოერთება სამეფოსთან. შეჰყარა დიდი ჯარი და გაილაშქრა იმერეთ-სამეგრელოზე. კოლბეურში რომ მივიდა თავის ჯარებით, ერთმა გლეხის დედა-კაცმა სთხოვა მეფეს, ჩემი შვილიც წაიყვანე ჯარშიო. მაგრამ იმან უპასუხა: «მთვრალ ვარ კაცითა, არა მნებავს მე შენიო.» საუბედუროთ მეფე იმერეთში დამარცხდა, გამობრუნდა, მოვიდა ისევ კოლბეურში, დახვდა წინ იგივე დედა-კაცი, რომელიც ამ დროს ახოს სთოხნიდა, შეიტყო მისი დამარცხება და უთხრა დაცინვით: «ახლა ფხიზელია მეფევ, ვსთხოვ იახლოს მე ჩემიო.» შერცხვენილ მეფეს ძლიერ გაუკვირდა, მაგრამ არა უთხრა-რა და ჩამოვიდა კავთის-ხევში. აქ ის ჩამოხვდა ერთს გლეხის დედა-კაცის ოჯახში, რომელსაც ქმარიცა და შვილიც მასთან ჯარში ჰყავანდა. მან ვერ იცნა, თუ თვით მეფე იყო მის სახლში სტუმრად. ამისთვის ჰკითხავდა მეფისა და მის ომიანობის ამბავსა, და აგრეთვე ქმარსა და შვილზე. მეფე უმალავს თავს და უპასუხებს—მეფე მშვიდობიანად ბძანდება და შენს ქმარს და შვილს კი ვერ ვიცნობო. «რადგან ცოცხალია მეფე, სანაცვლო იყოს მისთვის ყოველნი: შვილიცა და ქმარიც», სთქვა მამულის მოყვარე დედა-კაცმა. მაგრამ აქ შეიტყო ჯარების დამარცხება, დიდად მწუხარე იქმნა და სტიროდა მეფისათვის უფრო, ვიდრე ქმრისა და შვილისა თვისისა და იტყოდა: «ნეტარ თუმცა ღმერთმან მიხედოს წყალობითა და გვაღირსოს მეფისა სვიმონის ცოცხლებით გამოსვლა და სხვანი ყოველნივე სპანი მისნი ძირისა მისისა სანაცვლო იყოსო.» მეფეს ძლიერ გაუ-

ხარდა გულში ერთგულება დედაკაცისა, არა უთხრა-რა, ნაღვლით სავსე გულით დაბრუნდა სახლში; მერე ქმარი მისი რომ მოუკვდა, «უყო წყალობა ფრიადი მეფემან სიტყვითა მის ქალისათა და უბოძა ყმა და სახელო და სხვა მრავალი, და მიერიდგან აზნაურ იქმნა კაცი იგი, რომელ აწცა არიან ქვლივიმენი» 1).

ამავე დროს მოქმედებს სამცხე-საათაბაგოში დედა-კაცი სახელად დედის-იმედი. მეუხრანიანთ ჩამომავალი და ცოლი სამცხის ათაბაგისა ქაიხოსროსი. «იგი იყო დედა-კაცი ამაყი, გულისპი, მრისხანე, და გაუსინჯავი.» ჯერ ქმრის სიცოცხლეშივე ის ერეოდა სამთავროს მმართველობაში და 1573 წელს ქმარი რომ მოუკვდა და შვილები ჯერ მცირე-წლოვანნი ჰყვანდნენ, მაშინ უფრო გაძლიერდა და მთლად მთავრის უფლება თვითონ მოხვეჭა. ის განაგებდა სამთავროს საქმეებს ისე, როგორც ენებებოდა და ყველას ეშინოდა მისის მძლავრობისაგან. როცა ეს ასე მძლავრად განაგებდა სამცხე-საათაბაგოს, შაჰთამაზმა გამოილაშქრა კახეთზე და ექადოდა ძირიანად მოფხვრას და დარბევას. ამ ამბავმა ძლიერ შეაშინა კახეთი და არ იცოდა, რა საშუალებით დაეხსნა თავი მძლავრისაგან. მაშინ ალექსანდრე მეფის სალთ-ხუცესმა ოთარ ჩოლაყაშვილმა, იხსნა კახეთი შაჰთამაზის დარბევისაგან. მისწერა სამცხე-საათაბაგოში დედის-იმედს წერილი, რომ შაჰთამაზის ცოლის ძმას, ვარაზა შალიკაშვილს, შენი და შენის შვილების ამოწყვეტა განუზრახავს და ჰსურს თვითონ გამთავრდესო. ეს არის მიზეზიო, რომ მისი სიძე ახლა შენზე გამოილაშქრებსო. დედის-იმედმა ეს ამბავი აღარ გამოიკითხა და მოჰკლა ვარაზა. მისი

1) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 32 და 302.

სიკვდილი ძლიერ ეწყინა შაჰთამაზს, დასტოვა კახეთი და გაილაშქრა სამცხე-საათაბაგოზე, ჯერ ააოხრა მთელი ქვეყანა, მერმე სთხოვა სტამბოლს შეკრიგდეთ და საქართველოც ორად გავიყოთო. «გაიყვეს ქვეყანა ჟამსა ამას და შერიგდნენ: დარჩა წილად ხონთქარსა იმერეთი, ოდიში, გურია და საათაბაგო ქართლისა საზღვრამდე, დარჩა კარი საზღვრამდე აბოცისა და ერევნისა და სომხითი საზღვრამდე, რომელსა აწ თურქისტანად უწოდებენ, ვიდრე ბაღდადამდე; ხოლო შაჰთამაზ დაიპყრა ქართლი, კახეთი, ერევანი, ქურთისტანს აქეთი» [1]). ამისა გამო ერთ ნაწილს დაუწყეს რბევა ოსმალებმა, მეორეს—სპარსებმა. ერთმა მოინდომა ქართველების გათათრება, მეორემ—გაყიზილბაშება. მაგრამ უფრო უდიდესი მავნებელი შედეგი ჩოლაყაშვილისაგან დათესილი ღვარძლისა ის იყო, რომ სამცხე-საათაბაგოს თავად-აზნაურობაში დიდი განხეთქილება მოხდა. დედის-იმედისაგან ვარაზა შალიკაშვილის მოკვლამ გაჰყო მთელი სამცხე-საათაბაგო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი მიემხრო ვარაზას შვილს კოკოლას, მეორე დედის-იმედს. გადაემტერნენ ერთმანერთს დედის იმედი და კოკოლა. ასტყდა მათ შორის ძლიერი მტერობა. პირველმა დაიწყო მამის სისხლის ძიება. ჟლიტეს დედის-იმედისა და კოკოლას მომხრეებმა ერთმანერთი 1576 წლიდგან მოკიდებული ვიდრე 1625-მდე, ანგრიეს ციხეები, სიმაგრეები ერთი-ერთისა, აუოხრეს სოფლები და სტაცეს ერთმანერთს სიმდიდრე და საქონელი. დედის-იმედი ხან ერთ შვილს შველის ბრძოლაში, ხან მეორეს, ხან მესამეს. სამი შვილი ჰყავს და საცა საქმე გაჭირდება, იქ მიეშურება. გაათათრებულ ძე ლომსავით იბრძვის, რომ და-

---

[2]) იხ. იქვე გვ. 288 და 289.

ამშვიდოს აჯანყებულები. მემატიანე იმას ადარებს ებრაელების გმირ დედა-კაცს, დებორას, რომელიც იყო ებრაელთა მსაჯული და მხედართ-მთავარი და ებრძოდა ურიათა ხალხოსნობის მტრებსა. ისეთი განრისხებული და გაცოფებული ებრძვის შალიკაშვილებსა და მისს დიდს ძალს მომხრეებს, რომ ბევრგან ამარცხებს მათ და იძულებულ ჰყოფს დაემორჩილონ მას. მაგრამ შალიკაშვილი კოკოლა არ წუნარდება. როცა შეატყო რომ დედის-იმედი თავის მოუღალავის მოძრაობით და მოქმედებით იმასა სძლევს, მაშინ სთხოვს შემწეობას ოსმალეთს. ხონთქარი უგზავნის ჯარებს. შალიკაშვილი და მისი მომხრე თავადაზნაურობა უთმობს თათრებს ზოგიერთ ციხეებს. დედის-იმედი თავის შვილებით, რომელთა სახელები არიან, ყვარყვარე მანუჩარ და ბექა, ერთ და იმავე დროს ოსმალებსაც ებრძვის მხნედ და შალიკაშვილს კოკოლას და მის მომხრეებსაც. ბევრგან ამარცხებს მათ და ართმევს სოფლებსა და ციხე-სიმაგრეებს. ოსმალებიც უფრო და უფრო აქეზებენ ამათ ერთმანერთზე, რადგან ჰსურთ ჯერ დაასუსტონ კარგად და მერმე ორივენი ერთად დაამარცხონ და დაიჭირონ სამუდამოდ სამცხე-საათაბაგო. ამ განზრახვით ისინი ხან დედის-იმედსა ჰშველიან, ხან კოკოლას. ამ გვარმა გაჯიბრებულმა ბრძოლამ იქამდე მიიყვანა ეს ორი ერთმანერთზე გადაკიდებული მხარენი, რომ გამარჯვებისათვის ოსმალებს ელაქუცებიან და უმეგობრდებიან, იმათთან კავშირს იჭერენ და ემორჩილებიან. დედის-იმედი ეწინააღმდეგება ამ განზრახვას, არა ჰსურს აჯანყებულების დამარცხებისათვის სამცხე-საათაბაგოს ქართველობას დაუკარგოს პოლიტიკური თავისუფლება; მაგრამ შვილი ყვარყვარე, რომელიც მემკვიდრე იყო საათაბაგოსი, სხვაფრივ ჰფიქრობს. იმას ჰსურს თათრებს სამუდამოდ დაემორჩილოს და დამორჩილებით დაამ-

შვიდოს ქვეყანა. ამისათვის ის მიეგება ლალა-ფაშას, რომელიც ამ დროს ქართლში იყო თავის ჯარებით და სვიმონ მეფისაგან დამარცხებული გადვიდა სამცხეში. დედის-იმედმა ის ნახა, მაგრამ რა ილაპარაკეს არა სჩანს. მატიანე მხოლოდ ამბობს: «პატრონი ყვარყვარე ლალა-ფაშას თან-გაჰყვა დედის მოტყუებით და აღარ დაბრუნდა... წაუღგა პატრონი დედის-იმედი, ჯაყამდის სდია, ვერ მიეწია, აზნაურის შვილები წაუყვანა, ვეღარ დააბრუნა და დედისა და ცოლ-შვილის გამოუსალმებელი წავიდა, ოლთისი სასანჯახოდ მისცეს.»

აქ და ამ სახით შეარყია სამცხე-საათაბაგოში ქართველების ერთობა, პოლიტიკური თავისუფლება და ქრისტიანობრივი სარწმუნოება ოთარ ჩოლაყაშვილის ხვანჯმა დ ხრიკმა. საზოგადოდ საქართველოს პოლიტიკურად დამხობის მიზეზები, თუმცა უფრო ადრევე შეინიშნება, მაგრამ სამცხე-საათაბაგოს დაკარგვა საქართველოსაგან, მისი გათათრება და ოსმალებისაგან დაპყრობა ამ დროიდგან დაიწყო. მის დაკარგვის მიზეზნი გახდნენ უკანასკნელად ოთარ ჩოლაყაშვილი, დედის-იმედი და კოკოლა შალიკაშვილი. აი რა ნაირად:

დედის-იმედის შვილი ყვარყვარე და ამისი ძმა მანუჩარი 1579 წელს ოსმალებმა სტამბოლს წაიყვანეს. ამავე წელს მანუჩარს მისცეს ფაშობა და გამოგზავნეს სამცხეში, მისი ძმა ყვარყვარე კი, მემკვიდრე საათაბაგოსი, არ გამოუშვეს სტამბოლიდამ, რადგან ქრისტიანობას არა სტოვებდა. ის გააპატიოსნეს სამცხეში მხოლოდ მაშინ, როცა სტამბოლში ერთ გამოჩენილ მოჭიდავეს, ხონთქრის თხოვნით, დაეჭიდა და ღონივრად დაახეთქა მიწაზე (1580 წელს); მაგრამ ორ წლის შემდეგ მოკვდა ყვარყვარე. გამთავრდა მისი ძმა მანუჩარი მე-II. ამ დროს დედის იმედი ჯერ კიდევ ცოცხალია. 1587 წელს ის ნახა შაჰ-აბასმა და აჩუქა ერევნის მხარეს ხუთი დიდი სო-

ფეღი. შაჰ-აბასთან მეგობრობისათვის ოსმალოს ჯარები გასწყრნენ მანუჩარზე, უღალატეს და მოკვლა მოინდომეს მისი, მაგრამ ჩხუბში იმან ფაშები მძიმედ დასჭრა და დაიცვა თავისი ქვეყანა აკლებისაგან. ამასობაში დედის-იმედმა კიდევ ამოჰყო თავი. რადგან სპარსეთის შაჰთან კარგად იყო, ამისათვის იმან უშიშრად გაწყვიტა ქართლის მეფის სვიმონის შემწეობით თავის მოღალატენი და დაიპყრო სრულიად სამცხე. მაგრამ აქედგანაც არა გამოვიდა-რა. ამისათვის რომ ამ დროს მესხნი სტოვებდნენ ქართულს წესსა და რიგსა და სჯულსა ოსმალების მძლავრობით. ამასობაში მანუჩარიც მოკვდა, და გამთავრდა მისი შვილი მანუჩარ მე-III. ამის დროს ოსმალებმა არ მოასვენეს საათაბაგო: იკლებდნენ და აოხრებდნენ მას. გაბეზრებულ კი მანუჩარი წავიდა სტამბოლს. იქ დაუმტკიცეს იმას ათაბაგობა; მაგრამ ხონთქრისავე ჩაგონებით ბექამ (ბიძამ) გზაზედვე მოწამლა და მოკლა თავისი ძმის-წული. მაშინ ხონთქარმა მისცა ბექას ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე-საათაბაგოსი და უწოდეს საფარ-ფაშა და პატივი სცეს ორითა თუღითა.» ამის შემდეგ აღარ ყოფილა სამცხე-საათაბაგოში მთავარი ქრისტეს სჯულითა, არამედ სხდებოდნენ ფაშები.

ამ უკანასკნელ მიზეზისა გამო დიდ-ძალი თავად-აზნაურობა გამაჰმადიანდა; ამასთანავე ფაშებმა გამორეკეს სამცხე-საათაბაგოდამ ყველა მღვდლები, ეპისკოპოსნი და სხვანი სასულიერო პირნი, რომელთაც კი არ უარ-ჰყვეს ქრისტეს სარწმუნოება, გაუქმდნენ ეკლესიანი და მონასტერნი; ზოგი მათგანი დაანგრიეს, ზოგი მეჩითად გადააკეთეს; მრავალთ ქრისტეს მორწმუნეთა გამოიტანეს იქიდგან ჯვარნი, ხატნი და ეკლესიის სამკაულნი დ დამალეს სახლებში, რომ მალვით მაინც ეღიარებინათ ღმერთი ქრისტიანულად. რომელთაც არა ჰსურ-

დათ ფარისევლობით ქცევა და დაფარვით აღვიარება ქრისტეს სჯულისა, იმათ დასტოვეს თავისი სამშობლო და გადმოსახლდნენ ქართლში, კახეთში და იმერეთში, და თან მოიტანეს საეკლესიო ნივთნი, ხატნი და ჯვარნი. ამ დროს არიან გადმოსახლებულნი დისამიძეები, ავალიშვილნი, ციციანნი, ლეონიძენი და სხვანი. უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურობისა დარჩა თავის ქვეყანაშივე და გათათრდა. ასე მოიქცნენ პირველად თავადნი და აზნაურნი, მერმე მათს მაგალითს მიჰბაძეს გლეხთაც. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, რომ თევზი აყროლებას პირველად თავიდგან დაიწყებსო. გლეხთ არა ჰსურდათ მამა-პაპის სჯულის დატოვება, მაგრამ მათ ბატონებმა ნება არ მისცეს, დაუწყეს დევნა სჯულზე მტკიცედ დგომისათვის. მაშინ გლეხობის მომეტებულმა ნაწილმა უარ-ჰყვეს მამა-პაპის სარწმუნოება, მცირედმა კი დასტოვა საათაბაგო და გადმოსახლდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოში. დაიხოცნენ მწყემსნი და განიბნივნენ ცხოვარნიო, რომ იტყვიან, სწორედ ისე მოხდა. მატიანე ამბობს, რომ მით უფრო უმეტეს ადვილად გაჰქრა ხალხში ქრისტიანობაო, რომ მათ აღარ ჰყვანდნენ მღვდელნი და ეპისკოპოსნიო და ხალხი აღარ ემორჩილებოდა მცხეთის კათალიკოზსაო. მარტო თავადთა დ გლეხთა დედა-კაცები ადგნენ მტკიცედ მამა-პაპის სარწმუნოებას, მამა-კაცებსავით ადვილად იმათ თავი არ დაანებეს ქრისტეს სჯულს. «თუმცა წარჩინებულნი მაჰმადიანნი იყვნენ, ამბობს მატიანე, არამედ ცოლნი მათნი და მხევალნი იყვნენ ყოვლითა ქრისტიანენი.» 1647 წელს სტამბოლიდგან მოსწერეს საფარ-ფაშის (ბექას) შვილის-შვილს როსტომ ფაშას, რათა იქმნენ ცოლშვილნიცა მათნი, რომელნიცა მაჰმადიან არიან—მაჰმადიანად.» ეს ბრძანება გამოუცხადეს როსტომ-ფაშის ცოლს, მაგრამ «მან

არა ინება, არამედ აიძულებდნენ ყოფას მაჰმადიანად და ამისთვის დაითმინა მრავალნი ტანჯვანი. მერმე განივლტო, რათა გარდაიგდოს თავი კლდესა ზედა. სცნეს ესე, შეიპყრეს და არა უტევეს, კვალად ინება მოშთობა თავისა თვისისა და მცნობელთა არცა ამასზედა მიუშვეს. ხოლო შემდგომად სიყმილისა და მრავლისა ქენჯნის, მოიპოვა ღონე, რამეთუ ჰგონა, ვითარცა თვით თავისა ყოფნა, ეგრეთცა სხვათაცა და ამის მიზეზისათვის იტყოდა: უკეთუ დაატოვებინოთ ყოველთა წარჩინებულთა ცოლთა უწინარეს ჩემსა ქრისტე, მერმე დავუტეო მეცა, უკეთუ არა, ესრეთ არცა მე. მაშინ შეუთქვეს რა წარჩინებულთა ცოლთა, მათ ყოველთა შიშისათვის ტანჯვისა დაუტევეს ქრისტე და გამაჰმადიანდნენ ყოველნი სრულიად და ამის შემდეგ, უღონო ქმნილი, გამაჰმადიანდა იგიცა. არამედ იქმნა რისხვა ღვთისა ცოდვათა ჩვენთათვის, რამეთუ აწ უმეტეს ადრე მოოხრდნენ ეკლესიანი... რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს წარაქვნდათ ხატნი და ჯვარნი და წმინდათა ნაწილნი, მოისპოდნენ ეპისკოპოსნი, თუ სადმე იყო და მონაზონნი და მწყემსნი» [1]).

ქართველნი დედა-კაცნი მარტო სარწმუნოების დაცვაში არ იყვნენ მტკიცენი. ისეთნი იყვნენ ისინი მტერთან ბრძოლაში და სამშობლო ქვეყნის დაცვაშიაცა. 1608 წელს ხონთქარმა გაილაშქრა სირიის წინაამდეგ. მან დაიბარა ყირიმის თათარხანი თავის ჯარებით. იმან გაიარა თავის ჯარით სტამბოლზე და შეუერთდა ხონთქრის ჯარებს სირიაში. ამათ დაიპყრეს ეს ქვეყანა. ბაღდადის აღების შემდეგ ხონთქარმა ნე-

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. მე-II ნაწ. გვ. 162—169 და 288—299.

ბა მისცა თათარხანს დაბრუნებულიყო ყირიმში. მაშინ ამ უკანასკნელმა სთხოვა ხონთქარს ნება მიეცა საქართველოზე გავლისა, რადგან ეს გზა მოკლე არისო. იმას ეგონა, რომ საქართველო მდიდარი ქვეყანა არის და გავლის დროს დავიმყრობ და სიმდიდრეს ვიშოვიო. 1609 წელს ის მოადგა ჩვენს ქვეყანას. შეიტყო მეფე ლუარსაბ პირველმა. ამან და გიორგი სააკაძემ, დიდმა მოურავმა, რამდენჯერმე დაამარცხეს გზაზე, მაგრამ ის მაინც გადმოვიდა ქართლში და დადგა სურამის ბოლოს, აქ მოგროვდა ქართველთა ჯარებიცა, რომელშიაც ერივნენ დედა-კაცნიცა. მოურავის მეცადინეობით და მამაცობით თათარხანის ლაშქარი ასე დამარცხდა, რომ სრულიად გაიფანტა და მოედო ტყე-ღრეს. მას მიჰყვნენ უკან დედა-კაცები. სამ დღის განმავლობაში იჭერდნენ ისინი თათრებს ტყეში და გათოკილები გამოჰყავდათ ტყიდამ, აშიშვლებდნენ და ტიტვლებს უშვებდნენ ბედის ამარად [1]).

თუმცა ნათქვამი არის დედა-კაცისაგან, რომ «ერთი სხვათა შვილი დედასაც და მამასაც მირჩევნიაო», მაგრამ ლუარსაბ მეფის დას თინათინს სამშობლოს ბედნიერება და ხალხოსნურის მეფის სიცოცხლე ურჩევნია თავის ქმრის სიამოვნებასა დ სიცოცხლეს. იმას თავისი ქმარი შაჰ-აბასი იმდენად არ უყვარს, როგორც თავისი ძმა და საქართველო. იმას ჰსურს როგორმე განთავისუფლოს ქმრის ხელიდგან დატყვევებული ძმა და დააბრუნოს ისევ სამეფოში. იმას ჰსურს ძმის წადილი ასრულდეს, და არა ქმრისა. ამისათვის 1615 წელს, როცა შაჰ-აბასი შემოესია საქართველოს და მოტყუებით დაიჭირა ლუარსაბი დ მიჰყავდა სპარსეთში, ყარაიაზე ყაენმა და მან ინადირეს. აქ

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 36.

მეფემ სიმარჯვე გამოიჩინა და 13 ნადირი მოკლა ერთ დღეს. ეს ამბავი ძლიერ ეწყინა დას თინათინს და შემოუთვალა მალვით ძმას, «რათა არა უჩვენოს ყაენს თავი თვისი მხნედ და ახოვნად.» ამაზედ ძმამ უპასუხა: «ვუწყი, რამეთუ არღარა განმიტევებს, ამისთვის უმჯობეს არს სიკეთისა ჩვენება, ვიდრე სიავისა.» გარდა ამისა თინათინზე კიდევ ის ვიცით, რომ ამ დროს ის იყო საქართველოში შაჰ-აბასთან ერთად და მის ბრძანებით მისწერა იმერეთში მყოფს ძმას წიგნი და მიიწვია თავის ქმართან. ეწადა დას ძმისთვის ამ წერილის მიწერა თუ არა, ეს არ არის ცხადი, მაგრამ მატიანე ამბობს, რომ დის წიგნი შაჰ-აბასმა გაუგზავნა ლუარსაბსაო. აქედგან, რასაკვირველია, არა სჩანს თინათინის გარევნა საქართველოს ბედ-იღბლის პოლიტიკურად განწყობაში. ლუარსაბის სიტყვები, რომელიც ზევით მოვიყვანეთ და დის მიერ გაფრთხილება მისი ამტკიცებენ, რომ იმას ჰსურდა ძმის და მეფის განთავისუფლება. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თინათინის დედა-მთილზე, რომელსაც ერქო ბეგუმ და იყო შაჰ-აბასის დედა. ჩვენ არ ვიცით, ეს ქალი ქართველი იყო თუ არა ჩამომავლობით, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ამისი დედა-მთილი იყო ოთარ შალიკაშვილის ქალი. თუ მივიღებთ მხედველობაში ევროპიის მოგზაურის (1627 წ.) პიეტრო დელლავალეს შემდეგს სიტყვებს: «ქართველების რიცხვი ისე დიდი იყო, რომ დღეს არ იპოვება არც ერთი სახლი მთელს სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთანა (ტყვეებით) ქართველებით, მამა-კაცებით და დედა-კაცებითაც; იქ არ არის იმისთანა დედა-კაცი, რომელსაც არა ჰსურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, ამიტომ რომ ესენი მშვენიერები არიან. თვით ხელმწიფეს გავსებული აქვს თავისი სასახლე მათის კაცე-

ბითა და ქალებით და სხვებს თითქმის არ იმსახურებს[1]); —ვამბობთ, თუ ამ სიტყვებს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ბეგუმ, თუ მამითაც და დედითაც არა, ერთის მხრით მაინც ქართველი იყო. აი ეს ბეგუმ იყო დედა-კაცი მეომარი, მხნე და ახოვანი. რადგან ქმარი სუსტი ხასიათისა და ჭკუის კაცი იყო, ამას ეჭირა მთელი სპარსეთის სახელმწიფოს საქმეების გამგეობა. რადგან ამ დროს ოსმალები აოხრებდნენ საქართველოს და იპყრობდნენ, ამისათვის ეს ბეგუმ წამოუძღვა სპარსეთის ჯარებს, მოვიდა შირვანში, შეება ოსმალოს ჯარებს, დაამარცხა ლალა-ფაშა, წაართო ციხე, დაწვა და დააქცია, ხაზინაც წაართო და თათარხანი დაატყვევეს ყაზმინს. ვიდრე ეს მხნე დედა-კაცი ცოცხალი იყო, ყიზილბაშნი ვერას ავს უბედავდნენ მის ქმარს შახუდაბანდას, მაგრამ ის რომ მოკვდა, მაშინ მისი ქმარი ყიზილბაშებმა ჩამოაგდეს ტახტიდამ და ციხეში დაამწყვდიეს. ჩვენთვის ის მით არის მხოლოდ შესანიშნავი, რომ მან უშველა მეფე სვიმონს ოსმალების დამარცხებაში.

როგორც მჯობნს მჯობნი არ დაელევა, ისე კარგთან რომ ცუდიც არ იყოს, არ შეიძლება. ეს წუთის სოფელი ისეა აგებული, რომ ვიდრე მზე ანათებს, ბოროტსა დ კეთილს ექნებათ განუწყვეტელი ბრძოლა ურთი-ერთ შორის. ამას ჩვენ იმაზე ვამბობთ, რომ ამავე დროს იყვნენ ორნი მაღალ-წოდების ზნე-გაფუჭებულნი დედა-კაცნი. ერთი იყო ქართლელი, მეორე კახელი. რასაკვირველია, გარყვნილნი და მავნებელნი სხვანიც ბევრნი იქნებოდნენ, მაგრამ ჩვენ აქ იმათზე ვლაპარაკობთ, რომელნიც მატიანეში არიან მოხსენებულნი და რომელ-

---

1) იხ. ჟურ. «ივერია», 1879 წ. № 3.

ნიც რაიმე მხრით შეეხნენ ერის ცხოვრებას თავიანთ მოქმედებით. კახელი ქალი იყო მეფე ალექსანდრეს და. ამას აღერჩივა ქრისტიანობა (მონოზნობა) და სცხოვრებდა ალავერდს; მაგრამ ფარულად მას «თანა ეყოფოდა ალავერდელი.»—ეპისკოპოსი, ძმა ხსენებულ ბოროტ-მოქმედისა ოთარ ჩოლაყაშვილისა. ეს ამბავი ჯერ არავინ იცოდა: მაგრამ როცა იერუსალიმის პატრიარხმა მეფეს ალექსანდრეს შემწეობა სთხოვა ფულით მონასტრების ვალების გადასახდელად, მაშინ ეს დაფარული საქმე განცხადდა. საქმე იმაშია, რომ კახელები თანახმა გახდნენ ნება-ყოფლობით, ვისაც რამდენი შეეძლო, შეეწირათ ფული იერუსალიმის პატრიარხის საჭიროებისათვის. „დაადგინეს ალავერდელი, რათა შეჰკრიბოს (ფული) და წარიღოს იერუსალიმში. მან შეჰკრიბა ხუთი ათასი დრაჰკანი და წარვიდა. მეფის დამ რომ შეიტყო ეს ამბავი, გამოუყენა მას უკან კაცი და დააბრუნა: მე ორსულად ვარ შენგან და შენი წასვლა არ შეიძლებაო. ამის გამგონე ალავერდელი მაშინვე დაბრუნდა; მოვიდა კახეთში «წარიპარა ქალი იგი და წარვიდა იმერეთს; ხოლო ოქრო იგი წარმოუგზავნა ალექსანდრესვე.» ამ საქმისათვის პატრიარხმა დასწყევლა სულიერი მამა; ალექსანდრე მეფემ არამც თუ არა აგნო-რა, არამედ შეჰრთო მასვე თავისი და, რადგან გარეჭილ იყო და „მისცნა მცირედნი მამულნი და იყოფოდა მუნ შინა» [1]). ეს ამბავი მოხდა 1602 წელს. ამ ამბის ცოტა მერმე მეორე დედა-კაცმა ჩაიდინა უმსგავსო, უკადრისი და უსირცხო საქმე. ეს იყო სახელოვანის გმირის ზურაბ ერისთვის ძმის ბაადურის ცოლი იმერეთიდამ. ამ ქალმა შეიყვარა ჯიჯავაძე საზვერელი, და რამდენიმე ხნის

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 111.

კურკურის შემდეგ, საჩინოში ყოფნობის დროს, მოაკვლევინა კანონიერი ქმარი ამავე ჯიჯავაძეს და გადიწერა ჯვარი. ეს ამბავი შეიტყო ბაადურის ძმამ ზურაბ ერისთავმა, მაშინვე შემოიყარა ჯარები, გადაიარა ფერსათის მთა და მიადგა საჩინოს. იმ ღამეს როსკიპმა ქალმა სიზმარში ნახა: „რამეთუ მოჰკლეს საზვერელი და ტყვე ჰყვეს იგი", და ურჩევდა ახალს ქმარს ციხეში შეხიზვნას და გამაგრებას; მაგრამ მან არ გაუგონა. მაშინ ის თვითონ შევიდა ციხეში და გაამაგრა იგი. ამ დროს ზურაბიც მოვიდა, დაესხა თავს ჯიჯავაძეს, მოჰკლა და მოჰკვეთა თავი; «გარნა ციხესა ვერა ავნო-რა», რადგან ქალმა ბრძოლა დაუწყო [1]). ეს მოხდა 1619 წელს.

რადგან ამ „ისტორიული სურათების" წერაში, რამოდენადაც შეიძლება, ქრონიკონს მივსდევთ, ამისათვის ახლა უნდა შევუდგეთ ქეთევან დედოფლის მოქმედების აღწერას.

1627 წელს პიეტრო დელლავალე ამბობს, რომ შაჰ-აბაზს გულით ეწადა ამაყი სპარსელების დამცირებაო. ამისათვის იმან მოიწადინა ქართველების გამრავლება თავის ჯარში, მაგრამ ამ განზრახვის ასრულება შეუძლებელი იყო, ვიდრე ქართველები არ დასტოვებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას. საჭიროდ შეიქმნა მისთვის ამათი გამაჰმადიანება. შეუდგა ის ამ განზრახვის აღსრულებაში მოყვანას. იმას თანა ჰყვანდა სპარსეთში კახეთის მეფის ალექსანდრეს შვილი კონსტანტინე. ამას კარგად შაესწავლა სპარსული ენა, წიგნი, ზნე და ჩვეულება და გამაჰმადიანებულ იყო. აი ეს ბატონიშვილი კონსტანტინე 1605 წ. მიიხმო შაჰ-აბასმა სასახლეში და უთხრა: «მომკვდარ არს დავით ძმა შენი და არს მამა შენი მოხუცებული და ძმა შენი გიორ-

---

[1]) იქვე გვ. 40.

გი, აწ ვინადგან შენ ხარ სჯულსა ჩემსა მტკიცედ და მეფობისა ჩემისა სარწმუნო, მომიცია სრულიად შირვანის ჯარები შემწედ, ხალათი და საჩუქარი მამისათვის, წარვედ და მოჰკალ ორნივე და შენ გამეფდი და ჰყავ კახეთი მაჰმადიან.» უღირსი შვილი საქართველოსი დათანხმდა, მოვიდა საინგილოში, ჩამოჰხდა ქალაქს ბაზარში, დაიბარა იქ მამა და ძმა, დახოცა ისინი ღალატობით და გამოაცხადა თავი თვისი მეფედ. მერმე მოუგზავნა კაცი დედოფალს ქეთევანს, (ქვრივს), თავის ძმის დავითის ცოლსა და შემოუთვალა: «რადგან მაჰმადის სჯული ნებას აძლევს შერთვას რძლისას და მე ვარ მაჰმადიანი და კახეთიც ყველის ბძანებით მე დავიჭირე, შემირთე ქმარად და იყავ ისევ დედოფალი, და თუ თანახმა არ გახდები შენის ნებით, მაშინ ამ საქმეს მე ძალად ვყოფ.» ქეთევანს ძალიან ეწყინა ასეთი თავხედი მისი სურვილი და მამა-მთილისა და მაზლის სიკვდილი, შეჰყარა მაშინვე კახეთის თავად-აზნაურობა და უთხრა: სად გაგონილა ქრისტიანობაში, რომ ძმამ ძმის ცოლი შეირთოსო. ჩემს მაზლს კოსტანტინეს ჩვენი მეფე ალექსანდრე და ჩემი მაზლი გიორგი ორივე ღალატობით დაუხოცია, ახლა განუზრახავს ძალად ჩემი ცოლად შერთვა და კახეთისაც გამაჰმადიანება. თუ ამაზე თქვენ ყველანი ყაბულსა ხართ და არ გსურთ დაცვა სამშობლო ქვეყნისა, სარწმუნოებისა და ქართველთა დედათა ნამუსი, მაშ ღმერთმან მშვიდობა მოგცეთ, მე აქ აღარ მსურს დგომა, წავალ ჩემს სამშობლოს ქართლს. კახელებს ძალიან ეწყინათ ეს ამბავი, შეიყარნენ ყოველ კუთხიდამ, გამოუცხადეს დედოფალს ერთგულება და მოემზადნენ კოსტანტინესთვის წინააღმდეგობის გაწევას. მიუძღვა მათ ქეთევან დედოფალი, მოჰხდა ზაქათალის მაზრაში ბრძოლა, დამარცხდნენ სპარსნი და მოჰკლეს კოსტანტინე.

რადგან ხელმწიფის შთამომავალი აღარავინ იყო, ამისათვის გახელებმა გაამეფეს ქეთევანი. ის იყო აშოთან მუხრანბატონის ქალი ბაგრატიონი და ნათესავი მეფის ლუარსაბისა, რომელიც ამავე დროს იქმნა წამებული სპარსეთში. მას ჰქონდა დიდი ნიჭი სახელმწიფოს მართვისა და იყო გამოცდილი, ამისათვის რომ ის იყო რამდენჯერმე სპარსეთშიაც. რამდენიმე წლის განმავლობაში, ვიდრე მცირე წლოვანი იყო მისი შვილი თეიმურაზ პირველი, ის დიდებულად განაგებდა სახელმწიფოს. მაგრამ შვილი ეჭვით უყურებდა დედას. შაჰ-აბასი ჩაჰჩურჩულებდა თეიმურაზს, რომ მის დედას განზრახვად აქვს ქმრად შეირთოს გამოჩენილი სარდალი ქაიხოსრო ომანიშვილიო, რომლის ვაჟ-კაცობით და სახელმწიფო საქმეების ცოდნით იმან ბევრი ისარგებლაო. ამ შემთხვევაში დედა შენი ეცდება, ეუბნებოდა ის, რომ წინააღმდეგი გაგიხდესო, რომ რა არის სახელმწიფო მოუმზადოს სხვა შვილებს, რომელნიც ეყოლება მეორე ქმრის ხელშიო.» თეიმურაზი მოსტყუვდა და მოაკვლევინა ეს საუკეთესო შვილი ქვეყნისა. ქეთევანმა რა უთხრა შვილს ამ ბოროტ-მოქმედებისათვის, არ ვიცით, მაგრამ თვით თეიმურაზმა კი იგრძნო შეცდომა. ხოლო შემთხვევათა მსვლელობა გვარწმუნებს, რომ დედა, «როგორც ძლიერ ჭკვიანი ადამიანი», ამისათვის შვილს არ შემოსწყრომია, რადგან მათი ურთი-ერთ შორის უთანხმოება ავნებდა სამეფოს კეთილ-დღეობას, და ორივე, მცხოვრებნი გრემის ქალაქში, განაგებდნენ კეთილად კახეთს.

იმ დროს, როცა ქეთევანმა მოჰკლა კონსტანტინე ბრძოლაში, თეიმურაზი სპარსეთში იყო. შაჰ-აბაზს ძლიერ ეწყინა, რომ მისი განზრახვა არ ასრულდა, და რომ ქართლმა არ დაიჭიროს კახეთი და არ შეიერთოს, შეიტყო თუ არა კონსტან-

ტინეს სიკვდილი, მაშინვე გამოისტუმრა თეიმურაზი კახეთში და თან გამოაყოლა იქ მყოფი კახელები. ქიზიყში ის ისტუმრა ერთმა გლეხმა და აქ დედა-კაცებმა უძღვნეს მას ცხრა ბალღი აკვნით სამშობლო ქვეყნის დასაცველად. აქედგან აცნობა დედას თავისი მოსვლა, მივიდა გრემს, იყო დიდი სიხარული დედა-შვილისა და ყოველთ კახელებთ შორის. რამდენიმე ხნის შემდეგ დედამ მოიყვანა თეიმურაზი ქიზიყს და წმინდა ნინოს სობოროში აკურთხებინა მეფედ. ამ დროს ის იყო 13 წლისა, როგორც სწერს მეფე არჩილი.

შაჰ-აბასს ბრაზი მოსდიოდა, რომ ვერ აღასრულა თავისი განზრახვა და რომ ქეთევანისა და თეიმურაზის გამგეობის ქვეშ კახეთი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. საქართველოში ქრისტიანობის დაცვას ის მეფეებს აბრალებდა, ამისათვის მეცადინეობდა ორივე სამეფოში მეფის გვარეულობის ამოწყვეტას. მაგრამ უფრო უმეტესად კახეთის ჯავრი სჭირდა კონსტანტინეს სიკვდილის გამო. ის ეძებდა მიზეზებს, რომ წაჰბრძოლებოდა ქართლსა და კახეთს. ამ განზრახვით იმან მოიწვია სპარსეთში თეიმურაზი და საიდუმლოდ ეუბნებოდა: ლუარსაბის და ხორეშანი შეირთეო და მაშინ მე და შენ ქვისლები ვიქნებითო და ლუარსაბთანაც თანხმობით იცხოვრებო. იმას ეგონა, რადგან თეიმურაზი და ლუარსაბი მახლობელი ნათესავები არიან, უარს იტყვიან ქრისტეს სჯულის დარღვევაზეო და მე ამ მიზეზით ურჩობისათვის ომს გამოუცხადებო; მაგრამ მეფეებმა იცოდნენ შაჰ-აბაზის მზაკვრობა და თანახმა გახდნენ დამოყვრებაზე, თუმცა პირველში უარზე იდგნენ. თეიმურაზმა შეირთო ლუარსაბის და ხორეშანი. მაგრამ შაჰ-აბასი კიდევ არ დასცხრა, და ახლა სხვა მიზეზი მოიდო: მე ვსთხოვე ლუარსაბს ეს ქალი, მე უარი მითხრა, ნათესავს კი მიათხოვაო; და-

იყინა, არ იქნება, თუ თეიმურაზმა მე არ დამითმო ხორეშანიო, რადგან ლუარსაბი პირველში მე შემპირდა იმას, მერმე კი მის ნაცვლად თინათინი მომცაო [1]). თეიმურაზმა შეუთვალა: «მე ჩემი ღირსება ნებას არ მაძლევს, რომ ჩემი საკუთარი ცოლი სხვას მივსცეო.» ღვთის რისხვა კაცი შაჰ-აბასი მალიან განძვინდა, წამოვიდა დიდის ლაშქრით კახეთის ასაოხრებლად. მაშინ დედოფალმა ქეთევანმა გასწირა თავი თვისი, წავიდა ყეენთან, თან წაიყვანა ორი თავისი ქალი და შვილიშვილი ალექსანდრე, რომ ამით დაემტკიცებინა მისთვის ერთგულება და შერიგებინა თეიმურაზთან. «ეგრე მოიქცა თეიმურაზ, ამბობს დელლავალლე, იმ იმედით, რომ მის დედას ქეთევან დედოფალს, როგორც მლიერს ჭკუიანს ადამიანს და რამოდენიმე ჯერ სპარსეთში ნამყოფს, ხელმწიფის ხასიათის მცოდნეს, შეეძლო მისი დამშვიდება და შერიგების მოთხოვნა, მაგრამ ხელმწიფე ულმობელად დარჩა, და, თითქოს ძლიერ შეუვარებული ყოფილიყოს, დაჟინებით თხოულობდა ხორეშან დედოფალს.» დაიწყო ახლა ბრძოლა ქეთევანსა და შაჰ-აბაზს შორის. ის ეუბნება ქეთევანს: თეიმურაზი ჩემი ერთგული რომ იყოს, თავის მემკვიდრე შვილს ალექსანდრეს გამომიგზავნიდაო. ახლა მოიიახოვა ესეც. ქეთევანმა მისწერა შვილს, ნუ გამოგზავნი ალექსანდრესო; მაგრამ მან არ გაუგონა. ესეც რომ მივიდა, ახლა თვითონ თეიმურაზი დაიბარა. ის აღარ წავიდა. მაშინ შაჰ-აბასმა გამოილაშქრა საქართველოზე, ააოხრა კახეთი და 100,000 სული ქართველი გადაასახლა კახეთიდამ. მაშინ აოხრდა ჭიაური და ზაქათალის მაზრა. გადასახლე-

[1]) დელლავალლე ამბობს, რომ ამ ქალის სახელი ელენა იყოვო; ქართ. ცხოვ. კი თინათინი სწერია.

ბულთაგან უმეტესი ნაწილი საჩუქრებითა და ჯილდოს დაპირებით გაამაჭმადიანა, და მათგან შეადგინა ლაშქარი 30,000 კაცით. მაგრამ სიმტკიცე ქეთევანისა ვერ გასტეხა ვერც მუქარით, ვერც კეთილის ცხოვრების დაპირებით. მაშინ შეუბრალებელმა ბარბაროსმა ის დაიმწყვდია შირაზის ციხეში. შვილის-შვილები კი, მათ მოუდრეკელობით გაბრაზებულმა, დაასაჭურისა და თან გააყოლა. ალექსანდრე მალე მოკვდა, ხოლო ლევანი გაგიჟდა.

ქეთევან დედოფალი, წაყვანილი შირაზში „მთელის თავის სახლით (მას ჰყავდა მრავალი მოსამსახურე ქალი და კაცი) დიდის სიმტკიცით ადგა ქრისტეს სარწმუნოებას, რომელსაც ასრულებდა, რამოდენადაც იცოდა და შეეძლო. დიდის გულმოდგინებით, მფიროვასს საეკლესიო ნივთებს, წიგნებს და სამოსლებს დიდის თაყვანის-ცემით ინახავდა. მაგრამ იმ დროს მას არა ჰყავდა არც ერთი თავისიანი მღვდელ-მთავარი წირვა-ლოცვის აღმასრულებელი. ერთი კი ჰყავდა წინედ, რომელიც, ვფიქრობ, იყო რაღაც საეკლესიო თანამდებობისა; მაგრამ რადგან ის იყო მალიან კეთილი ქრისტიანე და მაჭმადიანებს ეგონათ, ის იმაგრებს დედოფალს და, რაკი მოშორდება, დედოფალიც გადუდგება თავის სარწმუნოებასაო, მას შესწამეს, რაღაც დიდი დანაშაულობა და მოჰკლეს. ის მოჰკვდა ცეცხლზე დამწვარი შირაზში, თავ-დადებული სარწმუნოებისათვის და აღსავსე დიდის მოთმინებითა. მეორე მღვდელთაგანი, რომელიც ქეთევან დედოფალს თან ჰყვანდა, როცა მე იქ ჩავიარე, იყო ვითარცა მოურავი; განაგებდა მთელს მის სახლს და უფრო კარის-კაცად ჩაითვლებოდა, ვიდრე სხვა რამედ; უცოდინარობისა, თუ სხვა რამე მიზეზისა გამო, არ ვიცი, ის არასოდეს არ ჰსწირავდა. გარდა ამისა ჰყავდა კიდევ

ერთი ბერი, მაგრამ სრულებით გამოჩერჩეტებული და ერთი ერის კაცი, რომელიც ამისთანებში ჯერაფრად გამოადგებოდა. მე ვფიქრობ, რომ მას აქეთ, რაც ჩვენ პატრებს კარმელიტანელ ფეხ-შიშველებს და აგრეთვე ავგუსტინიანებს აქვთ შირაზში დგომა და ეკლესია, ისინი არ დააკლებდნენ იმას ნუგეშს და გაამხნევებდნენ ყოვლის გვარის სულიერ შემწეობით. მე გავიგონე, რომ დედოფალს არასოდეს, ვიდრე ცოცხალი იყო, არ დაუკლია მათთვის უხვი საწირავები და სხვა გვარი შემწეობაც. მე ვამბობ ვიდრე ცოცხალი იყო მეთქი, ამიტომ რომ რამდენიმე თვის წინედ, ინდოეთიდგან დაბრუნებული ბაზორაში რომ ჩაველ, იქ მე შევიტყე შემდეგი ამბავი. 22-ს სექტემბერს (ჩვენებურ 10-ს) **1624** წელსა ქეთევან დედოფალი სპარსეთის ხელმწიფის ბრძანებისამებრ დიდის წვალებით მოუკლავსთ, ქრისტეს სჯულზე სიმტკიცით დგომისათვის, იმავე ქალაქს შირაზში, სადაც ამდენი ხანი დაკავებული იყო. არ ვიცი რა მოქმედობას თხოულობდნენ მისგან. სიკვდილს შეჰხვდა იგი მხნედ, ვითარცა უდიდებულესი მოწამე. ამ ცნობის საფუძვლად მე ვასახელებ ღირსის პატრის ფრაგრეგორიო-ორსინო და მინიკანელის მოხსენებათა. იგი იყო სამხრეთის მთავარი ვიკარი და თავის მოგზაურობის დროს გადასულიყო სპარსეთში, სადაც ცოტა ხნის წინეთ ეს შემთხვევა მომხდარიყო. ბაროზაში შევხვდი მე, და პირველად მან მიამბო ეს ამბავი. გარდა ამისა მან ამის შესახებ რომში წარადგინა ვრცელი მოხსენება» [1]).

მღ. დიმ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

---

1) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 112—119; ჟურნალი «ივერია», გვ. 45—53, სტატია დელლავალლესი.

ციხე შიგნიდამ გატეხილი.

(შემდეგი *).

ნაწილი მეოთხე.

თავი პირველი.

მასზედ, თუ დონ ფელიპე არანა როგორა ღსნიდა და გინმარტებდა მაგნიტიურს მოვლენას.

ომიანობის დროს, როდესაც როზასს აღარც ერთი წამი მოცალეება არა ჰქონდა, ბატონი მინისტრი არანა გუბერნატო-რის თანამდებობას ასრულებდა, თუმცა კი, მართალი უნდა გითხრათ, ის ამ თანამდებობას ძნელად თუ ასრულებდა.

ამ დღეს პოლიციის უფროსი ვიქტორიკა მინისტრთან იმყოფებოდა და ჯერ არ გამოსულიყო იქიდამ, რომ მღვდელ-მა გაეტემ შეაღო კარები და შევიდა მინისტრ-გუბერნატო-რის კაბინეთში.

ისეთ შემაძრწუნებელს გავლენას ვერაფერი ვერ მოახდენ-და დონ-კანდიდო როდრიგეცზედ, როგორიც მოახდინა მამა გაეტეს მოულოდნელმა შესვლამ, დონ-კანდიდო ისე შეძრწუნ-

---

*) «ივერია» № 9, 1882 წ.

და ამითი, რომ კინაღამ მინისტრსა და მამა გაეტეს ზურგი არ შეაქცია.

მაგრამ დონ-კანდინომ სხვა უფრო კარგი რამ მოახერხა; ამან ჩაღუნა თავი და რაც კი შეეძლო ქაღალდებს დაუწყო წერა... თუმცა უნდა გამოვტყდეთ, რომ ის ქაღალდებს კი არა სწერდა,—ბღაჯნიდა.

დონ-ფელიპე არანას, თუმცა არ უყვარდა მამა გაეტე, მაგრამ იმის წანკლიანის ენისა ძლიერ ეშინოდა, რისთვისაც იგი ისეთი აღტაცებით მიეგება სულიერს მამეს, თითქოს ეს-ეს არის გულში უნდა ჩაიკრასო.

— ეს რა სასწაულმა მოგიყვანათ აქა, თქვენო მაღალ ღირსებავ! უთხრა დონ-ფელიპემ მამა გაეტეს და მოუჯდა მას გვერდით. გაეტეც დონ-კანდინოს პირდაპირ დაჯდა.

— მე თქვენთან ორი საქმისთვის მოვედი.

— მიბძანეთ, ბატონო, მიბძანეთ. თქვენ ხომ იცით, რომ მე თქვენი ძველი მოყობართაგანი ვარ.

— მგ დღეს გამოჩნდება.

— ბძანეთ, თქვენი მონა და მოსამსახურე გახლავართ.

— პირველად, მაქვს პატივი მოგილოცოთ.

— გმადლობთ, ყოვლის გულით გმადლობთ. რა ვუყოთ, გუბერნატორის ბძანებას ყველანი უნდა დავემორჩილოთ.

— მართალსა ბძანებთ. მე და თქვენ აქ უდარდელათა ვზივართ და ის კი დაუღალავად ებრძვის მოღალატეებს.

— მეორე საქმე რაღა გაქვთ, ბატონო?

— იმის მეტი არაფერი, რომ მამცეთ ნება დავატყვევო ზოგიერთა ღვთის მგმობელნი, უწმინდურნი უნიტარები, რომელთაც შეურაცხ-ყოფა მომაყენეს.

— ვითომ?

— ფედერაციას უპატიურად მოიხსენიებს.

— დასჯდე ერთი!

— ასე გაშინჯეთ თვით აღმადგინებელიც კი.

— განა ისიცა?

— სუყველანიც.

— იმ წუწკებს უყურე ერთი!

— მე აქ მოსვლამდის, თუნდა ათჯერაც ვიყავ გუბერნატორთან, დალაპარაკება კი ვერ მოვახერხე.

— დიაღ, ამ ბოლოს დროს იმას მეტად ბევრი საქმეები აქვს.

— ვიქტორიკასი რაღა გითხრა, იმან ყურადღებაც არ მიაქცია იმათ, რომლებზედაც ვუჩვენე. ბძანება არა მაქვს მაგათი დატყვევებისაო.

— მაგისთანა დროს ბრძანების გარეშეც შეიძლებოდა...

— არა, არა სურს, ამისთვის, რომ იმას არ იამება გააკეთოს ისა, რასაც მე ან ჩვენი საზოგადოების წევრები ვეტყვით ხოლმე.

— იქნება იმის ადმინისტრატიული მოვალეობა...

— რა ადმინისტრატიული მოვალეობა, ბატონო! ჩვენის სიტყვით არაფრის გაკეთება არ უნდა, ამისთვის რომ ის ისეთი კეთილი ფედერალი არ არის, როგორიც ჩვენ.

— არა, თქვენ გეტყობათ ძლიერ გაჯავრებული ხართ.

— მაშ რას იზამ, რომ არ გაჯავრდები, და თუ თქვენ, ბატონო, არ მომცემთ ამ ბძანებას, მაშინ მე... მაშინ მე... მე პასუხის მგებელი აღარა ვარ, რაც მოხდება.

— ერთი რა მოხდა, შემატყობინე? უთხრა დონ-ფელეპემ, რომელიც გულში სწყევლიდა თავის დაუპატიჟებელს სტუმარს.

— თქვენა მკითხავთ, რა მოხდა?

— დიაღ, მე მინდა გავიგო სისხლის სამართლის საქმე ხომ არ არის.

— სწორედ სისხლის სამართლისაა, ბატონო, სწორედ. აბა მომისმინე, ბატონო დონ-ფელიპე.

— დიდის კმაყოფილებით, მხოლოდ დამშვიდდით კი, თუ ღმერთი გწამთ.

— მაშ გაიგონეთ: აქ ქალაქში ძველი ნაცნობები მყვანან—მრეცხავი დედა-კაცები, რომელნიც ტანისამოს მირეცხავდნენ. ამ ორი თვის წინად წავედი იმათთან. შევედი თუ არა სახლში, კარები ისევ მივხურე. ოთახებში ძლიერ ბნელოდა და...

მამა გაეტე წამოდგა ზეზე, მერე ოთახის კარები შემოიხურა და უთხრა დონ-კანდინოს.

— აქ მოდით, ერთი; აი აქ დადექით, უთხრა მან და უჩვენა კარებთან ადგილი.

დონ-კანდინო თავით ფეხამდის კანკალებდა და ენა სასას მიეკრა.

— მე შენ გეუბნები, ბატონო სეკრეტარო, აი აქ დადექი, განაგრძო გაეტემ, ნუ გეშინიან, მე მგელი ხომ არა ვარ, რომ შეგჭამო.

— მოდი, დონ-კანდინო, მოდი, გთხოვენ, უთხრა არანამ.

დონ-კამდინო წამოდგა ზეზე და დადგა გაეტესაგან ნაჩვენებ ადგილას.

— აი აგრე, სთქვა გაეტემ, შევედი თუ არა სახლში, რომელშიაც ძლიერ ბნელოდა, ვიღაც უცნობ კაცს შევეჩეხე.

და გაეტე წავიდა და დაეჯახა დონ-კანდინოს.

— მე მაშინვე ამოვიღე ხანჯალი და დავიძახე: ვინა ხართ? და უცნობ კაცს დავაბჯინე გულში ხანჯალი.

გაეტემ ხანჯალი დონ-კანდინოსკენ წაიღო.

— იმან მიპასუხა, რომ შენი მეგობარი ვარო. რადგანაც სიბნელეში მეგობრები არა მწამან, მე მაშინვე უცნობს კისერში ხელი წავავლე.

გაეტემ დონ-კანდინოს კისერში წაავლო ხელი.

— ხელის წავლების დროს, განაგრძო გაეტემ, ხანჯალი ხელიდამ გამვარდა. როდესაც ასაღებად დავეწოდე, მერე უცნობმა კაცმა დამბაჩა დამადო საფეთქელზედ. ამ დროს უცნობმა დაიწყო ლანძღვა-გინება ჩემი, გუბერნატორისა და ფედერაციისა. ამის შემდეგ ზალაში შემაგდეს და გადამიკეტეს კარები.

— ეგ მეტის-მეტი თავხედობაა! უთხრა დონ-ფელიპემ.

— მეც აგრე მგონია.

— მერე ვინ იყვნენ ეგენი?

— საქმეც ეგ არის, რომ არ ვიცი. ამას წინად კი ერთს იმათგანს შევხვდი და ხმაზედ ვიცანი.

— შენ რაღა დაგემართა, დონ-კანდინო, აგრე გაყვითლებული რათა ხარ, თავი ხომ არა გტკივა, უთხრა არანამ.

დონ-კანდინომ თავი დაიქნია.

— მაშ, ბატონი გაეტეს საჩივარი დასწერე და მერე შინ წადი.

დონ-კანდინო მივიდა სტოლთან და დაიწყო წერა.

— გაათავე? ჰკითხა არანამ დონ-კანდინოს ცოტას ხნის შემდეგ.

დონ-კანდინომ თავი დაუქნია.

— აბა წაუკითხე ბატონს გაეტეს, რაც დასწერე.

— დონ-კანდინომ თავის სული ჩააბარა ღმერთს, აიღო ქაღალდი და დაუწყო კითხვა.

— საჩივარი, წარმოდგენილი ბატონს გუბერნატორის მო-
ადგილესთან ფედერალის, პატრიოტის და...

— ოჰო, დაიღრიალა გაქტემ და გაუშვირა ხელი დონ-კან-
კანდინოს.

— რა არის? ჰკითხა არანამ.

— აი ეს არის, ეს არის ისა.

— ვინ ისა?

— სწორედ ეს არის, ღმერთს გეფიცები ის—სახლში რომ
მეომებოდა.

— რას ამბობ, რას,— პირ-ჯვარი დაიწერე!... დაიყვირა
არანამ.

— ორივე დაჭერილები არიან, სთქვა გაქტემ ხელების ფშვნე-
ტით.

— რას ამბობ, რა დაგემართა!

— დიაღ, დიაღ, დიაღ, ბატონო დონ-ფელიპე. ეს ვაჟ-ბა-
ტონი ერთი იმათგანია.

— მე? მე როდისმე განმიზრახავს პატიოსანის და ყველას-
გან პატივცემულის ქრისტიანის მღვდლის მოკვლა!! ღაღად-
ჰყო დონ-კანდინომ ბოხიანის ხმით.

— კარგი, კარგი. აბა ერთიც დაილაპარაკე.

— თქვენა სცდებით პატივცემულო, ღირსო ბატონო. ეგ
მეტის-მეტი სიფიცხით მოგდის.

— შენ რა გქვიან?

— კანდინო როდრიგეცი—უმორჩილესი მონა თქვენი და
თქვენის სახლობისა...

— სახლობისა? ის არის, სწორედ ის არის. ჰე, ორივენი
დაგიჭირეთ თუ არა!

— დაბძანდით, ბატონო გაეტა, უთხრა დონ-ფელიპემ,— თქვენ როგორღაც დაუჯერებელს საქმეს მიამბობთ.

— სწორედ, თქვენო აღმატებულებავ, უთხრა გამხნევებულმა დონ-კანდინომ,— მე ვფიქრობ, რომ პატივცემულს მღვდელს რაღაც ცუდი სიზმარი უნახავს.

— დაიცადე, მე შენ გაჩვენებ სიზმარს!

— ნუ ცხარობთ, ბატონო გაეტა, თქვენ ბრალსა სდებთ მოხუც კაცს, რომელმაც არა ერთხელ დამიმტკიცა თავისი ერთგულება და პატიოსნება.

— ამბობთ რაღა!...

— გამიგონე. სიტყვა სიზმარი, წარმოთქმული ჩემის სეკრეტარისაგან, მაგონებს ერთს საფუძვლიანს აზრს.

— მე რა საქმე მაქვს თქვენს აზრებთან, ბატონო დონ-ფელიპე? აი ეს ვაჟ-ბატონი ერთი იმათგანია, მეორე კი... მე ვიცი, ვინც არის.

— ჯერ ერთი გამიგონე და.

— აბა რა გაგიგონო?

— თქვენ ამბობთ, რომ სწორედ იმ დღეს თქვენ თქვენს მეგობრებთან გიჭამიათ პური?

— დიაღ, გხლებივარ.

— შემდეგ დაიძინეთ?

— დიაღ, დავიძინე.

— აი ხედავთ, გასაკვირველი არა იქნება-რა, თუ ყველა ის, რასაც თქვენა ლაპარაკობთ, სომნამბულიზმისაგან იყოს მოხდენილი.

— ეგ რაღა ეშმაკია?

— აი, ეხლავე აგიხსნით. სომნამბულიზმი არის... არის ბუნების მოვლენა, აღმოჩენილი ამ ცოტა ხანში, არ ვიცი ვის-

გან. მაგრამ დამტკიცებულია, რომ არიან იმისთანა კაცები, რომელნიც ლაპარაკობენ ძილში, დგებიან, იცვამენ ტანთ, ცხე-ნით დასეირნობენ,—და ყველა ამას სჩადიან მაშინ, როდესაც სძინავთ,—ელაპარაკებიან კაცებს, რომელნიც ნამდვილად არ არსებობენ და ისეთებიც იყვნენ, რომელნიც კედლებს ეჩხუბებოდ-ნენ და ეგონათ კი, რომ ჩვენს მტრებს ვეჩხუბებითო. ამას ეძახიან სომნამბულიზმს ანუ მაგნეტიზმს.

— სწორედ მართალსა ბძანებთ, თქვენო აღმატებულებავ, დაუკრა კვერი დონ-კანდინომ.

— რას ამბობთ, რას, დამცინით თუ რა არის.

— მე, ჩემო პატივ-ცემულო ბატონო?

— თქვენ, გუბერნატორის მოადგილევ, ბატონო დონ-ფე-ლიპე.

— დიახ, ბატონო, მე მოადგილე ვარ, მაგრამ ამ შემთხვე-ვაში კი...

— ამ შემთხვევაში თუ მართლ-მსაჯულად არ მოიქცევი და ეხლავე არ დაატუსაღებ ამ ვაჟ-ბატონს და კიდევ იმას, რო-მელიც მე ვიცი, ხვალვე წავალ აღმადგინებელთან და ვიჩივ-ლებ თქვენზედ.

— რაც გნებავთ ისა ჰქენით, მაგრამ არავის დატუსაღება კი არ შემიძლიან, თუ მისი მაღალ-აღმატებულესობის ბრძანება არ მექნება.

— ვერც ამისი?

— მაგისი უფრო არა. წარმოადგინეთ დასამტკიცებელი სა-ბუთები, ბატონო გაეტა, დასამტკიცებელი საბუთები.

— ხომ გეუბნებიან, თქვენ, რომ ეს ის არის?

— თქვენ თითონ დაინახეთ ესა?

— არა, მაგრამ მაგის ხმა კი გავიგონე.

— სიზმარია, სომნამბულიზმი, ჩემო პატივცემულო ბატონო, უთხრა დონ-კანდინომ.

— დამაცა, მე შენ გაჩვენებ სიზმარსა.

— კმარა, ბატონო გაეტე! ეუბნებოდა არანა, განა ეკადრება თქვენისთანა ღირსეულს მოძღვარს ცილი დამწამოს უდანაშაულო კაცს და შეაწუხოს მთავრობა მაშინ, როდესაც ის სულ აჯანყებულს ლავალეზედ ჰფიქრობს?!...

— უყურე ერთი! მეც სულ ამისთანა ვაჟ-ბატონების თავს დასხმაზედ ვფიქრობ.

— ეს კაცი იქ არ იყო და ვერც იქნებოდა, გარწმუნებთ.

— მე კი გარწმუნებთ, რომ იქ იყო, ბატონო, არანა.

— არა, იქ არ ვიყავ, სთქვა დონ-კანდინომ ხმა-მაღლა, როდესაც ნახა, რომ მინისტრის არანას მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა.

— მე კი გეუბნები, რომ იქ იყავი.

— არა.

— იყავი.

— გიმეორებთ, რომ არა. თქვენგანაც ამისთანა ცილის-წამება საკადრისი არ არის.

— ჩუმად, ჩუმად, დამშვიდდით, ამშვიდებდა დონ-ფელიპე.

— სხვა ადგილას გნახამ, როგორც ამაყად დამიწყებ ლაპარაკს, ამბობდა გაეტე და მრისხანეს თვალებით უყურებდა დონ-კანდინოს.

— მე სამალ-და-პალო შენთან არა მაქვს-რა, კანონით კი საცა გნებავდეთ გამოვალ.

— თუ ღმერთი გწამთ დაჩუმდით! დაუყვირა დონ-ფელიპემ.

— მშვიდობით, ბატონო მინისტრო, მე თვით გუბერნატორს მივმართავ.

— რაც გენებოთ, ისა ჰქმნით.

— ნახვამდის, ბატონო, სთქვა გაეტემ და ხელი ჩამოართვა დონ ფელიპეს.

— წადი, წადი, სალათას ძილიანო.

— დაიცა, მე შენ გაჩვენებ სალათას ძილს.

— წადი, ჯერ სიცხე გამოინელე.

— ვაი, მე შენ...

— კმარა, ბატონო, ჭკუა მოიკრიფე.

დონ-ფელიპემ გაიყვანა გაეტე კაბინეთიდამ, დონ-კანდინო კი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ ამისთანა ვაყ-კაცობა გამოიჩინა.

— მადლობას გწირავთ თქვენს მაღალ-აღმატებულესობას ჩემის მფარველობისათვის.

— ეგ უბედური ჭკუაზეა შემცდარი, უთხრა დონ-კანდინომ, როდესაც დონ-ფელიპე დაბრუნდა.

— არა. მაგისგან ღმერთმა დაიფაროს! მაგრამ იცი რაში მდგომარეობს საქმე, დონ-კანდინო.

— თქვენი ღრმა აზროვანი და გენიოსური ჭკუა ყველას გამაგებინებს.

— საქმე ის არის, რომ ეგ მამა გაეტე თავ-დაჭერილი კაცი არ არის: თავის ამხანაგებთან უსვამს, მერე ვისმეს წასჩხუბებია და ჰგონია, რომ თქვენ იყავით.

— მე მუხლს ვიდრეკავ წინაშე თქვენის მაღალ აღმატებულესობის ნიჭისა, რომელიც ასე ადვილად გაიგებს ხოლმე ბოროტის კაცის მოქმედების საიდუმლო მიზეზებს.

— ჩვეულებაა, ჩემო მეგობარო, ჩვეულება.

— უკაცრავად, ეგ ნიჭია, ეგ გენიოსობაა.

— იქნება ეგეც მართალი იყოს, მაგრამ ისეთი კი არა ვარ,

როგორიც ზოგიერთებს ვგონივარ, სთქვა დონ-ფილიპემ და ჩაბლიტა თვალები.

— ტყუილად არავისა ჰგონიხართ.

— ამასთანავე, ჩვენა ვცხოვრობთ იმისთანა დროს, როდესაც მიტევება საჭიროა, და მე მსურს, რომ დროებითი ჩემი უმაღლესი უფლება დამყარებული იყოს შეწყალებაზედ. ხვალ შეიძლება სხვა ნაირი დრო დადგეს, და მე მინდა, რომ ყველანი კეთილის სიტყვით მიხსენიებდნენ.

— პატიოსანი სურვილია!

— უპირველესად ყოვლისა მე მინდა, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანე ვიყო. ეხლა კი დროა წასვიდეთ მოლოზნებთან და ჩემგან მონდობილი საქმე შეასრულოთ.

— ამ წუთაშივე?

— დიაღ, დროს ნუღარ დაჰკარგავ.

— როგორ ფიქრობთ, თქვენო მაღალო აღმატებულესობავ, ის განმკინებული მღვდელი ხომ არსად ჩამისაფრდება ქუჩაში.

— არა, არა მგონია. მაინცა-და-მაინც ფრთხილად იყავი.

— უსათუოდ, უსათუოდ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

— მე არ მინდა, რომ სისხლი დაიღვაროს.

— სისხლი? ვეფიცები თქვენს მაღალ აღმატებულესობას, რომ მე ყოველს ღონისძიებას მოვიხმარებ, რომ არც ერთი ცვარი ძვირფასის სისხლისა არ დაიღვაროს.

— კარგია, აი, მეც ეგ მინდა. წადი მოლოზნებთან და ამაღამ შინ დაბრუნდი.

— ამაღამ?

— დიაღ, ამაღამ.

— ღამე ხომ ავაზაკობისაა, თქვენო მაღალო აღმატებულესობავ.

— არა, არაფერი იქნება, ნუ გეშინიან, მე კი სინამ სადილს მომიტანდნენ, ცოტას დავიძინებ.

თავი მეორე.

ძნელად დასაჯერებელი ამბავი.

ამ დროს, როდესაც პოლიტიკური უფლებანი ხალხისა განადგურებული იყო როზასისაგან, მას არც სარწმუნოება გადურჩა ხელ-უხლებელი, იგიც დასცა ზნეობითად.

სარწმუნოების წარმომადგენელი სასულიერო წოდება დაემხო ზნეობითად, ასე რომ მას არაფერი გავლენა აღარ ჰქონდა ხალხზედ. ფედერაცია სასულიერო წოდების ზნეობითად დამხობას, არამც თუ გულ-გრილად უყურებდა, არამედ კიდეც ეხმარებოდა და ხელს უწყობდა, რადგანაც სასულიერო წოდების შემწეობით უფრო დაიმორჩილებდა გაუნათლებელს ხალხს.

როზასს უნდოდა დაეკარგვინებინა ხალხისათვის სარწმუნოება და სწამებოდათ მხოლოდ იმის ძლიერება, უნდოდა გაენთავისუფლებინა ყოველი შიშისაგან, რომ მხოლოდ იმის შიში-ღა ჰქონოდათ. სასულიერო პირნი, უღირსნი თავეთის მაღალის წოდებისა, შველოდნენ მტარვალს როზასს და იქამდის დაეცნენ ზნეობითად, რომ მტარვალის სურათებს ეკლესიაში ხატებთან ერთად ასვენებდნენ და თანაც ხალხს უქადაგებდნენ უნიტარების ამოწყვეტას.

აღსარების დროსაც კი არწმუნებდნენ ხალხს, რომ როზასი ღვთისაგან არის ამორჩეული და ყოველივე იმის მოწინააღმდეგენი სიკვდილით უნდა დაისაჯნენო.

მოლოზნებიც კი ისეთს საქმეებს იდგნენ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულს კაცთ-მოყვარეობას და შეწყალებას.

თავი მესამე.

მასზედ, თუ დონ-კანდინოს როგორ უნდოდა გაქცეულიყო თავის სამშობლო ქვეყნიდგან და რით გათავდა ეს ამბავი.

მისმა აღმატებულესობამ მინისტრმა არანამ გაგზავნა თავის სეკრეტარი დონ-კანდინო მოლოზნებთან. იმას უნდა მინისტრის მაგივრად მადლობა გადაეხადა იგუმენია მარტა დელ-როზარიოსთვის, პირველად იმისთვის, რომ იმან მინისტრს პიროჟნი და აპელსინის მურაბა გამოეგზავნა და მეორედ იმისთვის, რომ წამოეღო იმისგან როზასთან მოწერილი წერილი, ამ წერილში მარტა ულოცავდა როზასს გამარჯვებას და ავედრებდა წმინდანებს.

როგორც კი ჩვენი სეკრეტარი გავიდა ქუჩაში, ვიღაც გამვლელმა ქალმა სტაცა დონ-კანდინოს ხელი და შეჰყვირა:

— ახ, ამისთანა ბედნიერება შეიძლება! თვით განგებამ წამომიყვანა ამ გზაზედ. ეხლა რაკი შენ გიპოვნე, ბედისა აღარ მეშინიან.

— ქალ-ბატონო, თქვენა სცდებით, უთხრა შეშინებულმა დონ-კანდინომ; მე არა მაქვს პატივი თქვენის ცნობისა და არც მე მინდა რომ თქვენ მიცნობდეთ.

— რას ამბობთ, რასა, მე თქვენ ვერ გიცნობთ?! შენ პილადი ხარ.

— არა ქალ-ბატონო, მე დონ-კანდინო როდრიგეცი გახლავარ.

— არა, გეუბნები, რომ პილადი ხარ, ისე, როგორც დანიელი—ულისია.

— დანიელი?!

— აბა, რას იტყვით, გიცნობთ თუ არა? მე კი ბატონო, დონია მარსელინა გახლავარ, რომლის სახლშიაც თქვენის თანადასწრებით მოხდა საშინელი ამბავი, რომელმაც...

— გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, ხომ იცი რომ ქუჩაში ვართ.

— აკი არცა ვუყვირი, მე ჩურჩულით ვლაპარაკობ; არ ვიცი გეყურება თუ არა..

— თქვენა სცდებით. მე სრულიადაც არა... მე არა...

— რა არა?!.. განა მე ჩემს მეგობრებს არ ვიცნობ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი სიცოცხლე განსაცდელშია.. დიაღ, განსაცდელში. თქვენი და ბატონი დანიელის მოკვლა უნდათ! წარმოსთქვა დონია მარსელინამ.

— შემოდით, თუ ღმერთი გწამთ, შემოდით, უთხრა დონ-კანდინომ, წაავლო მას ხელი, შეიყვანა სახლის დერეფანში და დასვა თავის გვერდით სკამზედ.

— მაგას რას ამბობ? განაგრძო მან.—ეს რა საშინელი სიტყვები გამაგონე? ან საიდგან გეცნობებით?

— პირველად იქიდამ, რომ დილით ჩემი მოვარჯელის სახლში გნახეთ და კიდევ მაშინა გნახეთ, როდესაც იმ ღამეს ჩემი სახლიდამ გამოდიოდით...

— ჩუმად, ჩუმად...

— კარგი, კარგი. მხოლოდ ამას კი გეტყვი რომ მამა გაეტე ახლა ჩემს სახლში განისვენებს.

— ის უნდა ჯოჯოხეთში განისვენებდეს!

— სსუუ...

— განაგრძე, დიდ-სულოვანო ქალო, განაგრძე.

— სადილის დროს ის თქვენ და დანიელს გლანძღავდათ და თან გრძელს ხანჯალს ატრიალებდა, რომლითაც ამაღამ უნდა დაგხოცოთ ორივენი.

—- ჩემთან არს ღმერთი!

— ეგ საკმაო არ არის!

— საკმაო არ არის ჩვენი დახოცვა?

— დიაღ, იმან დაიფიცა, რომ ამაღამ ორივეს, როგორც ძაღლებს ისე დავხოცამო. მერე ნეტა დანაშაული მაინც იყოთ.

— ღმერთმა ხომ იცის, რომ მე სრულიად უდანაშაულო ვარ, ვითარცა კრავი ღვთისა. მაგრამ ეტყობა ჩემი ბედი ასეთია. ოხ, ბედო ჩემო, ბედო ჩემო! შენ კი არა ხარ დანაშაული, მე ვარ! რა მინდოდა, რათ დავანებე მასწავლებლობას თავი, ჩემთვის უშფოთველად ვატარებდი ცხოვრებას მოწაფეეთა შორის. შემდეგ სწავლის გათავებისა ჩემთვის ტკბილად დავიძინებდი ხოლმე, მაგრამ იმ ძილით კი არა, რა ძილითაც გესლიანი გაქტე იძინებს...

— ჩუმად, ჩუმად. აქ ყურს არავინ გვიგდებდეს. შენ იცი, რომ მეცა მდევნიან ჩემის პოლიტიკურის აზრებისა გამო. თქვენ მე მიცნობთ?

— არა, ქალ-ბატონო, და არც მინდა თქვენი გაცნობა.

— დიაღ, დიაღ, მე საშიშარ ქალათა მთვლიან.

— თქვენა?

— დიაღ, მე. ყველა ჩემი მეგობრები გახდნენ მსხვერპლნი მტარვალობისა. ჩემთან დაახლოვება და სიკვდილი—ერთი და

იგივეა. ისინი, რომელთაც მე დაველაპარაკები, არ იქნება რომ არ დახოცონ ხოლმე...

— და თქვენ ეხლა მეუბნებით მაგას!!

სთქვა დონ-კანდინომ, წამოავლო ხელი შლიაპას და ჯოხს და უნდოდა გაქცევა.

— შესდეგ, სასიკვდილოდ გამზადებულო! დაიყვირა დონია მარსელინამ.

— მე? თქვენთან?

— იცით რა მოგივიდოდათ თქვენა და დანიელს, რომ მე არ შემეტყობინებინა?

— ეხლა რაღა, მამიკა თქვენთან რომ ლაპარაკი გავაგრძელო?

— თქვენ მაინც უნდა მოკვდეთ და მაინც საქმე გათავებულია.

— ჯანდაბას შენი თავი და კისერი აი, ქალ-ბატონო.

— მოიცადე, თავ-ხედო!... თუ თქვენ ჩემთან არ ილაპარაკებთ, გაქტე უსათუოდ მოგკლავთ, და თუ ილაპარაკებთ, მაშინ კიდევ მთავრობა ჩამოგახრჩობთ.

— ოხ, ღმერთო ჩემო!.. სთქვა დონ-კანდინომ და შეხედა დონია მარსელინას შეშინებულის თვალებით.

— უმადურობაზე უსაძაგლესი არარა არის-რა ქვეყანაზედ, უთხრა დონია მარსელინამ.

— მშვიდობით, ქალ-ბატონო.

— მოიცადეთ. მხოლოდ ერთმა მეგობრობამ გამაბედვინა დანიელთან წასვლა, მაგრამ ჩემმა ბედმა თქვენთან შემახვედრა: შემომფიცეთ, რომ რაც გითხარ, ყველაფერს დანიელს შეატყობინებთ.

— დიაღ, ქალ-ბატონო, მე ერთი საათის შემდეგ ვნახავ იმას, მაგრამ თქვენც შემომფიცეთ, რომ ამას იქით ქუჩაში

აღარ დამხვდებით და არ დამიწყებთ ლაპარაკს.

— გეფიცებით მამი ჩემის საფლავს! უთხრა დონია მარსელინამ.

დონ-კანდინო წავიდა თავის გზაზედ. ხალხი ჩვეულებისამებრ, გამოსულიყო და მზეზედ იდგნენ.

ამ დროს ციხიდამ ხუთჯერ გაისროლეს ზარბაზანი. ყველანი ციხისკენ გაექანნენ, რომ გაეგოთ მიზეზი ზარბაზნების სროლისა.

მიზეზი ის გამოდგა, რომ საფრანგეთის გემი დაენახათ, რომელიც ნაპირს დაახლოვებოდა და ზომამდა წყლის სიღრმეს, რომ მერე მოსულიყო და განდეგილები წაეყვანა.

ხალხი წყლის ნაპირას მოგროვდა დ უყურებდა. მერე გამოჩნდა რომ მარტო გემს არ უყურებდნენ.

ოთხმოც-და-ათს ნაბიჯზედ წყალში ვიღაც მოჩანდა, ხელში შლიაპა და ჯოხი ეჭირა და მუხლებამდის წყალში იდგა. ეს ვიღაც, როგორც მკითხველიც მიხვდება, ჩვენი ნაცნობი დონ-კანდინო როდრიგეცი იყო, რომელსაც მონასტრიდამ გამოსვლის უმალვე განეზრახა სამშობლოდამ გაქცევა.

— ეხლა კი დრო გაქვს ჩემო თავო, რომ გაიქცე, ამბობდა კანდინო თავის-თავად. გამხნევდი როგორც კი მოახლოვდეს ის გემი, გაიქეცი და ჩაჯექ მასში.

ყველანი გემსა და დონ-კანდინოს უყურებდნენ. ამ დროს კიდევ გავარდა ზარბაზანი. გემი დონ-კანდინოსკენ წამოვიდა. დონ-კანდინოც გაექანა გემისკენ წყალ-და-წყალ. გემი მიბრუნდა დასავლეთისკენ და წავიდა თავის გზაზედ. იმ დროს როდესაც დონ-კანდინომ გულ-ხელი დაიკრიფა და მწუხარებით უცქეროდა გემს, ოთხი ცხენოსანი ფედერალები შეცვივდნენ წყალში და შემოერტყნენ გარშემო დონ-კანდინოს.

— შენ გაქცევა გინდა! უთხრა ერთმა იმათგანმა და მოუ-
დერა მათრახი.

— არა, ბატონო, მე უკან ვბრუნდებოდი. უთხრა დონ-კანდიდომ და უკრავდა თავს ხან ცხენოსნებს და ხან ცხენებს.

— როგორ ბრუნდებოდი, რომ წყალ-და-წყალ მიდიოდი.

— დიაღ, ჩემო ფედერალო მეგობარო, მე აქ გუბერნატორის ბძანებით მოვედი, იმის სეკრეტარი გახლავარ.

— შენ გინდოდა გემს დასწეოდი! უთხრა მეორემ.

— არა, ბატონო, მაგისგან ღმერთმა დამიხსნას. მე მინდოდა გემი გამეშინჯა, რომ გამეგო გაქცევას ხომ არავინ აპირობდა და მერე ფედერალებისთვის და გუბერნატორისთვის შემეტყობინებინა.

ამ დროს ხალხში, რომელიც დონ-კანდიდოს გარშემო ეხვია, გაისმა ფრანცუზების წყევლა და ფედერაციის ქება.

ერთმა ცხენოსანმა დონ-კანდიდო შემოისვა ცხენის უკან ძ ერთის ყოფით და ყიჟინით მოიყვანეს ბულვარამდის უშიშარი სეკრეტარი მისის აღმატებულესობისა, პატივ-ცემული დონ-კანდიდო როდრიგეცი, რომელიც უშიშრად გადავარდა წყალში, რომ დაეთვალიერებინა ფრანცუზების გემი.

დონ-კანდიდო გახდა ყველას საქებარი და სალაპარაკო. იგი მალე გამოეთხოვა ხალხს და წავიდა შინისკენ, რომ მერე დანიელთან წასულიყო და შეეტყობინებინა განსაცდელი, რომელიც მათ ორივეს ელოდა.

თავი მეთერთმეტე.

ორი ერთმანერთის მტერი დასი.

აგვისტოს ოც-და-ოთხი რიცხვი იყო. მზე დასავლეთის-კენ იწვერებოდა და ანათებდა მკრთალის სხივებით არე-მარეს.

სამხრეთის ნიავიც მოსისინებდა და სასიამოვნოდ არხევ-და მინდვრის სხვა-და-სხვა მცენარეთა.

მთელს ბუნებას რაღაც დიდებული სახე ქონდა; ამ ბუნე-ბის შვილი იყო მტარვალი როზასი; მუხანათობა, ღალატი და მოტყუება ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

როზასმა დაიმონავა ბუენოს-აირესი და დაამკვიდრა თა-ვისუფლება. აქ საქმე ფედერალებში და უნიტარებში აღარა მდგომარეობდა; აქ დაიწყო ბრძოლა განათლებასა და ბარბა-როსობას შორის. უნიტარების დამარცხების გამო განათლება დროებით დაითრგუნა, ამისთვის რომ თვით ფედერალებიც გა-ნადგურდნენ მტარვალისაგან. ფედერალებმა, რომ გაემარჯვათ თავეთ მოწინააღმდეგე პარტიაზედ, მიჰყიდეს პატიოსნება და სამშობლოს თავისუფლება ავაზაკს. სიცრუვეა, რომ ვითომც ფედერალები მოტყუებულიყვნენ, სიცრუვეა ისიც, რომ ვი-თომც როზას ვერ იცნობდნენ. როზას ყველანი იცნობდნენ ყმაწვილობიდგანვე, როგორც ავაზაკს, რომელიც არ ემორჩი-ლებოდა თავის ქვეყნის კანონებს.

ასეთი იყო ის კაცი, რომელიც 1840 წ. იმყოფებოდა სანტოს-ლუგარესში, რადგანაც ბუენოს-აირესს ერთი მუჭა პატიოსანის პატრიოტებისა, გენერალი ლავალეს წინამძღოლ-ლობით, უპირებდა თავს დასხმას.

თავისუფლების დამცველნი დაბანაკებულნი იყვნენ მინდორზედ. იგინი ორად იყვნენ გაყოფილნი: ერთის წინამძღომელი იყო გენერალი ლავალე, მეორესი—პოლკოვნიკი ვილელა.

ეს ორად გაყოფილი ჯარი მალე ერთმანერთს მოშორდნენ: ერთი წავიდა სამხრეთისკენ, მეორე იქვე ლუხანის მინდორზედ დარჩა.

ორივე ჯარები განშორდნენ ერთმანერთს იმ სურვილით, რომ მოეპოვებინათ თავისუფლება სამშობლოსათვის,—იმ ძვირფასი სამშობლოსათვის, რომლის მინდვრებიც მალე მათის სისხლით უნდა მორწყულიყო.

შემდეგ ჯარებმა გააჩაღეს ცეცხლი, რომ სიცივისაგან დამძრული ხელ-ფეხი გაეთბოთ, მაშინ, როდესაც გული გამთბარი ჰქონდათ ტკბილის იმედებით და სასიამოვნო მოგონებათა მიერ.

ღამემ გადააფარა ვარსკვლავებით მოჭედილი თავის ზეწარი ამ გმირს ჯარს. მხოლოდ ვარსკვლავებს შეუძლიანთ შეგვატყობინონ ოხვრა, აღმოხდომილი თავისუფლების დამცველთა გულიდამ, რომელნიც მამულის სიკეთის სიყვარულმა მოაშორა დედ-მამას და ცოლ-შვილს, მაშინ, როდესაც ყველას ტკბილი სიცოცხლე სწყურიან.

საკვირველია, ღმერთმანი! რამდენსამე მანძილზედ ამ ადგილიდამ, სადაც წმინდა თავისუფლება იფარავდა თავის დამცველთა ძილსა, როზასის მონებს ეძინათ და სულ ავაზაკობასა და სისხლის ღვრასა ხედავდნენ სიზმარში.

ექვსი ათასი მონა სალდათი ელოდა დროს, როდესაც განხდებოდა ხმა მტარვალისა, რომ დასცემოდნენ თავს იმათ, რომელთაც უნდოდათ მათთვისაც თავისუფლება მიენიჭებინათ.

როდესაც სამშობლოს, საზოგადო დედას, უღალატეს მათ, ესევე ადვილად უღალატებდნენ იმ კაცს, რომელსაც ეხლა ემონებოდნენ. მაგრამ სად იყო მტარვალის კარავი? არავინ არ იცოდა, სად ემინა მას. ან იქნება არ ემინა და სუყველასთვის ისა ფიქრობდა?... არა, ის გაიქცა. ის დასამინებელს ადგილს მალ-მალ იცვლიდა, რომ არავის სცოდნოდა, სადაც იმყოფებოდა.

ამ დროს გენერალი ლავალეს კი უდარდელად ემინა თავის ერთგულთა და თავისუფლების დამცველთა შორის...

თავი მეხუთე.

მამა გაეტეს გამოფხიზლება.

იმ სამწუხარო დღეს, როდესაც დონ-კანდიდო როდრიგეცის სამშობლოდამ გაქცევა ასე სასაცილოდ გათავდა, და თვით იმ წამსაც, როდესაც იგი უახლოვდებოდა დანიელის სახლს და თან იწურავდა ტანისამოსს, იმის მოწაფის სახლიდამ გამოდიოდა პრეზიდენტი სოლომანი. იგი მოსულიყო დანიელთან და ეთხოვნა შეედგინა მადლობის წერილი საზოგადოების სახელით, რომელიც უნდა მიერთმია კანონების აღმადგინებელის როზასისათვის და რომელშიაც უნდა აღეთქვათ მისთვის ყოველივე: სიცოცხლე, პატიოსნება და ქონება უნიტარების გასადევნელად. დანიელმაც აღუთქვა მას ამისთანა წერილის შედგენა.

იგი გამოეთხოვა თუ არა დანიელს, მისი აღმატებულესობის გუბერნატორის მოადგილის სეკრეტარი დონ-კანდიდოც მივიდა დანიელთან.

— დანიელ! წარმოსთქვა დონ-კანდიდომ და წაავლო მას ხელი.

— შემოდი, შემოდი, ჩემო მასწავლებელო.

— არა, წავიდეთ აქედამ, მიუგო მან და ქწეოდა გარეთ დანიელს. მაგრამ დანიელმა წაავლო მას ხელი და შეიყვანა შინა.

— დანიელ!

— იცი ჩემო მეგობარო, რომ შენი ლაპარაკის კილო ცოტა არ არის მაშინებს?...

— დანიელ, დავიღუპენით.

— მანდამდის ჯერ საქმე არ მისულა.

— ვიღუპებით კი და.

— იქნება.

— და ყველა ეს შენი ბრალი არ არის?...

— იქნება.

— მერე იცი რა მოხდება?

— არა, არ ვიცი.

— შენი სინიდისიც არაფერს გამხილებს?

— არა, არასფერს.

— დანიელ!!

— გამიგონე, ბატონო, მე ყოველთვის კარგ ქეიფზედ ვარ ხოლმე და შენ კი ცდილობ ამ ქეიფის მოწამვლას.

— კარგ ქეიფზედ, როდესაც შენც და მეც სიკვდილი მოგველის...

— მე ეგ არ მიფუჭებს ქეიფს, ამისთვის რომ ეგ უკვე ვიცი, არამედ ისა, რომ შენ რიგიანად ვერ მეუბნები, რაც მომხდარა.

— არა, გამიგონე.

— ბრძანე.

— მხოლოდ საჩქაროდ კი გიამბობ.

— ძალიან კარგი, მერე?

— შენ ხომ იცი, რომ მე უფროსი სეკრეტარი ვარ ბატონის მინისტრისა.

— ვიცი.

— ყოველ დილით მივდივარ კანცელარიაში და ვწერ ქაღალდებს, თუმცა, მართალი უნდა გითხრა, ესლა ძლიერ მეძნელება წერა, რადგანაც გადამწერელის თანამდებობის აღსრულება შეშვენის ცამეტ-თოთხმეტის წლის ყმაწვილს და არა ჩემისთანა ხნიერს...

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა საჭიროა მაგაზედ ლაპარაკი...

— საქმეს მივუბრუნდეთ.

— ძლიერ კარგი.

— მოკლედ გეტყვი.

— უფრო კარგი.

— დღეს დილით... და დონ-კანდიდომ უამბო დანიელს ყოველივე, რაც კი თავს გადახედოდა არანასთან მონასტერში და წყალზედ.

დანიელი ყურს უგდებდა და თან საქმეს აწყობდა, როგორც უნდა ემოქმედნა.

— მაშ ის მღვდელი ძალიან აღელვებული იყო? ჰკითხა მან.

— დიაღ, პირველად კი შეკრთა, გაოცდა, მაგრამ მერე კი მეტის-მეტად გაბრაზიანდა და...

— ხან შენ გიცქეროდა და ხან ბატონს დონ-ფელიპეს?

— დიაღ; ისე გადირია, რომ გიჟი გეგონებოდა.

— (ეჭვიანობობდა... შეკრთა, ცრუ-მორწმუნეა).

— მაგას რას ლაპარაკობ ჩუმად, დანიელ.

— არაფერს, მეც გაეტესავით ლუნატიკი ვარ.

— ეგ ხომ საშინელებაა.

— დონია მარსელინამ გითხრა, რომ მამა გაეტემ შემდეგ სადილისა იმასთან დაიძინა, არა?

— დიახ, იმან.

— მაშინ რომელი საათი იყო?

— ოთხის ნახევარი იქნებოდა.

— ეხლა მეექვსისა ხუთმეტი წამია, სთქვა დანიელმა და დახედა საათს.

— დონია მარსელინას ნათესავ ქალებთან ეჭამა სადილი.

— მაშასადამე ძლიერ დალევდა, სთქვა დანიელმა.

— აბა, რას იტყვი, რა უნდა ვქნათ?

— რაც შეიძლება მალე უნდა წავიდეთ, სთქვა დანიელმა, შევიდა საწოლში და აიღო მანტია და დამბაჩები.

— სად უნდა წავიდეთ? ხომ არაფერი შეგვემთხვევა?...

— წავიდეთ, ბატონო, თორემ ამაღამ ან ხვალ მამა გაეტესთან და იმის მეგობრებთან მოგვიხდება ბრძოლა.

— დანიელ!!

— კარები ჩაკეტე, ფერმინ! თუ ვინმე მოვიდეს, უთხარი არა სცალიანთქო.

ბძანება მისცა თუ არა, დანიელი გაეხვია მანტიაში და თავის დონ-კანდიდოთი წავიდა. ამ დროს მზე იწვერებოდა.

— დანიელ, უთხრა შეშინებულის ხმით დონ-კანდიდომ,— ჩვენ ხომ კაჩაბამბის ქუჩას უახლოვდებით.

— მართალს ამბობ.

— ამ საშინელის ქალის სახლიდამ რომ დაგვინახონ, მერე?

— მერე და მერე, უფრო კარგი.

— როგორ თუ კარგი!..

— ისე რომ ჩვენც ამ სახლში უნდა შევიდეთ.

— მე?!

— შენცა და მეც,—ორივენი ერთად.

— ოხ, არა. არ მინდა ისტორიამ სთქვას, რომ დონ-კანდიდო როდრიგეცი აქ მოკლესო!.. და დონ-კანდიდო გაბრუნდა მარჯვნივ და უნდოდა იქეთვე წასულიყო, საითგანაც მოვიდა.

დანიელმა სტაცა მას ხელი და უთხრა:

— თუ შენ წახვალ, გაეტე ამალამვე მოვა შენთან და თუ მე გამომყვები და იმას იზამ, რასაც მე, მაშინ ყოველსავე განსაცდელს გადარჩები.

— შენ თითონ ეშმაკი ხარ, თუ რა, დანიელ! უთხრა დონ-კანდიდომ და დაეჭყიტა თვალები. როგორ წამოვიდე?

— წამოდი ერთი, და! განუმეორა დანიელმა და დააშტერდა მას.—დონ-კანდიდოც თავის უნებურად გაჰყვა უკან უმაწვილ-კაცს.

რამდენისამე წამის შემდეგ ორივენი მივიდნენ დონია მარსელინას სახლთან, რომელიც, როგორც მკითხველმა უკვე იცის, კაზაბამბის ქუჩაზედ იყო. დანიელმა ამ სახლის კარები დაარაკუნა.

არავინ გამოვიდა.

დანიელმა მეორედ უფრო ძლიერ დაარახუნა, ეხლა კი ფარჩის ტანისამოსის შრიალი მოისმა.

გაიღო კარები და გამოჩნდა დონია მარსელინა, რომელიც ძლიერ გაჰკვირდა ამ ორი კაცის დანახვაზედ.

თვით განსაცდელის დროსაც კი ლექსებით ლაპარაკობდა ეს ქალი.

— «უიარაღოთ აქ მარტოკა რისთვის მოსულხარ, დაბრუნდი, უბედურებას ნუ აუტანიხარ...»

— გაქტეს ხომ არ გაუღვიძნია?

— არა, ისევა სძინავს.

— მაშ შევიდეთ, შევიდეთ, უთხრა დონია მარსელინას და წაავლო ხელი დონ-კანდიდოს, რომელსაც შეამჩნია, რომ იგი გაქცევას აპირებდა.

— რა გინდა მერე, უმაწვილო კაცო? ჰკითხა დონია მარსელინამ.

— კარების დაკეტვა.

მართლაც ჩაკეტა კარები. ამ დროს დანიელს გამზედაობა ეტყობოდა სახეზედ. დონ-კანდიდო და დონია მარსელინა კი შეკრთნენ.

— შინ არიან შენი ქალები?

— მარტო გერტრუდიტა არის შინ, სხვანი კი გარეთ გავიდნენ.

— სად არის გერტრუდა?

— სამზარეულოშია, ამისთვის რომ მღვდელს შინა სძინავს.

— ძალიან კარგი. შენ, დონია მარსელინა, როგორც განათლებული ქალი, მალე მიხვდები, რისთვისაც მოვსულვარ.

— სისხლი ხომ არ დაიღვრება?

— არა, არა, შემდეგ შენი აზრი შემატყობინე ამ საქმის შესახებ.

— წასვლისას გერტრუდასთან მამინდება ლაპარაკი.

— კარგი.

— ცოტა რამ მამიტანია იმისთვის და თქვენთვის.

— ესლა სადღა გინდა შეხვიდე?

— გაქტე მინდა ვნახო.

— გაქტე?!...

— სსუ...

დანიელმა წაავლო დონ-კანდიდოს ხელი და მალათი შეიყვანა შინა, დონია მარსელინა კი გერტრუდასთან წავიდა მოსალაპარაკებლად.

სახლში შესვლის უმალვე დანიელმა აიღო საბანი დ დონ-კანდიდოს შემწეობით თოკისავით დაგრიხა.

დანიელი დონ-კანდიდოთი შევიდა იმ ოთახში, სადაც მღვდელი გაეტე გულ-აღმა იწვა კრაოტზედ დ ტკბილად ეძინა.

დანიელი მივიდა კრაოტთან და დონ-კანდიდოს შემწეობით დაგრეხილი საბანი მღვდელს გაეტეს გადაუჭირა გულზედ და კრაოტზედ მიაკრა. მღვდელმა ვერაფერი გაიგო.

ამის შემდეგ დანიელმა ერთი ფანჯარა გააღო, რომ სინათლე შემოსულიყო და გაღვიძებოდა მღვდელს. მერე დანიელმა ერთი თავის დამბაჩა დონ-კანდიდოს მისცა. დანიელმა ანიშნა დონ-კანდიდოს, რომ მასაც ის სიტყვები ეთქვა, რასაც თვითონ იტყოდა.

გაეტე ისევ ხვრინავდა, როდესაც დანიელმა ხმა-მაღლა დაიძახა:

— პატიოსანო ფედერაციის მღვდელო!

გაეტემ შესწყვიტა ხვრინვა.

— პატიოსანო ფედერაციის მღვდელო!

გაეტემ გაახილა თვალები, მაგრამ დანიელის დანახვაზედ ძლიერ შეშინდა, და როდესაც თავის წამოწევა მოინდომა დონ-კანდიდომ კრაოტის მეორე მხრიდამ დაიძახა:

— პატიოსანო ფედერაციის მღვდელო!

ვერ წარმოიდგენთ, რა ნაირად გაუკვირდა გაეტეს, როდესაც თავის ახლოს დონ-კანდიდო როდრიგეცი დაინახა. მღვდელი ხან მარჯვნივ აგდებდა თავსა და ხან მარცხნივ და ცდილობდა წამოდგარიყო, მაგრამ გადაჭერილი საბანი არ

უშვებდა. ამ დროს დანიელმა დამბაჩის პირი დაადო მღვდელს მარჯვენა საფეთქელზე, დონ-კანდიდომაც მარცხენაზე. ყველა ეს ხმის ამოუღებლად და გაუნძრევლად ხდებოდა.

მღვდელმა კვალად დახუჭა თვალები და სახეზედ ნაცრის ფერი დაედო.

დანიელმა და დონ-კანდიდომ დამბაჩები აიღეს.

—მღვდელო გაეტე, უთხრა დანიელმა, შენ შენი სული ეშმაკისთვის მიგიყიდნია და ჩვენ მოვედით, რომ ამისთვის დაგსაჯოთ.

დონ-კანდიდომ გაიმეორა დანიელის უკანასკნელი სიტყვები და ცდილობდა, რომ ხმა გამოეცვალა.

ცივმა ოფლმა დაასხა გაეტეს.

— შენ დაგიფიცნია მოჰკლა ორი ჩვენი მსგავსი კაცი და სიამ შენ ამას აასრულებ, ჩვენ საიქიოს გაგისტუმრებთ. შენ ხომ გინდოდა შენის ამხანაგებით ის ორი კაცი მოგეკლა?

მღვდელმა ხმა არ ამოიღო.

— გვიპასუხე.

— გვიპასუხე! სთქვეს დანიელმა და დონ-კანდიდომ ერთად და მიუშვირეს კიდევ დამბაჩები.

— დიაღ, მაგრამ ღმერთს გეფიცები...

— გაჩუმდი! ღვთის სახელს ნუ ახსენებ, უთხრა დანიელმა გაეტეს.

— ქრისტეს გამყიდველო, ფარისეველო, ეშმაკის მეგობარო, მოვიდა შენი აღსასრულის დღე, მოვიდა! დაუყვირა დონ-კანდიდომ, როდესაც ნახა, რომ მღვდელი მას ვერაფერს უზამდა.

— ვინ გინდოდა დაგეხმარებინა იმ ორის კაცის მოკვლაში? ჰკითხა დანიელმა.

გაქტე ჩუმად იყო.

— გვიპასუხე! დაუყვირა დონ-კანდიდომ.

— გვიპასუხე! დაუყვირა დანიელმაც.

— სოლომანისთვის უნდა მეთხოვნა კაცები, წარმოსთქვა გაქტემ კანკალით.

მღვდელს სული შეუგუბდა, ვეღარა სუნთქავდა.

— მერე რა საფუძველი გქონდა?

მღვდელი პასუხს არ აძლევდა.

— სთქვით.

— სთქვით! გაიმეორა დონ-კანდიდომ და დაუმიზნა დამბაჩა.

— თუ ღმერთი გწამთ... შებღავლა მღვდელმა და ცდილობდა წამოდგომას.

— გეშინიან?

— დიაღ.

— შენ უნდა მოგკლათ, უთხრა დონ-კანდიდომ.

მღვდელმა ერთი საშინელი ამოიკვნესა.

— არ მოგკლავთ, თუ დარწმუნდები, რომ აქ არ გინახავთ ის კაცები, რომლებსაც თქვენა სდევნით, უთხრა დანიელმა.

— ვინა ხართ თქვენა?... ჰკითხა მღვდელმა.

— არავინ.

— არავინ, გაიმეორე დანიელმა და დონ-კადიდომ.

— არავინ!... წარმოსთქვა გაქტემ.

— ნუ თუ არ გაგეგებათ თუ რა მოგივიდათ წინად და რა მოდგით ეხლა.

მღვდელი ჩუმად იყო.

— თქვენ ლუნატიკი ხართ და ამ მდგომარეობაში უნდა მოკვდეთ, თუ გაბედვით დაუწყეთ დევნა იმ კაცებს, რომელ-

ნიც ესლა მოგეჩვენნენ.

— დიაღ! განიმეორა დონ-კადიდომ,— თქვენ ლუნატიკი ხართ და მოკვდებით საშინელის სიკვდილით, თუ იმ პატიოსან კაცებზედ კიდევ გიფიქრნია.

გაეტეს ყველა ეს მლივს ესმოდა. ახლა კი მიხვდა დანიელი, რომ მას სიდამბლე დაემართებოდა. დანიელმა გახსნა გადაჭრილი საბნის წვერები და ორივენი ერთად ჩუმად გავიდნენ გარეთ. გაეტეს აღარაფერი ესმოდა, როდესაც ისინი მიდიოდნენ.

დონია-მარსელინას და გერდრუდიტას ეს კარგად ესმოდათ ზალაში და გულში ეცინებოდათ.

— დონია-მარსელინა, უთხრა დანიელმა გასვლის დროს, თქვენ, რასაკვირველია, მიხვდებოდით, თუ როგორ უნდა გააგრძელოთ ეს საქმე.

— რასაკვირველია, უნდა უთხრა, რომ ძილში მოგეჩვენათ მეთქი.

— ჰოო, სწორედ აგრე.

— აი ეს თქვენ, გერდრუდიტა, უთხრა დანიელმა და ბანკის ბილეთი ჩაუდო ხელში.

ოთხის საათის შემდეგ მღვდელს გაეტეს გადაჭჭპარსეს თავი და დაასხეს წურბელები. ექიმები იჭვნეულებდნენ იმის მორჩენაში.

დანიელი საჩქაროდ წავიდა შინა და სოლომანს გაუგზავნა როზასთან გასაგზავნი წერილი, თანაც მისწერა, რომ წუხელის სულ ამის წერას მოვუნდიო.

თავი მეექვსე.

ცარიელი სახლი.

მდინარე ლაპლატის სიახლოვეს იდგა ერთი მინგრეულ-მონგრეული სახლი, რომელშიაც დიდი ხანია აღარავინა სცხოვრობდა. ამ სახლს ეძახდნენ ცარიელს სახლს.

ეს ძველი სახლი უსათუოდ სრულიად დაინგრეოდა, თუ რომ ამ დროს ვიღასაც არ გაეკეთებინა ისა.

ვინ გაასახლებინა? ვის რათ უნდოდა ეს ცარიელი სახლი? ეს არავინ არ იცოდა და არც არავინა კითხულობდა, რადგანაც ხალხის ყურადღებას უფრო სხვა საქმეებ იზიდავდა.

ასე თუ ისე, ეს ძველი სახლი უცებ გასახლდა. წინად ამ სახლში მარტო ჩიტები ბუდობდნენ, ეხლა კი ეტყობოდა, რომ კაცებიც იდგნენ.

ღამის მეცხრე საათია. მთის დასავლიდამ აღმოციმციმდა მთვარე და მოჰფინა თავისი ნათელი ლაპლატის მდინარეს.

მდინარის ნაპირას იდგა ქალი და მდუმარებით შესცქეროდა მთვარეს, რომელიც ვარსკვლავთა შორის ამაყად ვიდოდა. რაღაც საიდუმლო მწუხარება იხატებოდა ამ ქალის სახეზედ. ამ ქალის თმები, შერხეულნი ნიავისგან, ეთამაშებოდნენ მშვენიერს სახეს. ამ ქალის მოხდენილს ტანზედ შრიალობდა ხავერდის ტანისამოსი, რომელსაც თითქოს უნდოდა მოეტაცნა ეს მშვენიერი ქმნილება და წაეყვანა სხვაგან. ეს ქალი იყო ამალია.

ამ პოეტურს მდგომარეობაში ამალიას აღარც არაფერი

ქსმოდა და აღარც არაფერსა ხედავდა, თვით კაცის ფეხის ხმამაც კი არ გამოაცვლევინა მას ეს პოეტური მდგომარეობა.

ეს კაცი იყო ედუარდო.

— ამალია!

— ედუარდო!

აი პირველი სიტყვები, წარმოთქმულნი მათგან.

— ოჰ, ჩემო ანგელოზო, ჩემო ანგელოზო, რა მშვენიერი რამა ხარ! უთხრა ედუარდომ და დაიჩოქა წინაშე მშვენიერის ქალისა და შეჰყურებდა მას გრძნეულს თვალებში.

— მე შენზედ ვფიქრობდი, უთხრა ამალიამ ® დაადო ედუარდოს თავზედ ხელები.

— მართლა?

— დიაღ, მე შენზედ ვფიქრობდი, მე გხედავდი შენ, მაგრამ აქ კი არა, დედა-მიწაზედ არა; არა, მე გნახე შენ ჩემს გვერდით იქ.. შორს, ვარსკვლავებით მოჭედილს ცის სივრცეში... მე შენ გიხილე იმ დროს, როდესაც სული ჩემი სრულიად ივიწყებს ხოლმე ყოველსავე ქვეყნიერს.

— ოჰ, ჩემო მეგობარო, ჩემო მეგობარო! სთქვა ედუარდომ, დაჯდა წყლის ნაპირზედ და ამალიაც გვერდით მოისვა.

— შეხედე, ჩემო ამალია, განაგრძო მან გრძნობით,—რა მშვენიერია ეს დიდებული, მკრთალი მთვარე! მაგრამ შენი ნათელი სახე ჩემთვის ათასჯერ უფრო მშვენიერია... შეხედე, რა ნაირის სინათლით არის გაბრწყინვებული ცის კამარა! მაგრამ შენი მფიროვანი თვალები შენი ჩაფიქრებული, მგზნებარე თვალები, უფრო ძლიერა ბრწინავენ ჩემთვის, სინამ ის ურიცხვნი ცის ვარსკლავნი. ოხ, ნეტავ შემეძლოს შენთან ერთად ავფრინდე ერთ-ერთ ბრწყინვალე ვარსკვლავზედ, რომ იქ ვარსკვლავთა გვირგვინი დაგადგა თავზედ და მოვიდრიკო თავი წი-

ნაშე შენსა, ვითარცა საუკუნო მშვენიერების მეფვას წინაშე! ოხ, რა ნაირად მიყვარხარ, რა ნაირად მიყვარხარ, ჩემო ამალია... შენ ჩემის ხელით ჩამოგაფარებდი რიდეს, რომ მზის სხივებს არ შესძლებოდათ შენი ალერსი...

— ედუარდო, ედუარდო!

— რა მშვენიერი ხარ ამალია!... და ედუარდომ გადუყარა ამალიას უკან თმები, რომ მთლად იმისი სახე განათებულიყო მთვარის შუქით.

— შენ ბედნიერი ხარ, ედუარდო, არა?

— ბედნიერი ვარ? აბა შეხედე, ხედავ იმ ვარსკლავს, ყველაზედ ბრწყინვალეს, ის ჩვენი ვარსკლავია, ამალია, ჩვენის ბედნიერების ვარსკვლავია; ის ანთია, ანათებს და სხივებს ისვრის, როგორც ჩვენი სიყვარული ჩვენს გულში, როგორც შენ აშუქებ ჩემს სულსა და გულსა, ჩემო მშვენიერო ამალია.

— არა, აგერ ჩვენი ვარსკვლავი, უთხრა უმაწვილმა ქალმა და დაანახვა მიმქრალებული ვარსკვლავი, რომელიც საცა იყო ჩაქრებოდა, მერე დაადო ედუარდოს მხრებზედ თავი და დაიწყო ცის სივრცეში ცქერა.

— მე მხოლოდ შენთვისა ვსუნთქავ და ვცოცხალვარ, ჩემო ამალია.

— შენ შემარიგე ჩემს ბედთან, ედუარდო.

— და შენც მზადა ხარ გაიზიარო ჩემი ბედი, არა?

— დიახ, მზადა ვარ.

— როგორი ბედიც უნდა იყოს?

— დიახ, როგორიც უნდა იყოს.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო!

— თუ შენ ბედნიერი იქნები, მე ჩემს ნეტარებას შენს ღიმილში მოვძებნი... თუ უბედური იქნები, მე შუა გავიყოფ

*

მწუხარებას... თუ რომ შენი მდევნელი ბედი შენ სიკვდილს გიქადის, მაშინ მეც შენ გზაზედ წამოვალ, რომ იმ ქვეყანას შევეყაროთ...

ედუარდომ ჩაიკრა გულში ეს მშვენიერი ქმნილება და სწორედ იმ დროს, როდესაც სიყვარულით აღტაცებული ამალია ამბობდა უკანასკნელს სიტყვებს, ზეცაში ჩანგრძლივი ქუხილი გაისმა.

პოეტური ქმნილებანი მალე ემორჩილებიან ცრუ-მორწმუნეობას, და ჩვენ შეყვარებულებმაც, დამთვრალთა ნეტარებით, ერთმანერთს წაავლეს ხელი და შეშინებულნი ერთი-ერთმანერთს თვალებში შესცქეროდნენ. მერე ამალიამ ჩაღუნა თავი დ დაღონდა.

უბედურება ჩვენზედ ჯერ შორს არის ამალია, უთხრა ედუარდომ,—ახლა კი ჩვენს თავზედ მოკრიალებული ცა არის გადაფარებული, წმინდა, როგორც შენი სული. ჩვენი ტაძარი სამყაროა. აგერ იქა, შეხედე, როგორ ბრწყინავს ჩვენი ბედნიერების ვარსკვლავი?... ბრწყინვალე, როგორც შენი თვალები... მშვენიერი, სასურველი, როგორც შენა... ხედავ იმას, ამალია?...

— არა... აგერ სხვა, უთხრა უმაწვილმა ქალმა და გაუშვირა ხელი პატარა, მკრთალ ვარსკვლავისკენ, რომელიც თითქოს მზად იყო ჩანთქმულიყო მდინარე ლაპლატის ტალღებში.

ამალიამ კიდევ დააყრდნო ედუარდოს მხარზედ თავი და მისი თვალები დაშტერებით შესცქეროდნენ ცის სივრცეს.

— რად მარიდებ თვალთა შენთა, ჩემო ამალია? უთხრა ედუარდომ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— არა... მე შენ გიყურებ... მე შენ ყველგან გხედავ, მიუგო უმაწვილმა ქალმა და შეხედა მას მომღიმარის თვალებით.

— მაგრამ შენ თითქოს გამოიცვალე, ჩემო მგიროვასო ამალია.

— სცდები, ედუარდო, მე არას დროს არ ვიცვლები.

— ეხლა კი გამოიცვალე და. ეს-ეს იყო ეხლა შენს თვალებში ბედნიერება და სიყვარული იხატებოდა, ეხლა კი...

— ეხლა?

— ეხლა ბედნიერების შუქს სიბნელე შეეპარა.

— ეგ იმისთვის, რომ ჩვენი ბედნიერება ბრილიანტია, რომელიც ჩვენისავე სუნთქვით იორთქლება.

— შენ არა გწამს ჩვენი ბედნიერი მომავალი?

— ძლიერ ნაკლებად.

— რათა, ამალია, რათა?

— არ ვიცი... ჩვენი სიყვარული ცუდს გარემოებათა შორის დაიწყო.

— ჩვენ რა გვენაღვლება, თუ კი ჩვენ ერთი-ერთმანერთისათვის ვიცხოვრებთ?..

— ერთი წამიც არის მოსვენება გვქონია მას აქეთ, რაც ჩვენ ერთმანერთი შეგვიყვარდა?..

— ეხლა კი ბედნიერნი ვართ და.

— ბედნიერნი! განა ჩვენ ორივეს სიკვდილით არ გვემუქრებიან.

— ჩვენ მალე შევიქნებით სიკვდილამდისინ ბედნიერნი.

— ვინ იცის!...

— რატომ, ჩემო ამალია?

— აქ, აი აქ, იდუმალი ხმა რაღაც სამწუხაროს მეუბნება, უთხრა ამალიამ და დაიდო გულზედ ხელი.

— ცრუ-მორწმუნევ!

— საკვირველი არ არის, განაგრძო უმაწვილმა ქალმა, —

საკვირველი არ არის, რომ როდესაც ჩვენ უბედურობაზედ დავიწყეთ ლაპარაკი, უეცრად ამ დამშვიდებულს ბუნებაში ქუხილის ხმა გაისმა?

— რა საჭიროა, რომ ბუნების ჩვეულებრივ მოვლენაში ჩვენი მომავალი უბედურობა დავინახოთ.

— არ ვიცი... მაგრამ... მე ცრუ-მორწმუნე ვარ, ქდუარდო: ეს შენცა სთქვი... აქედამ წავიდეთ, სთქვა მან და წამოდგა.

— ცოტაც მოიცადე.

— არა, დრო არის, უსათუოდ ეხლა დანიელიც გველის.

(შემდეგი იქნება).

სიმღერა მთესველისა.

ტოროლავ, ჩემო ტოროლავ,
ჩემს ყანას თავს დასტრიალე;
მთა და ბარის შესამკობლად
ხმა-ტკბილად ჩააკრიალე.

ადი ცაში სიმღერითა,
ჩემო ჩიტო, ჭრელო, მარდო,
რომ მჭებ შენის ცქერითა
მეც გლახ-გული ვანავარდო.

შენ იმღერე, მე დავთესავ,
და თან იმას ვინატრიდეთ,
რომ სიმღერით დათესილსა
სიმღერითვე მოვიმკიდეთ.

მაშინ, შენ ჩემო ტოროლავ,
მოსავალი შენიც იყოს;
ჩემს პაწია ბიჭისაც ვეტყვი,
რომ მახე აღარ დაგიგოს.

მაშ იმღერე, იცქრიალე,
გადმიყარე გულს ნაღველი,
იმხიარულე, მინამდის
ტურფად ჰყვავის მთა და ველი.

ი. ბაქრაძე.

1882 წ.

საისტორიო სკოლა და საისტორიო საზოგადოება.

«Воспоминаніе о прошедшемъ такъ дорого человѣку, что будущее не можетъ казаться ему привлекательнымъ, если не составляетъ продолженія его, быть можетъ исправленнаго, усовершенствованнаго, но все таки продолженія.»

პ. უსლარი. «უძველესნი თქმულებანი კავკასიაზედ.»

გაზეთ «დროებაში» იყო მოხსენებული ამას წინათ, რომ განზრახვაა შესდგეს საზოგადოება ძველის წიგნებისა და ხელნაწერთა გამოცემისათვისაო. რასაკვირველია, რომ ფრიად სასარგებლო განზრახვაა და ამ ჟამად ჩვენ მდგომარეობაში შეადგენს არა უკანასკნელს საჭიროებას. ნამეტნავად მაშინ, როცა ერს და ქვეყანას თავის საკუთარის სულის მოთხოვნილებისამებრ ვერ უცხოვრნია აწმყოში. იგი ამ შემთხვევაში მიჰმართავს წარსულს და გონებით, წარმოდგენით სცდილობს იცხოვროს იმ წარსულით, რომელიც თუნდ სასახელოც არ ყოფილიყოს, შესაფერი და შესაბამი მაინც იქნებოდა წინა-პართა სულისა და გონების მოთხოვნილებისა. მაგრამ ყველას მოეხსენება, როგორ ძნელია ჩვენთვის წარსულის ცოდნა, რადგან წარსული ჩვენი სრულიად არა გვაქვს გამოკვლეული და შემეცნებული. აგრეთვე ყველას მოეხსენება, რომ ჩვენს წარსულსა და აწმყოში კავშირი შეწყვეტილია ჩვენგან დაუმოკიდებელის მიზეზის გამო და

არამც თუ აწმყო შეადგენს გაგრძელებას წარსულისას, არამედ თითქმის აღარაფერი საერთო აღარ აქვს მასთან. ჩვენი ხალხი, რომელიც ამბობდა, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო, ეხლა თავის მამა-პაპაზე სპარტანელთ სიმღერასაც ვეღარ წარმოსთქვამს: «ჩვენ ისა ვართ, რაც თქვენ იყავით, ჩვენ ის ვიქნებით, რაც თქვენა ხართო.» ერთის სიტყვით ჩვენ ხალხს ნასტომი აქვს შემლილი, ის ისტორიული კვალი, რომელშიაც ის ჩამდგარი იყო, ძალთა-ძლევით წაშლილი იქმნა მისთვის; ხოლო აწინდელი არ შეეფერება, არ უხდება და არ არის მის მოთხოვნილებასთან შეფარდებული.

როცა ხალხი, ერი, ჩავარდება ამ გვარს მდგომარეობაში, მას რჩება ერთად ერთი ძალიანი ფარ-ხმალი წაშლილის კვალის აღდგენისათვის, სულ ერთია, საბედნიერო იყო ის კვალი და მასში სიარული, თუ არა. საკმარისია, რომ იგი მის ძალ-ღონეზე იყო გამოჭრილი, მის ვითარებასთან შეფერებული. თუნდ ნაგავითაც რომ სავსე ყოფილიყო, როგორც გაცოფებულნი ამტკიცებენ ზოგიერთა ვაჟ-ბატონები ჩვენში, მაინც კიდევ მის კვალის შეცვლა ხალხისათვის დიდს ზარალს შეადგენს, დიდს და ხანგრძლივ შეფერხების ნიშანს წარმოადგენს. ეს ფარ-ხმალი არის შესწავლა წარსულისა, წარმოდგენა დროთა ყოფილისა და წარსულის თვალ-წინ გამოხატვა. წარსულის წვალებას, წარსულში თავზედ-დატეხილს უბედურობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ერისათვის და მის წარმატების გზაზე მსვლელობისათვის. «ნაციონალურ ანუ ეროვნულ მოგონებათა შორის, იტყვის რენანი,—წარსულის ტანჯვა-წამება ძვირფასია უფრო, ვიდრე მხიარულება და დარბაზობა, იმიტომ რომ წარსულის წამებას მოგონება ვალდებულად გხდის. ძალას გიორკეცებს ერთობის გამტკიცებისათვის.» «მოიგონე დრონი წარსულნი და გულის

ხმა-ჭყავ», სთქვა წინასწარმეტყველმა. მარტო საცოდავი ძალ-დატანება ჭკუისა ათქმევინებს კაცს, ზურგი მიაქციეთ წარსულ-სა—იქ ბატონ-ყმობა მეფობდაო, იქ ძალა უფლება იყო და შური ხმალსა ლესავდაო. ვიდრე მეცნიერებას არ უარ-უყვია, რომ ერი ისეთივე ორგანიზმია, ისეთივე განუკვეთელი, როგორც თვი-თოეული კაცი და მაშასადამე არ შეიძლება უარ-ჰყოს მთლად წარსული თვისი, როგორც ერთმან, ისე მეორემან, ვიდრემდე დაე ახირებულმა ვაჟ-ბატონებმა სცემონ ებანსა და წინწილასა, ეშაფოტები ჰმართონ წარსულის ქართველობისათვის და აუტო-და-ფე ამზადონ მათ გონებით ნაწარმოებთა ნაშთთათვის.

მაგრამ თავზე ხელ-აღებულ ვაჟ-ბატონებთ შორის, მგო-ნია, უსაბედათ გამოსთქვა ერთმა შემდეგი გონიერი აზრი: ჩვენ ეხლა იმ დროში ვცხოვრობთო, როცა ძლიერ საჭიროა გა-მორკვეული გვქონდეს ჩვენი ეროვნობითი ხატება. ჩვენი ხალ-ხი და ქვეყანა ათას გვარ მილეთის ხალხის გავლენის ქვეშ ყოფილაო და ამის გამო ისე წაშლილა ხატება ჩვენი ერის სახისა, რომ ძნელია თვით ფილოსოფოს ეტნოგრაფისათვის მისი აღდგენა და გარჩევაო. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, «რა ზნე და რა წესი უნდა გვიყვარდეს, რა წყობილებისაკენ უნდა მივე-წაფებოდეთ, რაში უნდა ვხედავდეთ ჩვენ იდეალს, რას უნდა ვთვლიდეთ კარგად, რას ავად? ხომ შეუძლებელია ყველა ამ კითხვების ახსნა და გარჩევა, სანამ არ დაარსდება ჩვენში ხეი-რიანი ისტორიული სკოლა, სანამ ისეთი ხეირიანი ისტო-რიკოსები არ გაგვიჩნდებიან, რომლებმაც ჩვენი ხალხის ძველი ცხოვრება გამოიკვლიონ და ის სიბნელე თვალიდამ მოგვაშო-რონ, რომელიც ჩვენს წარსულს გვიმალავს?»

«სანამ ამ ნაირი ისტორიკოსები არ გვეღირსებიან, გა-ნაგრძობს იგივე პუბლიცისტი, სანამ მათი შემწეობით ჩინე-

ბულად არ გაიგებს ჩვენი ხალხი თავის წარსულ ცხოვრებას, მანამდი იმ ახალ პერიოდში (თვის ტომობისკენ დაბრუნების დრო, ანუ უკუბრუნებული პერიოდი, რომლის შემდეგ იწყობა, ავტორის აზრით, დაუმოკიდებელი არსებობის დრო (період самобытнаго творчества), რომელშიაც ჩვენი ქვეყანა ამ ხანებში შესულა, ერთობ დაბნეულათ, უთავ-ბოლოთ და უმნიშვნელოთ იწარმოვებს ჩვენი ხალხის გონებითი წინ-წაწევა.» დღეს რომ ჩვენ ამ გვარი ისტორიკოსები გვყვანდესო, დღესვე ზედ-მიწევნით, რომ ვიცნობდეთ ჩვენ წარსულს, ეს დროებითი ისტორიული პერიოდი მალე გაივლიდაო *).

როდის და როგორ მალე გაივლის ის სამწუხარო დრო, რომელშიაც ახლა ჩვენა ვართ, როგორც ზემოთაცა ვთქვი, ძალთა-ძლეობით ჩაცვივნული, ეგ მაინც ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ის კი სრული ჭეშმარიტებაა, რომ მარტო მაშინ მოისპობა ჩვენი წამხდარი გმირობა და მამულის ობლობა, როდესაც ეროვნობითი ცნობიერება გამტკიცდება წარსულის შესწავლით, და როდესაც ჩვენის ვინაობის აღდგენა საერთო სურვილად გადაიქცევა და ერის ნება შეიქნება და როცა

«წარსულ საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწვდება!»

«როცა ამ სახით, იტყვის ბიგო, ხალხში არსებობს სურვილი და წადილი ერთ-ნება ერად გარდაქცევისათვის, მაშინ მის ვინაობის აღდგენა ვითომც განხორციელებული ყოფილა, მაშინ ერი **) უკვე არსებობს ფარულად, თუმცა ჯერ გარ-

---

*) «საახალწლო»; ნ. ნიკოლაძისა, გვერდი 250, 254 და 252.

**) იხილე ამ სიტყვის მნიშვნელობა «ივერიაში» № 3. 1882 წ, სტატია ერ. რენანისა.

ძვეული ადგილიც არ ჰქონდეს დაჭერილი ქვეყნების მოედანზედ.»

მაგრამ მართალია, რომ ისტორიის შესწავლა, წარსულის გამოკვლევა ჰშველის ეროვნულს ცნობიერების განმტკიცებას და ეს უკანასკნელი კიდევ ეროვნულის მოძრაობის აღორძინებას დ ქვეყნის წინ-წაწევას? ჩვენის ფიქრით ამ საგანს ეჭვქვეშ დააყენებს მხოლოდ უმეცრება და წვრილმანი პარტიული ანგარიში. უბრალო დაკვირვებაც კი ახლანდელ ხალხთა ცხოვრებისა ამტკიცებს, რომ ისტორიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონია ხალხის ცნობიერობის განმტკიცებისათვის? იტალიის განთავისუფლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიის ძველის ისტორიის გამოკვლევას და დიდებულ რომაელთა ცხოვრების მოგონებას. საბერძნეთის სამეფოს დამყარება ნახევრობით მაინც იყო იმის შედეგი, რომ ძველ ბერძნების შთამომავლობამ სცნა თავისი დაცემა და განადგურება თავის ძველ-წინაპართან შედარებით. ბოლგარიის განთავისუფლების საქმე დაიწყო მაშინ, როცა ამ ხალხის წარსული შესწავლილ და შემეცნებულ იქმნა. სხვა სლავიანთა წვრიმალ ხალხთა ეროვნულ ცხოვრების მოძრაობა და აღორძინება ამ გვარივე მუშაობის შედეგი იყო.

«ციფირებით შეიძლება მტკიცედ დამყარება იმ აზრისა, ამბობს ბიოგრაფი ძმათა გრიმმებისა, რომელნიც იყვნენ უპეთესნი ისტორიკოსნი დ ფილოლოგნი, რომ ომი განთავისუფლებისათვის იყო მათი სული და გული. მათ ცხოვრების საგნად იყო აღემართნათ თავიანთ ქვეყნისათვის ეროვნული ძეგლი, აღედგინათ წარსული და ამით მოემზადებინათ მისთვის მერმისი და მომავალი.»

«პატრიოტობა გრიმმებისა მთლად შეიცავდა გერმანიის

ისტორიას და ყველა მის ხანას გასწვდა. მათ არაფერი არ გამოუტოვებიათ წარსულიდამ და ეროვნულმა მოძრაობა თანაგრძნობით ბანი მისცა მათს მოღვაწეობას. ამით იგინი არიან მის ჭეშმარიტნი წარმომდგენელნი.

«გერმანიის ერთობა, მათ მიერ განხორციელებულ იქმნა, როგორც იმითი რომ იგი დაიწყო, ისე იმით რომ მის შესახებ მთელი ლიტერატურა შესდგა და თუ ოდესმე ამ ერთობას მიეცემა არსებობა პოლიტიკურად, ერი ვალდებულია პირველად მათ სახსოვრად აგოს ძეგლი. წინააღმდეგს შემთხვევაში, ეს იქნება მის მიერ უმადურობა და უმადლობა.

«ყველაზედ საგულისხმიერო ის არის, რომ ყველგან თითქმის თავიანთ წარსულს ემდურებიან: შავ-უკუღმა დრო იყო, სიბნელით მოცული ინკვიზიცია და ფეოდალიზმი მეფობდა წარსულშიო, მაგრამ მაინც ნამდვილს პატრიოტობას აღძრავს ხოლმე ეს წარსული დ ამუშავებს ხალხს მის შესასწავლელად.

«როცა ერთს სამეცნიერო კონგრესზე ვიღამაც წამოიძახა, მომწყინდა ამდენი ლაპარაკი სულ ისტორიაზეო, იაკობ გრიმს ეს ძლიერ ეწყინა და დაიძახა: ისტორია თავათაც არას იტყვის და მდუმარებით გვერდს აუვლის მათ, ვისაც ის მოსწყინდა და მასზედ ლაპარაკი არა სურს» *).

«История есть воскресеніе». «ისტორია აღდგომა არისო», გამოსთქვა მიშლემ თავის ისტორიულ წიგნებში დ მადლობელმა შთამომავლობამ ეს მისი სიტყვები მის საფლავის ქვაზე ზედ-წარწერად ამოსჭრა.

«რწმენა მომავლისა, თუ იგი დამყარებული არ არის წარ-

---

*) Заграничный Вѣстникъ 1864 წ. ტ. III, გვ. 121 და სხვანი.

სულზედ და იქ არა აქვს მას ფესვები გადგმული, სთქვა ამას წინად ერთმა ცნობილმა ისტორიკოსთაგანმა—ბესტუჟევ—რიუმინმა—არის ბავშური თავის მოტყუება. მხოლოდ მათ შეუძლიანთ უშიშრად უცქირონ მომავალსა, ვინც მცოდნეა წარსულისა.»

«იყვნენ და არიან ხალხნი, რომელნიც საუკუნოებით ყოფილან მონებაში, მაგრამ მარტო წარსულის ცოდნით დაუცავთ თავისი ეროვნული ხატება და განსხვავებული ზნე-ჩვეულებანი და შემდეგ კიდეც დაუბრუნებიათ თავისი დაკარგული პოლიტიკური დამოუკიდებლობა» *).

«ყოველი ერი, ამბობდა ამ ხუთის წლის წინად **) ჟურნალი „ივერია", ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულობას, თვის ვინაობას, თვის თვითებას. ჩვენის ფიქრით, განაგრძობს იგივე ჟურნალი, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანერთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთის ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერისა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალულება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რამე

*) Обзоръ народно-учебной литературы. 1878 г. О цѣляхъ и средствахъ историческаго обученія.

**) «ივერია» 1877 წ., № 9.

შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ფრთა გაშალოს.»

და დასასრულ, რას ამბობდა თვით რენანი თავის სორბონის სიტყვაში, «რა არის ერიო»? ერი ის ხალხია, რომელსაც ერთმანერთთან აკავშირებს სხვათა შორის ერთის წარსულის მოგონებაო. იდეა ერისა არის სულიერი პრინციპი და არ არის დამყარებული არც ხალხის ერთ-ენოვანებაზე, არც ერთ-შთამომავლობაზე, არც ერთ-მორწმუნეობაზე და არც ფიზიკურ ბუნების ვითარების ზედ-მოქმედებაზედ; არამედ იგი იდეა აღმოცენებულია წარსულზედ და წარსულით სულდგმულობსო: წარსულის მოგონება, როგორიც უნდა იყოს ეს მოგონება, სალხინო თუ სამწუხარო, აკავშირებს ხალხს, ერთობას უმტკიცებს და ერად ჰქმნისო. დააყენეთ ინგლისელი და ფრანცუზი, ნემეცი და რუსი ერთად, აცხოვრეთ იგი ერთ-გვარ ისტორიულის ბედის ქვეშ და ეს ყველანი სხვა-და-სხვა გვარნი ხალხთ წარმომადგენელნი შეადგენენ ერთს ერს, რომლის საბუთი და მიზეზი იქნება ერთი წარსული, ერთი ჭირი და ერთი ლხინი წარსულშიო.

ცხადია, რომ თუ ჩვენ ერად გვსურს გადაქცევა, თუ ჩვენ გვინდა უშიშრად და ცნობიერად უცქიროთ მომავალს, თუ გვინდა ჩვენი მონება-დაჩაგრულობა აღვხოცოთ და დავიბრუნოთ ის, რაც დაგვიკარგავს, ჩვენ უნდა მხნედ და თავ-განწირულად შევუდგეთ ჩვენის წარსულის შესწავლას, ჩვენთა წინაპართა ცხოვრების დაწვრილებით გარკვევას და მის მტკიცე-მეცნიერულად შემეცნებას. უნდა შევისწავლოთ ყოველივე მცირე მოვლენა ისტორიულის ცხოვრებისა, დაწყობილი ხალხის მოღვაწეობიდამ მეფეთ ასპარეზობამდე. ავიცა და კარგიცა, სადიდებელიც და სავალალოც, რადგან ერთიც და მეორეც ერთ-

გვარად გასწვრთნის ჩვენს გონებას, ერთ-გვარად გაუღვიძებს ერს გულის-ხმიერების, გაუმტკიცებს ერთობას, გამოარკვევს ჩვენს ეროვნულს ცნობიერობას და აღძრავს დიადს ეროვნულს მოძრაობას.

II

როდესაც ჩვენ წარსულის შესწავლით შევიტყობთ, რანი ვყოფილვართ უწინ ძველს დროსა დ რანი ვართ ახლა, მაშინ იმასაც მივხვდებით, რანი უნდა ვიყვნეთ მომავალში. ფილოსოფოსის თქმა, რომ აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისაო, სწორეთ ფილოსოფიური თქმა არის. აწმყო შედეგია წარსულისა და ბუნდად შეიცავს მომავლის სურთსაო, სთქვა ლასალმა. კაცი, თუ ერი, რომელსაც შეუგნია წარსული, შეიგნებს აწმყოსა და მომავალსაცა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც კერძო კაცი და ვერც ერი ვერ ჩაითვლება კაცად თუ ერად, უკეთუ მას წარსული თვისი დაუვიწყებია. მას ნიადაგი ფეხ-ქვეშ გამოცლილი აქვს და, დღეს არა, ხვალ განჰქრება დედა-მიწის ზურგიდამ. იგი ვეღარ შეიძლებს ცნობიერად უცქიროს თავის-თავს, ცნობიერად არსებობდეს და მით უმეტეს ცნობიერად ადგეს განვითარებას.

აი ამისათვის არის, რომ ჩვენსავით გულ-გრილად და ვაგლახად არ ეკიდებიან განათლებულს ქვეყნებში თავიანთ წარსულს. აი ამისათვის არის, რომ იქ ყოველმა იცის თავის ერის წარსული ცხოვრება: დიდმაც და პატარამაც, დიდებულმაც და მცირემაც. იქ იმას კი არ ჰკვირიან, წარსული სულელობააო დ წარსულის ხსოვნა—სარგებლობას არ მოგვიტანსო, არამედ ყველა წარსულში ეძებს წამალს საზოგადოობრივ სენისას, ყველა

იქ ემებს საგულისხმიერო შთაგონებას, რადგან ყოველი საგანი, მოვლენა, ყოველივე კერძო ბუნებისა, თუ ოდესმე მას არსებობა ჰქონია, მით წარსულში მოქცეულა და ისტორიის კუთვნილებად გამხდარა. იქ, განათლებულ ევროპაში, არავითარს სასყიდელს და საფასეს არ იშურვებენ წარსულის გამოკვლევისათვის. იქ, ევროპაში მილიონობით იხარჯება შეძლება დ ქონება მის შესწავლისათვის. იქ მთავრობა თავობს ამ საქმეში და თავის ყოვლად-შემძლებლობას ამ საგანს ახმარებს. იქ ვრცელი სამეცნიერო დაწესებულებანი არსებობენ კერძოდ და განსაკუთრებით წარსულის გამოკვლევისათვის დაარსებულნი. იქ მთელი რაზმი რაზმზედ განწყობილი სწავლულნი მოღვაწეობენ არამც თუ მარტო მშობლიურის ძველ დროს გამოსაკვლევლად, არა თუ ევროპის დროთა წარსულთა შესასწავლებლად, არამედ მთლად საკაცობრიო დასაბამის აღმოსაჩენად, მთლად კაცობრიობის თავ-გარდასავალის გამოსაკვლევლად. იტალიაში არსებობს დიდი საარხეოლოგიო ინსტიტუტი, რომლის საგანი იტალიის წარსულის გამოკვლევა არის. იტალიაშივე დაარსდა მის განთავისუფლების შემდეგ საარხეოლოგიო მთავარ-მმართველობა, რომლის მოთავედ ითვლება თვითონ მინისტრი სახალხო განათლებისა და რომელსაც ყოველს ოლქისათვის ცალკე ინსპეკტორები ჰყავს დანიშნული. პარიჟში უკვდავთა აკადემიის ადგილები მზად არის ხოლმე წიაღსა შინა თვისსა სიხარულით და დღესასწაულობით მიიღოს ყოველი გამოჩენილი საფრანგეთის მოღვაწე საისტორიო ასპარეზზედ და შერიცხოს უკვდავთა შორის. ინგლისში მომეტებული პატივი და დიდება ეძლევათ აგრეთვე ისტორიკოსებს, არხეოლოგებს, ლინგვისტებს და ანტროპოლოგებს, რომელთა საწადელი და საგანი იგივე წარსულის გამოკვლევაა. ან კი ასე შორს

რათ მივდივართ. ავიღოთ თუნდ რუსეთი. აქაც კი დააფასეს და შეიტყეს დიდი მნიშვნელობა წარსულისა და დღეს ათობით კი არა ასობით ითვლება ნასწავლი და წარსულის სრული შემმეცნებელი. მოსკოვის არხეოლოგიურს საზოგადოებას საკმარისი შეძლება და ქონება აქვს ყოველ-გვარის სამუშაოსათვის და ყოველს ოთხს წელიწადს ჰმართავს საარხეოლოგიო შემოკრებილებათა გამოჩენილის არხეოლოგის უვაროვის ხელმძღვანელობით. სულ ოთხი თვე არ არის, რაც რუსეთში დაარსდა კიდევ დიდი დაწესებულება, სახელდობრ პალესტინის საზოგადოება, რომლის თავსმჯდომარედ ირიცხება დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე: მის საგნად არის სხვათა შორის მეცნიერული გამოკვლევა აღმოსავლეთ წმინდა ადგილთა საზოგადოდ და კერძოდ მათი დაწვრილებითი გამოკვლევა რუსეთის წარსულთან დაკავშირებით. ამ საზოგადოებას აქვს დიდძალი ფული და შეძლება და უკვე აპირებს დაიწყოს თავისი ვრცელი მოღვაწეობა, როგორც სჩანს მის პროგრამიდამ. (ეს პროგრამმა დაბეჭდილია «Церковный Вѣстникъ»-ში). თვით რუსეთის მთავრობა არას ზოგავს ამ მხრივ. მან 50,000 მან. დახარჯა ამის წინათ, რომ აღედგინა მხოლოდ ძველი მხატვრობა ბლაგოვეშჩენსკის გუმბათიანს საყდარში მოსკოვში, სადაც ხელმწიფენი რუსეთისა გვირგვინოსან და მირონ-ცხებულ იქმნებიან ხოლმე და სადაც ჟამთა-ვითარებისაგან ეს მხატვრობა წაშლილიყო და ახლა უფრო მომეტებულს ხარჯავს, ოღონდ განაახლოს და დაიცვას კრემლის ძეგლები ქ. კალომნაში. ჩვენ-და, ჩვენ რაღას ვაკეთებთ და რაღას ვშვრებით ამ მხრივ. ჩვენ ქართველნი, რომელნიც ასე უღვთოდ დავრჩით ყველაზე ცარიელ-ტარიელები და ერთი წარსული-ღა შეგვრჩა, რომლითაც შეგვიძლიან თავ-მოწონება, რა გზას ვადგევართ, ვაკეთებთ

რასმე ამ საგნის შესახებ? არასოდეს, სრულიად არასოდეს. ვლანძღავთ ამ წარსულს, ქოქით და წყევლით ვიღებთ და გაცოფებულნი ვსდევნით ყოველსავე, რაც ძველს მოგვაგონებს. უგურურნი, თავზედ-ხელ-აღებულნი პუბლიცისტები და მჯღაბნელები, რომელნიც ჩვენდა სამარცხვინოდ და სავაგლახოდ ასე მრავლდებიან ჩვენში, არ ზოგვენ არაფერს, რომ შეჰმუსრონ წარსულის სახელი და სახსენებელი, პატივი აჰყარონ მას, რაშიაც წმინდათ დაცულია ყოველივე ჩვენი ღირსება და დიდება, რაშიაც ხელ-შეუხებელი შენახულა დღევანდლამდე ჩვენი წმინდა-წმინდათა და რაც ჩვენს სახეს, ჩვენს ეროვნობას, ჩვენს საბუთს არსებობისას შეადგენს.

ჩვენ არამც თუ მმართებლობა და მთავრობა გროშით არ გვშველის, რომ ჩვენი საკუთარი სასტორიო საზოგადოება გვქონდეს, არამედ ჩვენც ვერ მოგვიყრია ერთად თავი, რომ რაც მთავრობისაგან გვაკლია, ის შეერთებულის შრომით და ბეჯითობით შევისრულოთ. აი ამისათვის გვგონია, რომ აუცილებელი საჭიროებაა შესდგეს ჩვენში სასტორიო საზოგადოება, რომელიც შეჰქმნის სასტორიო სკოლას და შეგვასწავლის წარსულს. აი ამისათვის გვგონია, რომ ეს საზოგადოება, დღეს იქნება თუ ხვალ, უსათუოდ უნდა შესდგეს და საგნად, სურვილად, სჯულად უნდა გაიხადოს წარსული, რადგან ეს წარსული ეხლანდელს ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც აწმყოში არარანი ვართ, ერთად-ერთი საგანია, რომელიც გვაგონებს ჩვენს ეროვნობას; ხოლო ეროვნობის სალოცავი თითქმის საერთოდ აღიარებულია ევროპაში.

III

გადის საათი, დრო და საუკუნე და ჩვენ მაინც ჩვენი თავი ვერ გვიცნია. ვერ გაგვიგია, ამ ერთს მუჭა ხალხს რა საფუძველზედ ჰქონდა აგებული თავის ცხოვრება, რომ ამდენს ვაი-ვაგლახს ორი ათას წელიწადში გაუძლო და თავი შეინახა. ვერ გაგვიგია, რამ აჭამა, რამ ასვა სულსა და ხორცსა ამ ერთი მუჭა ერისას, რომ ამდენ მტრებს შორის მტვრად არ აღიგავა დედა-მიწის ზურგიდამ. სჩანს ჩვენს ერსაც ნაშოვნი ჰქონია ჭეშმარიტი ძარღვი ცხოვრებისა, და იქნება ჩვენც საგულისხმო რამ გვქონია კაცობრიობისათვის წარსულში, და ჩვენი ხვედრი წვლილი ჩვენც შეგვიტანია საკაცობრიოთ სალაროში.

ყველა ამ მოსაზრებათა ძალით, ევროპის სახელმწიფოთა და ერთა მიხედვით, ჩვენ გვგონია, რომ ეს საისტორიო საზოგადოება აუცილებელი საჭიროებაა. მის დაარსებას მოითხოვს ჩვენგან დროთა-ვითარება და ჩვენი სამწუხარო მდგომარეობაც და ეროვნულის ცნობიერების განუვითარებლობა და განუმტკიცებლობა, გარდა იმისა, რომ მეცნიერული ინტერესები დროსა და სივრცის გარეშე უნდა იქმნენ დაკმაყოფილებულნი. რომელიც ერი უგულოდ ეკიდება მეცნიერებას, არ სცდილობს მის აღორძინებას და მისთვის სამსახურს არ სთვლის მთავარს თავის მოვალეობად, იგი ერი და ხალხი სხვის საჭმელად და სახრავად იქმნება გადადებული. მეცნიერება ჰქმნის კულტურას, ხოლო კულტურა მისგან წარმომდგარი და წარმოშობილი, მფლობელობს ქვეყანაზედ. მფლობელობს და უფლობს ისე, როგორც ვერ მფლობელობდა ვერც ალექსანდრე

მაკედონელი, ვერც ნაპოლეონ პირველი, ვერც მხედრობა და ვერც მხედრობის აღკაზმვა-დარაზმულობა.

თუ ჩვენ გვინდა არ გავხადოთ ჩვენი თავი სხვის საჭმელად და სახრავად გადადებულად, უნდა შევუდგეთ სულით და გულით მეცნიერებას. მეცნიერების ნაწილს შეადგენს ისტორიაცა.

რაც შეეხება თვით საზოგადოების შედგენას და მოწყობას, ამას არც დიდი თავში ცემა მოუნდება და არც დიდი სიბრძნე. მე მოგახსენებთ საზოგადოების შედგენაზე კანონიერის გზით *) და აქ არ ვეხები იმ სიძნელეს, რომელიც შეხვდება მას, როცა იგი თავის საისტორიო მოღვაწეობას დაიწყობს და არც თვით საზოგადოების მოწყობას გამოვეკიდებით აქ კერძოდ და დაწვრილებით, რადგან ეს სრულიად ადვილია, ოღონდ საქმე საქმეზედ მოვიდეს და ჩვენი სურვილი და კეთილი ნება იყოს. მაინცა-და-მაინც ეს სულ სხვა წერილის საგანს შეადგენს და ამისთვის აქ ამ საგანზედ ვათავებთ საუბარს მკითხველთან.

გრ. ყიფშიძე.

---

*) თვით წესდებულების შესახებ «საქართველოს საისტორიო და საარხეოლოგიო საზოგადოებისათვის» ჩვენთვის და ბევრს სხვისთვისაც გამოუცხადებია პატივცემულს ჩვენს ისტორიკოსს და არხეოლოგს, დაჯილდოვებულს დიდის ოქროს მენდლით «პეტერბურგულს საარხეოლოგიო საზოგადოებისაგან», ბ-ნს დ. ზ. ბაქრაძეს, რომ იგი ამ წესდებულების შედგენას დიდის სიამოვნებით და კმაყოფილებით იკისრებს.

შინაური მიმოხილვა.

მოხელეობის ბედი—ძველის და ახალის მოსვლა ერთ ნაირად გვიხარიან—მიზეზი ამ სიხარულისა—ახალის მოსვლა ნატვრის მიზეზია—მადა ნატვრისა—რა არის საჭირო მოხელეთათვის—ნუ გჯერათ—უბარაქო მჭევრ-მეტყველობა. ფუქსავატობა და ქარაფშუტობა—რა არ აუღიარებიათ ჩვენში—ჩივილი—მოხელეთა გამარჯვება—ღირს საცნობია თუ არა—ორი აუცილებელი სიკეთე მოხელისა—მობძანება ახალის ექზარხოსისა—სიტყვა დეკანოზის სამადლობელისა—ჩვენის სამღვდელოების ღირსება—მაგალითი მოციქულთა—პასუხი ყოვლად უუსამღვდელოის ეგზარხოსისა—რამ დაიფარა ჩვენში ეკკლესია შეურყეველად—ჩვენი უწინდელი სამღვდელოება—მისი ღვაწლი—რამ შეაძლებინა—შედეგი უცოდინარეობისა და გაუნათლებლობისა— გვწამს და ვიმედოვნებთ—ერთად-ერთი ღონე მოძღვრებისა — დავმუნჯდით და დავყრუვდით —განა სანატრელია—სემინარიის არალია—ჩვენი იმედი ახილის ეგზარსოსზედ—საბუთი უმედისა—პატივისცემა ერის მიმართ რის ნიშანია.

საკვირველია მოხელეობის ბედი, ნამეტნავად ჩვენში. არის თუ არა თავის ადგილას მოხელე—ორივეს ერთნაირის სიამოვნებით დავხვდებით ხოლმე. არც იმისი ყოფნა გვმატებს რასმეს, არც იმისი არ ყოფნა გვაკლებს. ჰსცვლიან ძველს, ნიშნავენ ახალს და ჩვენ ძველის გამოცვლაც გვიხარიან და ახალის დანიშვნაცა. ძველი მიდის, ახალი მოდის,—ერთსაც გულითადის სიხარულით ვაცილებთ და მეორესაც გულითადისვე სიამოვნებით მივეგებვით. ერთსა ვკარგავთ და მეორეს ვპოულობთ

და ორივე ერთნაირად გვიხარიან. ეს ასე რად უნდა იყოს? ვსთქვათ პოვნა სასიხარულოა—ეგეც კი ზოგჯერ ღმერთმა უწყის—დაკარგვა ხომ უნდა მაინც გვწყინდეს ამ შემთხვევაში. რატომ არ უნდა გვაწუხებდეს ძველის წასვლა? რაც უნდა იყოს, ყოფილა ჩვენში, უმსახურნია, უზრუნვია, თუ არ ოფლი, დორბლები მაინც თავ-გამომეტებით უღვრია. მაგრამ რასა იქ? თურმე ისეთი ბედის-წერა ჰქონია მოხელეს და ეს ბედის-წერა ადვილად ასახსნელიც არის. ძველის წასვლა იმიტომ გვიხარიან, რომ ერთ-გვარ წყობილობაში ძნელად, ძალიან ძნელად მოხდება ხოლმე მოხელეს თავის სულიერ ძალ-ღონეზედ გამოჭრილი თანამდებობა ეჭიროს, თავის შესაფერს ადგილას იჯდეს: ტყუილად დედა-მიწას ამძიმებს და ადგილი დახაფრული აქვს. მიდის და ჰსცლის ადგილს,—რატომ არ უნდა გვიხაროდეს. აქ სიხარული საბუთიანია, მიზეზიანი. ამიტომაც მოხელეს, როცა კი ღვთის მადლით აიბარგება, დიდის სიამოვნებით მივმახებთ ხოლმე: «გზა მშვიდობისა! ღმერთმა აქედ ნუღარ მოგახედოსო.» დავლოცავთ და მიდის კუდ-აკრეფილი. ძნელად გვინახავს და—ჩვენში კი ითქვას—სრულებითაც არ გვინახავს, რომ მოხელე ამ ლოცვა-კურთხევით არ გაეცილებინოთ.

ეს ხომ ასეა დ ასეც უნდა იყოს, ვიდრე «მე» მეობს დ «ჩვენ» არა ჩვენობს. ეს არის გასაკვირველი,—ახალის მოსვლა რაღად გვიხარიან, ძველისაგან გაწვრთნილთა? რომ გვიხარიან ხოლმე ამას ეჭვი არა აქვს. აქ სიხარულს არავითარი საბუთი არ მიუძღვის, იმის მეტი რომ ვფიქრობთ: იქნება გვიბრალოს ღმერთმა და გამოსადეგი კაცი დაჯდეს უხეიროს მაგიერათაო. ეს „იქნება“ მარტო გულის ზრახვაა, უფრო ნატვრასა დ იმედსა ჰგავს, ვიდრე საბუთსა. აი ახლის მოსვლა სწორედ იმიტომ

გვიხარიან, რომ გზა ეხსნება მაგ ნატვრასა, ნატვრის მიზეზი გვაძლევა.

პირველ შემთხვევაში, ესე იგი, მაშინ, როცა ახალი მვედდება, «აღარც ნატვრა და აღარც იმედია», რადგანაც მოხელეობის აუცილებელი ბედის-წერა ორივეს მოსპობს ხოლმე და ამიტომაც როცა დამველებული ახალი მიდის, გვიხარიან რომ მიდის. როცა კი ახალი ჯერ ახალია, ნატვრაც არის და იმედიც და ამიტომ გვიხარიან, რომ ეს შემთხვევა მოდის. თუმცა—ჩვენში კი დარჩეს—ნატვრაცა და იმედიც უოველთვის გაგვცრუებია, მაგრამ მაინც ჩვენ ჩვენსას არ ვიშლით. რას იზამ? ადამიანი ისეა შექმნილი, რომ ნატვრისა და იმედის მადა მით უფრო მეტად ეხსნება, რაც უფრო მეტად პირში ჩალა-გამოვლებული რჩება.

ტყუილია,—ვერა მოხელემ თავის ადგილას თავისი უოფნა სახეიროდ და მაშასადამე სხვის სასიამოვნოთაც ვერ გახადოს, თუ რომ საცა ზის, თავის ცხოვრების ძირიც იქ არა აქვს და თუ რომ იქაური ავ-კარგიანობა ძირით თხემამდე შეცნებული, შეტყობილი და შესწავლული არა აქვს. თუ პირველი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით მეტის-მეტი ჰგონია ვისმე, მეორე სიკეთე მაინც აუცილებლად უნდა მოეთხოვებოდეს ხოლმე მოხელეს. ეხლა ბავშვმაც კი იცის, რომ აწმყო, რომელსაც ძველთა ღმერთის იანუსისავით ორი თავი აქვს, ერთით უკან იცქირება და მეორით წინ, გონების თვალ-წინ ცხადად და უტყუარად უნდა გამოხატული ჰქონდეს უოველს იმას, ვინც კი ასრულობს ქვეყნის პატრონობას, მოვლას და სამსახურსა. ამისათვის საჭიროა ზედ-მიწევნითი ცოდნა მისი, რაც უოფილა, რაც არის და რაც უნდა იქმნას. უამისოდ მოხელე, დიდია თუ პატარა, ვერას იქმს, ერთს ბიჯსაც ვერ გადაჰსდგამს

ვერც სახელმწიფოს სასარგებლოდ და ვერც საზოგადოების სახეიროდ. ტყუილ-უბრალო იმედია თუ ვინმე თავის იმედს ამისთანა მოხელეს მიჰყუდებს. ამისთანა მოხელეს, რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეს სიკეთის ქმნისა, ხელიდამ არა გამოუვა-რა, სულ ყოველის ფერი ფუქსავატი იქნება, ფუჭი და ამაო, რაც უნდა წელებზედ ფეხი იდგას და ოფლი ღვაროს. არც მის დაპირებულს, არც მის ქადებულს და აღთქმულს გროშად არ ვიყიდი, თუნდა მწამდეს კიდეც რომ ყოველივე ეს გულ-წრფელია და გულითადი. სულ ყოველივე—მისი დაპირება, ქადება და აღთქმა—უბრალო მჭევრ-მეტყველობა იქნება, ქარაფშუტობა და ფუქსავატობა. იქნება ეს დაპირება, ქადება, თუ აღთქმა მის გულ-კეთილობას მოასწავებდეს, სხვას კი არას ფერს, სრულიად არასფერს.

ჩვენს ხსოვნაში ერთი მოხელე არ ვიცით, რომ აქაურობის ცოტაოდენი ცოდნა ჰქონდეს და ამ ცოდნით აღჭურვილი შესდგომოდეს მისდამი მინდობილის თანამდებობის აღსრულებას. ინგლისელები ერთს მოხელესაც არ დანიშვნენ ინდოსტანში ისე, რომ თავ-და-პირველად არ გამოსცადონ იცის რამე იმ ქვეყნისა თუ არა. ჩვენში კი არამც თუ ამისთანა ცოდნას თხოულობენ მოხელესაგან, არამედ რწმენათაც მიღებული არა აქვთ, რომ ეგ ცოდნა რაშიმე გამოსაყენია და მაშასადამე აუცილებლად საჭიროა. ამიტომაც არის რომ ერი მოხელეებს უჩივის და მოხელენი ერსა... მოხელეობას ამ შემთხვევაში იმიტომ გასდის სიტყვა, რომ უმრავლესობა ყოვლად უცოდინარნი არიან აქაურობისა. ცარიელს ქვევრს რასაც ჩასძახებ, ის უნდა ამოიძახოს. მეტი გზა არ არის. ეგ ბუნებური კანონია და მაშასადამე უცილო და უდავო.

კიდევ ვიმეორებთ: ვიდრე მოხელე, სააქაოდ დანიშნუ-

ლი, აქაურობის ცოდნით არ შეუდგება აქაურს სამსახურს, იმ დრომდე შეუძლებელია—ან მოხელემ სიკეთე რამ მოიტანოს, ან ერმა მადლობით მოიხსენიოს. ორი ათასი წელიწადი მეტია ჩვენა ვცხოვრობთ, მტერსა და მოყვარეს გავძღოლივართ, ქვეყანა, მიწა-წყალი, ჩვენი ვინაობა, თვითება, სარწმუნოება შეგვინახავს, გვქონია ჩვენი წესები ეკონომიური, პოლიტიკური სამოქალაქო, საერო თუ სასულიერო, გვქონია ჩვენი ლიტერატურა, მწიგნობრობა, გვყოლია ჩვენი პოეტები, მეცნიერნი,—ნუ თუ ყოველივე ეს ერთად და თვითეული ცალკედ ღირს-საცნობი და საყურადღებო არ არის? თუ არ ამაების ცოდნით, სხვა რა გზით უნდა იწარმოვოს მოხელეობამ ჩვენში, ესე იგი, იმისთანა ქვეყანაში, სადა არც ერი თავის ენით, თვისებით, ზნით, ხასიათით, არც მისი წესნი და ჩვეულებანი, არც მისი ისტორია, არც მისი აწმყო, არც შინაგანი და გარეგანი ბუნება არასფერში არ ემგზავსება მას, საიდამაც უფრო ხშირად ინიშნებიან ხოლმე მოხელენი ყოვლად უცოდინარნი აქაურობისა.

აქაურობის უცოდინარი მოხელეობა არამც თუ არ გაუწევს სახელმწიფოს იმ სამსახურს, რომლის სურვილიც აქვს უმაღლესს მთავრობასა, პირიქით სახელს გაუტეხს სახელმწიფოსა და უმაღლესის მთავრობის კეთილს სურვილს სხვა თვალით დაანახვებს. სურვილი იყოს, თორემ ამისი წამალი ადვილია: ვიდრე მოხელე დაინიშნებოდეს, გაისინჯოს,— საკმაო ცოდნა აქვს იმ ქვეყნისა, სადა ინიშნება თუ არა. ეს ერთი. მეორე,—იცის თუ არა აქაური ენა. სხვა ყოველი ღირსება უქმია, თუ მოხელეს ეს ორი აუცილებელი სიკეთე არა სჭირს.

ამ მოკლე ხანში ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი ის

იყო, რომ ეგზარხოსი საქართველოსი ახალი მობძანდა. ჩვენ დიდის ყურადღებით ვადევნეთ გულის-ყური ახალს ეგზარხოსს, ყოვლად-უსამღვდელოესს პავლეს იმ სურვილით, რომ მის პირველ სიტყვასა, თუ მოქმედებაში დავვენახა რა გეგმა აქვს განზრახული ჩვენში მოქმედებისათვის იმ მაღალ ხარისხზედ, რომელზედაც მოწოდებულ იქმნა იმპერატორის თვით-მპყრობელის ნებითა. ჩვენ ვეცდებით, რომ ამ საგანზედ ჩვენი პირუთვნელი და გულ-წრფელი აზრი განვუზიაროთ ჩვენს მკითხველებს.

როცა ყოვლად უსამღვდელოესი ახალი ეგზარხოსი მობძანებულა ვლადიკავკაზს, იქაური მთავარი დეკანოზი სამადლოვი მიჭგებებია სხვათა შორის და მოუხსენებია დროსა და ადგილის შესაფერი სიტყვა. ამ თქმულში ფრიად შესანიშნავი სხვათა შორის ის არის, რომ მამა დეკანოზს მოუხსენებია,— აქ, საქართველოში ისეთი განვითარებული, განათლებული სამღვდელოება არ დაგხვდებათო, როგორსაც ჩვეულ ბძანდებითო.

ჩვენ არ ვიცით, კიშინიოვში, თუ სხვაგან რუსეთში, რამოდენად განვითარებული დ განათლებული სამღვდელოება ეგულება მამა დეკანოზს. ეს კი ვიცით, რომ მთელი რუსეთი ჩივის თავის სამღვდელოებაზედ იმასვე, რასაც სამართლიანად ჩივის მამა დეკანოზი ჩვენსაზედ. ესეა თუ არა, ჩვენ კი, ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი სამღვდელოება მართლა და მეტად განუვითარებელი და გაუნათლებელია. ამაო ნუგეშია ის, მამა დეკანოზისაგანვე იქავ წარმოთქმული, ნუგეში, რომ ვითომც ჩვენი სამღვდელოება, განათლებას ეგრე აშკარად მოკლებული, ზნეობითის ღირსების მქონეაო. ჩვენ ეს არა გვჯერა. ჯერ იმიტომ-რომ ვიცით ეგ ეგრე არ არის და მეორე იმიტომ-რომ არც შეიძლება,—ეგ ეგრე იყოს. რასაკვირველია, მთელს სამღვდელოებაზედ ხელ-

აღებით ვერ გავბედავთ ამის თქმასა. ვინ იტყვის, რომ ჩვენშიაც არ იყვნენ იმისთანა ღირსნი გვამნი, რომელთაც თავმოწონებით და პატივის-ცემით არ იხსენიებდეს ჩვენი ერი და საზოგადოება. მაგრამ ამისთანანი ორი, თუ სამია, უმრავლესობა კი, კიდევ ვიტყვით ჩვენდა საუბედუროდ, ზნეობითს ღირსებას მოკლებულნი არიან. თუნდ ეგეც არ იყოს, არც ისა გვჯერა, რომ მართლა და სანატრელი ზნეობა დამყარებული იყოს იქ, სადაც განუვითარებლობა დ გაუნათლებლობაა. რა არის თვითონ ზნეობა? „ზნეობაო, ამბობს სამართლიანად ერთი მწერალი: ცალიერი ფორმაა, რომელიც ნებას აძლევს ადამიანს რაც უნდა შიგ ჩააყენოსო; კმაყოფილი სინიდისი — მხოლოდ გრძნობაა მოვალეობის აღსრულებისა და მოვალეობა კი შეიძლება სხვა-და-სხვა გვარად იყოს გაგებული დ მიჩნეულიო. აბა ერთი მიბძანეთ, განუვითარებლობა და გაუნათლებლობა რას ჩააყენებს შიგ მაგ ფორმაში? გაუნათლებლობა და განუვითარება რას იგულისხმებს მოვალეობის სახელ-ქვეშ? საქმე იმაშია ვის როგორ ესმის ზნეობა, ვის როგორ ესმის მოვალეობა. ამაების ჭეშმარიტად გაგებისათვის და გაგებულის წმიდა რწმენად და მცნებად გადაქცევისათვის აუცილებლად საჭიროა განვითარება და განათლება. უამათოდ ზნეობა მოკლებულია ღირსებას, სიკეთეს და მიმზიდველობას. «სკაპეციო, ამბობს იგივე მწერალი: თავს იმახინჯებს, თავს იკოდავს, კაცობას იკლავს და ჰგონიაო, რომ დიდი და სახელოვანი ღვაწლი იღვაწაო, მისი სინიდისი ამ ღვაწლით განდიდებულიაო დ ჩვენ კი საცომბიროთა ვსდითო მისთვის, რაც მარტო უმეცრების გამო და ზნეობითის ცნების განუვითარებლობით ჩაიდინაო.» ზნეობითის ცნების (ПОНЯТіе) განვითარებაა მხოლო-

ობითი საწყაო თვითონ ზნეობის ღირსებისა და სიკეთისა. ზნეობას სხვა საწყაო არა აქვს.

მართალია, იესო ქრისტემ თვისდა მოწაფეებათ აირჩივა მარტივნი და უმეცარნი, მაგრამ ვიდრე თვით არ განანათლა თავისის დიდებულის მოძღვრებითა, იგინი არ გაგზავნა საქადაგებლად და ერის საწვრთვნელად. ნურვინ იტყვის, რომ გაუნათლებელმა, განუვითარებელმა მოძღვარმა ჭეშმარიტი მოძღვრობა გაუწიოს ერს, ნურვინ იტყვის, რომ ამისთანა მოძღვარმა სულიერნი ძალნი ერისანი დასძრას დ ამოქმედოს ქრისტიანობრივ ცხოვრებისათვის.

„სამწუხაროაო, უბძანების სხვათა შორის მამა დეკანოზის პასუხად ყოვლად-უუსამღვდელოესს ეგზარხოსს: რომ მოძღვარნი საქართველოს ეკლესიისანი განათლებას მოკლებულნი არიან. მაგრამ სასიამოვნოა ჩემთვისაო, რომ იგინი, თქვენის სიტყვით, კეთილის ზნეობის მქონნი არიან. საეკლესიო საქმეში ზნეობა—კეთილი, წმიდა ზნეობა—ყველაზედ უპირველესია, უპირატესია თვით თვითონ განათლებაზედაცაო. კეთილი მაგალითი უფრო ძლიერადა ჰსწრთვნის, ვიდრე სიტყვა, თუნდა მჭევრ-მეტყველობითაც შემკულიო. თვითონ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ცხადად გვიჩვენა უპირატესობა კეთილის ცხოვრებისა მსოფლიო სიბრძნეზედა, აღირჩია რა თვისთა თანამშრომელად უმეცარნი, რომელთაც ჰსძლიეს მწიგნობარნი—ქრისტეს მეუფების მტერნიო. ოღონდ მოძღვართა საქართველოს ეკლესიისათა იცხოვრონ ჭეშმარიტის ქრისტიანულის ცხოვრებითა და მცირედის ცოდნითაც სასარგებლონი იქმნებიან თავიანთ ეკლესიისათვისაო. აგი უფალმა დაიცვა მათ გამო (?) საქართველოს ეკლესია შეურყეველად და წმინდადაო» და სხვანი.

ჩვენ არ გავკადნიერდებით და არ შევეკამათებით ყოვლად

უუსამღვდელოესს ეგზარხოსს, მაგრამ მწერლობის მოვალეობა ითხოვს წარმოვსთქვათ ამ ფრიად საგულისხმო საგანზედ ჩვენი რჯულად აღიარებული, რწმენად გადაქცეული აზრი. უცოდინარობა, ანუ მცირედი ცოდნა—ორივე ჩვენს თვალში ერთია—ვერც ვერაფერს დაიცავს, ვერც ვერაფერს დაიფარავს. თუ ჩვენმა ეკლესიამ ჩვენამდე თვის სიწმიდით მოაღწია, ეგ იმის წყალობით მოხდა, რომ უწინდელი სამღვდელოება ჩვენი გაცილებით მაღლა იდგა ეხლანდელზედ განვითარებით, განათლებით და ცოდნითა, რაც იმ დროს შეეფერებოდა. ტყუილუბრალო თავ-მოწონებაზედ რომ კაცმა ხელი აიღოს და აწმყოთი არ გაამპარტავნებულმა პირუთვნელად მიხედოს ჩვენს წარსულს, ჩვენის სამღვდელოების და ეკკლესიის ისტორიას, ჩვენს მდიდარს ლიტერატურას ღვთის მეტყველებისას, ცხადად დარწმუნდება, რომ ჩვენი უწინდელი სამღვდელოება მაშინდელის ცოდნითა და განათლებით თუ უფრო მაღალს ხარისხზედ არ იდგა, ვიდრე ზოგიერთგან სხვაგან, არც ნაკლები იყო. მეცნიერებამ, მწიგნობრობამ მათის მეოხებით გაიდგა ფესვი ჩვენს ქვეყანაში. უკეთესნი წარმომადგენელნი ერთსა და მეორეშიაც სამღვდელო პირნი იყვნენ. იმ სამღვდელოებამ მოახდინა ის სასწაული, რომ მთელი სულიერი და ხორციელი მალ-ღონე ერისა მარტო სარწმუნოებაზედ მიაქცია. ბუნებრივი სიყვარული სამშობლოსი, მამულისა, გვარ-ტომობისა—ყოველივე ეს სარწმუნოებას ქვეშ დაუყენა, ყოველივე ეს მას დაუმორჩილა და თუ ქართველი ღვრიდა სისხლს. მარტო სარწმუნოების სახელითა ღვრიდა, რადგანაც სარწმუნოებაში ხედავდა იგი თვის სამშობლოსაც, თვის მამულსა, თვის გვარ-ტომობას, თვის ეროვნობას, თვის ქართველობას. დღესაც ქრისტიანი და ქართველი სინონიმებია მთელს კავკასიაში არა-ქრისტიანთა შორის.

იმ სამღვდელოებამ შესძრა ჩვენი სულიერი ძალ-ღონე და შეაქმნევინა ერს ის სახელოვანი ნაშთნი სარწმუნოებისა, რომლითაც დღეს ჩვენ, ქართველნი სამართლიანად ვქადულობთ. დიდებული სიტყვიერება ჩვენის სამღვთო წერილისა ცალკედ და საეროსი საზოგადოდ, დიდებული არხიტექტურა ჩვენთა ტაძართა და ეკკლესიათა, სამაგალითო სიმდიდრე, ხელოვნება და სიტურფე საეკლესიო ნივთთა, განძთა და სამკაულთა ამისი უტყუარნი მოწამენი არიან. სამღვდელოების წინამძღვრობით და მოძღვრებით ქართველმა სარწმუნოებაში ჩაჰსწურა, ჩაჰსახა თვისი სული და გული და ქრისტეს ჯვარი სისხლის ღვრით შეუმწიკვლელად და წმინდად მოიტანა მეცხრამეტე საუკუნემდე.

არა, ამ დაუჯერებელს, ამ თავ-გამომეტებულს სხვერპლს და ღვაწლსა ვერ დასდებდა ერი, რომელსაც წინ არ გაუძღვებოდა მცოდინარი, განვითარებული, განათლებული სამღვდელოება. ყოველივე ეს ვერ შეეძლო მოეხდინა უწვრთნელსა და უცოდინარს და მაშასადამე უკეთეს ღონეს მოკლებულს სამღვდელოებას, ვერ შეეძლო მოეხდინა განუვითარებელს, გაუნათლებელს მოძღვრობასა. უცოდინარი, განუვითარებელი კაცი უტყვია, მუნჯია, უქმია ამ გვარის მოძღვრობისათვის.

მაშასადამე არც ჩვენის ეკკლესიის შეუმწიკვლელად ჩვენამდი მოღწევაა საბუთი ეხლანდელის სამღვდელოების უმეცრების და გაუნათლებლობის ხელის დასაფარავად. უცოდინარობა, განუვითარებლობა მოხელისა საზოგადოდ და სამღვდელოებისა ცალკედ სათავეა ყოველის უკეთურებისა, ავ-ზნეობისა, ბოროტმოქმედებისა. ამ სენისაგან წარმომდგარია ჩვენის სამღვდელოების ყოველივე ნაკლულოვანება და ის სამწუხარო გარემოება, რომ ჩვენი ერი მღვდელს უყურებს არა ისე, როგორც თავის ხელთმძღვანელს მოძღვარს ჭირსა და ლხინში, არა ისე, როგორც

თავის მწვრთნელს და დამრიგებელს, ცოდვის გამდევნელს, ქრისტიანულის ცხოვრების გზის მაჩვენებელს, არამედ როგორც უსარგებლო და მცონარე არსებასა. ამიტომაც დაეცა, მოისპოის უსასყიდლო და მოწიწებული პატივისცემა სამღვდელოებისადმი, რომელიც ჩვენს ერს ოდესღაც მისდამი ჰქონია. გაქრა პატივისცემა და დაირღვა კავშირი სამღვდელოსა და მრევლთა შორის. მრევლი მღვდელს და მღვდელი მრევლსა სიყვარულით, ნდობით კი აღარ უყურებს, არამედ ბღვერითა და მიუნდობლობითა. ამისთანა გარემოებამ არ შეიძლება არ იმოქმედოს თვითონ სარწმუნოების გრძნობაზედაც, არ შეიძლება იგი გრძნობა არ მისუსტოს, არ დაჰსთრგუნოს, არ შელახოს. ვიმეორებთ, ყოველივე ეს ჩვენის სამღვდელოების განუვითარებლობის, გაუნათლებლობის, აუცილებელი შედეგია. უცოდინარობა, გონების სიბრმავეა თვალის სიბრმავეზედ უარესი და ბრმა სხვას თვალს ვერ აუხელს, წინ ვერ გაუძღვება.

რასაკვირველია, დარწმუნებული ვართ, რომ ყოვლად უსამღვდელოესს ეგზარხოსს ჩვენზედ უკეთესად ესმის რა დიდი ფარ-ხმალია, რა ძლიერი ძალ-ღონეა ცოდნა და განათლება საერთოდ და ქრისტეს ჯვარის ერის წინაშე მზიდველთათვის განსაკუთრებით. ამიტომაც იმედი გვაქვს, რომ მისმიერ განზრახულს და აღნიშნულს მოქმედების გეგმაში უპირველესი ადგილი ეჭირება ჩვენის სამღვდელოების განათლებისათვის დაუძინარს და მედგარს მეცადინეობას. თუნდ სხვა ყოველი უკან მიყენებული იყოს და ოღონდ მარტო ამას მოახმაროს თავისი ცდა, თავისი შრომა და უეჭველი გამოცდილება და მარტო ეს ეყოფა სააქაო სახელად და საიქიო საცხონებლად. იმედი გვაქვს, აქაურს სემინარიას—მაგ თითქმის ერთად-ერთს საწრთვნელს ჩვენის სამღვდელოებისას იმას მოჰსთხოვს, რისთვისაც იგი

დანიშნულია, ესე იგი, მას, რომ ქართველს ერს, ქართულს ეკკლესიას მოუმზადოს ღირსეული მღვდელი და პატიოსანი მოძღვარი. ღმერთსა ვთხოვთ, რომ ეს წმინდა საგანი და მიზეზი სემინარიის არსებობისა არ წაბილწოს, არ შელახოს, არ გაათახსიროს ბეზღობამ, მტრობამ, ათასნაირმა ცილმა, რომელზედაც ეგრე უხვნი არიან ზოგიერთნი, ჭორების მოყვარეთაგან გათამამებულნი. დედა-ენა, ჩვენი სამღვდელო და საეკკლესიო ისტორია, ჩვენი საზოგადო ისტორია, ჩვენის გონების და გულის გამომეტყველი ლიტერატურა გამოდევნილია სემინარიიდამ. ყოველივე ეს ერთად და განსაკუთრებით დედაენა, სხვა-და-სხვა მიზეზით ეხლა პატივ-აყრილი, მხოლოობითი, ერთად ერთი ღონეა, რომ მოძღვარმა უმოძღვროს ერსა. სხვაგან ძალად ასწავლიან მოძღვარს იმ ერის ენას, სადა უნდა იმოძღვროს და ჩვენში კი მცოდნესაც ცდილობენ დაავიწყონ. ენის უცოდინარი მოძღვარი უტყვია, მუნჯია ერისათვის და უტყვს, მუნჯს პირუტყვსაც არ ჩააბარებენ ხოლმე, არამც თუ მეტყველსა. თუმცა სარწმუნოების საქმეში კეთილი მაგალითი ცხოვრებისა დიდი რამ არის, მაგრამ სიტყვაც არ არის ნაკლები. სარწმუნოება მოძღვრებაა, და მაშასადამე უენოდ, უსიტყვოდ ვერ დაითესება, ვერც დაინერგება. «პირველი იყო სიტყვაო», ბძანებს სამღვთო წერილი. უენობა სამღვდელოებისა და გაუქმება მისის მოძღვრებისა ერთია. ამის ცხადს მაგალითს წარმოგვიდგენს დღევანდელი ჩვენი სამღვდელოება, რომლისგანაც თითო-ოროლა შემთხვევისა გარდა, აღარ ისმის ძლიერი სიტყვა მღვთისა, ძლიერი ქადაგება მანუგეშებლად და მწვრთნელად ერისათ. დავმუნჯდით იმა სიტყვის გამოთქმისათვის, დავყრუვდით იმა სიტყვის სმენისათვის!...

ამის მიზეზი სემინარიის წესებია და ზოგიერთების ცრუ-მიმართულება და ცრუთვე გაგებული ინტერესი ეკლესიისა ცალკედ და სახელმწიფოსი საერთოდ. ჩვენ იმედი გვაქვს ყოვლად უუსამღვდელოესი ახალი ეგზარხოსი შორს იქნება ამ ზოგიერთებზედ და სარწმუნოების საქმეში სხვას არაფერს გაურევს სარწმუნოების მეტს და სარწმუნოების სახელითვე მოჰსთხოვს სემინარიას, რომ მან განდევნოს თავის კედლებიდამ ყოველივე ის, რაც სარწმუნოების გამტკიცებას, სარწმუნოების გულში ღრმად ჩანერგვას, სარწმუნოების მადლის მოფენას დღეს ჩვენში ხელს უცრის. ეს იმედი უსაბუთო არ არის. თვითონ ყოვლად უუსამღვდელოესმა ახალმა ეგზარხოსმა როგორც ჭეშმარიტმა რუსეთის შვილმა, რუსეთის სახელით ამ საგანზედ ნუგეში გვცა ჩვენს უძველესს წმინდა სალოცველს ტაძარში მცხეთას, როცა წარმოჰსთქვა თვისი გრძნობიერი, განათლებული, გულმტკივნეული და მშვენიერი სიტყვა. «რუსეთმა შემოიერთა ერნიო და იფარავს მათს სარწმუნოებას, მათს ჩვეულებას და მათს ენასაო», ბძანა სხვათა შორის ეგზარხოსმა. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეგრე იყოს. აი ჭეშმარიტად გაგებული ინტერესი რუსეთისა! აი ჭეშმარიტი გზა სანაპირო ქვეყნებში სიყვარულის დანერგვისათვის! აი უტყუარი და მკვიდრი საძირკველი ერთგულობისათვის! ერთხელ რაკი ეგა ბძანა, მაშ ცხადია, რომ ყოვლად უუსამღვდელოესი ეგზარხოსი, როგორც რუსეთის წარმომადგენელი უმაღლეს თანამდებობაზედ, თვის მფარველობის ქვეშ მიიღებს სარწმუნოებასთან ერთად ჩვენს ჩვეულებას და ჩვენს ენას. ამიტომაცა გჰსთქვით, რომ ჩვენი იმედი უსაბუთო არ არის.

რომ თვითონ ყოვლად უუსამღვდელოესი ეგზარხოსი მართლა და პატივსა ჰსცემს ჩვენს ჩვეულებას, ჩვენს წარსულს,

ჩვენს ვინაობას, ეგ იმით დაამტკიცა, რომ თავის მობძანების დღეს შუაგულს საქართველოში შეურჩია დღე სვეტის-ცხოვლობისა, რომელსაც მთელი საქართველო დღესასწაულობს ხოლმე პირველს ღვინობის თთვეს მცხეთაში. ჩვენ, ახალ ეგზარხოსის მშვენიერის სიტყვით მიზიდულნი, ამ ამბავს არ მივაწერთ შემთხვევასა, არამედ წინად განზრახულს და განათლებით ჩაგონებულს სურვილს. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვჰსთქვათ, რომ ამით ჰსცა რა პატივი ჩვენს დიდებულს ნაშთს ჩვენის წარსულისას, ახალმა ეგზარხოსმა გვცა პატივი თვითონ ჩვენ, საქართველოს ერს, მის უძველესს ჩვეულებას, რომელიც წელიწადში ერთხელ თავს მოგვიყრის ხოლმე დიდებულ ტაძარქვეშ ღვთის სადიდებლად. პატივისცემა ერის მიმართ ცხადი ნიშანია განათლებისა, განვითარებისა და გამოცდილებისა. მოხარულნი ვართ, რომ ეს უტყუარი ნიშანი ცხოვლად გამოგვეხატა ჩვენ ყოვლად უუსამღვდელოესის ეგზარხოსის პირველსავე სიტყვასა და ქცევაში.

რედაქციისაგან.

ვისაც ამ **1882** წლის ჟურნალის «**ივერიის**» ფასი ჯერ სრულად არ შემოუტანია, ვსთხოვთ გამოგზავნონ რედაქციაში ამ წლის დამლევამდე.

განცხადება.

ჟურნალ «ივერიის» გამოცემაზედ 1883 წ. (წელიწადი მეშვიდე).

მომავალს 1883 წელს საპოლიტიკო და სალიტე-
რატურო ჟურნალი

«ივერია»

გამოვა იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე
გამოდიოდა.

ხელის-მოწერა ჟურნალს «ივერიაზედ» მიიღება მხოლოდ მთელის წლის ვადით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანათი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება შეუძლიან ოთხი მანათი პირველს იანვრამდე 1883 წ. შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანათი პირველს მაისამდე.

სოფლის მასწავლებელთ მთელის წლის წიგნები დაუთმობათ ხუთ მანათად.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხევის ქუჩაზედ, ფარესაშვილის სახლებში, № 9.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ.»

ღონე მოძღვრებისა — დავმუნჯდით და დავყრუვდით—განა სანატრელია—სემინარიის არალია—ჩვენი იმედი ახილის ეგზარხოსზედ—საბუთი უმედისა — პატივისცემა ერის მიმართ რის ნიშანია. 129

VII რედაქციისაგან 143

VIII განცხადებანი.

ეს წიგნი მზად იყო 27 ოკტომბერს, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, დაიგვიანა.

განცხადება.

ამა 1882 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მო-წერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანათი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხევის ქუჩაზედ, ფარესაშვილის სახლებში № 9 და აგრეთვე შავერდოვის საგენტოში.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ
Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი.